



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675 3/2  
1986 / 2

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

2.1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 2



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

---

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ И  
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца

2. 1986

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

● თბილისი  
ТБИЛИСИ

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე, ვ. კეშელავა,  
ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джюев О. И. (зам. редактора),  
Кешелава В. В., Микеладзе З. Н., Надирашвили Ш. А., Прангишвили А. С.,  
Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, №

---

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

А д р е с р е д а к ц и и : Т б и ლ ი ს ი , 3 8 0 0 6 0 , უ ლ . კ უ ტ უ ზ ო ვ ა , 1 9

ტელეფონი 37-95-46 телефон

---

ვადეცა წარმოებას 21.2.86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.4.86; შუკე. № 528;  
ინაწეობის ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>; ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი  
თაბახი 10,2; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,0; უე 04612; ტირაჟი 650;

ფასი 85 კაპ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შინაარსი

### საკვ XXVII ურილობა

ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ამოცანები სკკ XXVII ურილობის შუქზე . . . . .	5
150 წელი ნ. ა. დობროლინოვის დაბადებიდან . . . . .	16
ნ. ა. დობროლინოვი, „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ არქიმანდრიტ გაბრიელის (ქიქოძის) თხზულება . . . . .	18

### ფილოსოფია

მ. შონია, ადამიანის ყოველმხრივობის გაგებისათვის . . . . .	23
რ. თვარაძე, სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება . . . . .	40
ფ. ნადიბაიძე, ალეთოლოგიური ესთეტიკის პრინციპები . . . . .	49
ლ. მდივანი, ტექნიკურისა და ესთეტიკურის კავშირისათვის დიზაინში . . . . .	59

### ფსიქოლოგია

რ. მირცხულავა, განწყობის ფიქსირების პროცესზე ყურადღების შემოქმედების საკითხისათვის . . . . .	66
დ. ნადირაშვილი, სუბიექტის განწყობისაგან სხვადასხვა მანძილით დაშორებული პოზიციების ურთიერთშეგავლენის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი . . . . .	78
ი. იმედაძე, აქტივობის პოლიგანწყობისეული რეგულაციის შესაძლებლობის შესახებ . . . . .	89
მ. ველიძე (სტეფანაკერტი), მასწავლებლის პროფესიის არჩევის მოტივები და სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაციები . . . . .	103

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ჯიშვილი, ვ. ფონ ჰუმბოლდტი, რჩეული სენათმეცნიერო ნაშრომები . . . . .	111
------------------------------------------------------------------------	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### XXVII СЪЕЗД КПСС

Задачи философии и психологии в свете решений XXVII съезда КПСС . . . . .	5
150-ЛЕТИЕ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ Н. А. ДОБРОЛЮБОВА . . . . .	16
Н. А. ДОБРОЛЮБОВ, «Основания опытной психологии» Архимандрита Гавриила (Кикодзе) . . . . .	18

### ФИЛОСОФИЯ

М. Б. ШОНИА, К пониманию всесторонности человека . . . . .	23
Р. А. ТВАРАДЗЕ, Ареопагитское учение о любви . . . . .	40
Ф. К. НАДИБАИДЗЕ, Принципы алетологической эстетики . . . . .	49
А. В. МДИВАНИ, О связи технического и эстетического в дизайне . . . . .	59

### ПСИХОЛОГИЯ

Р. Л. МИРЦХУЛАВА, К вопросу о воздействии внимания на процесс фиксирования установки . . . . .	66
Д. Ш. НАДИРАШВИЛИ, Психологические закономерности взаимовлияния позиций, в различной мере отдаленных от установки субъекта . . . . .	78
И. В. ИМЕДАДЗЕ, О возможности полуустановочной регуляции активности . . . . .	89
М. В. ВЕЛИЕВ (Степанакерт), Мотивы выбора профессии учителя и ценностные ориентации студентов . . . . .	103

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

О. И. ДЖИОЕВ, В. фон Гумбольдт. Избранные труды по языкознанию . . . . .	111
--------------------------------------------------------------------------	-----

### სკპ XXVII ყრილობა

#### ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ამოცანები სკპ XXVII ყრილობის უშუაშუ

18284

სკპ XXVII ყრილობა გაიმართა ჩვენი საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი შემობრუნების პერიოდში. ეს შემობრუნება ემყარება კაცობრიობის ისტორიაში თანამედროვე ეპოქის თავისებურებათა გააზრებას, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების დაჩქარების აუცილებლობის გაცნობიერებას და ამ დაჩქარების ქმედითი ღონისძიებების განხორციელების მტკიცე მოთხოვნას. ამ ვითარებაში საზოგადოებრივ მეცნიერებებს მართებთ განსაზღვრონ თავიანთი ადგილი საზოგადოებრივი გარდაქმნების განხორციელებაში, ღრმად გაიაზრონ ის უარყოფითი ტენდენციები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ საზოგადოებათმცოდნეობაშიც, მკვეთრად შემობრუნდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემათა გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, რა თქმა უნდა, მათი ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა საფუძვლიანად შეისწავლონ და განაზოგადონ ის პრინციპული დებულებები, რომლებიც წამოყენებული იქნა ჩვენი ქვეყნის კომუნისტების ამ ფორუმზე.

სკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 წ.) პლენუმმა ჩამოაყალიბა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანა. XXVII ყრილობამ შეიმუშავა ამ ამოცანის გადაჭრის ღრმად დასაბუთებული პროგრამა. ამ ამოცანის აქტუალურობა და მისი გადაჭრის გადაუდებლობა უწინარეს ყოვლისა იმით არის გაპირობებული, რომ უკანასკნელ დროს ჩვენში თავი იჩინა ინერტულობის, უინიციატივობის ტენდენციებმა, რომლებმაც დააბრკოლეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოწიფებული ამოცანების დასა და გადაჭრა. ის, რომ ეს ტენდენციები საზოგადოებათმცოდნეებმა ვერ შეამჩნიეს ან საზოგადოებრივი აზრი ვერ მიმართეს მათ გადასაჭრელად, მოწმობს, რომ ამ ტენდენციებმა დაღი დაასვეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებასაც. ჩვენი საზოგადოებათმცოდნეები, როგორც ჩანს, არ არიან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებული ცხოვრებასთან, ზოგჯერ არსებულზე აბსტრაქტული მსჯელობებით კმაყოფილდებიან და არ ცდილობენ გავლენა მოახდინონ საზოგადოების განვითარებაზე. საზოგადოებათმცოდნეები, კერძოდ ფილოსოფოსები, კმაყოფილდებიან საზოგადოებრივი განვითარების კანონების ობიექტურობის დასაბუთებით, ამ კანონების გამოვლენის თავისებურებათა დახასიათებით სოციალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ ნაკლებად ფიქრობენ სოციალისტური სისტემის უპირატესობათა რელიზაციის გზებზე, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ოპტიმალური განვითარების კონკრეტულ საშუალებებზე. ფილოსოფოსები იმით კმაყოფილდებიან, რომ განმარტავენ ზოლმე მარქსის ცნობილ თეზისს — ფილოსოფოსები აქამდე მხოლოდ განმარტავდნენ სამყაროს, საქმე კი ისაა, რომ გარდაიქმნას ის, — და ამით კვლავ სამყაროს განმარტებულთა როლს კისრულობენ, არ მიიჩნევენ რა თავიანთ მოვალეობად საზოგადოებრივი გარდაქმნის ამოცანების გადაჭრას.

ნაქ. სარ. კ. მარქსის  
ნაბ. ნაბ. რეკლამ.  
განყოფილება

როგორც ცნობილია, იყო პერიოდი, როცა ჩვენი საზოგადოებათმცოდნეები სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონებს რომ არასწორად განმარტავდნენ, ამით საერთოდ საზოგადოებრივ კანონზომიერებათა გაგებაში სუბიექტივისტურ შეცდომებს უშვებდნენ; ამჟამად კი თუ აბსტრაქტულ დონეზე ასე თუ ისე სწორად განმარტავენ საზოგადოების განვითარების კანონებს, კონკრეტული საკითხების გაშუქებისას და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა პრაქტიკული ამოცანების დასახეას ეხება საქმე, მეორე უკიდურესობაში ვარდებიან და საქმეს იმგვარად წარმოადგენენ, თითქოს საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები მოქმედებდნენ ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის გარეშე, თითქოს, კერძოდ, სოციალისტური საზოგადოების უპირატესობანი თავისთავად განსაზღვრავენ და უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი განვითარების სწრაფ ტემპებს. ისინი ვერ ითვალისწინებენ საზოგადოებრივი პროცესების სირთულეს, იმ ახალ ვითარებას, რაც იქმნება კაცობრიობის სოციალური განვითარების დღევანდელი თავისებურებებით, კერძოდ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით. როგორც ფილოსოფოსები, ისე ეკონომისტები ინტენსიურად და ღრმად არ აანალიზებენ, მაგალითად, საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა კანონზომიერებებს, იმას, თუ სახელდობრ როგორ მყარდება შესაბამისობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის, რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, რათა წარმოებითა ურთიერთობებმა სრული გასაქანი მისცენ საწარმოო ძალების განვითარებას. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა თავის მოხსენებაში XXVII ყრილობაზე, წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობა საწარმოო ძალებთან არ მიიღწევა ავტომატურად. მაშასადამე, აუცილებელია კონკრეტულად შევისწავლოთ წარმოებით ურთიერთობანი, გავარკვიოთ, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ მათი მოდიფიკაცია, რათა განვითარების მაქსიმალური სტიმული მიეცეს საწარმოო ძალებს. წარმოებით ურთიერთობათა ამგვარი შესწავლა როგორც ეკონომისტების, ისე სოციოლოგებისა და ფილოსოფოსების საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში მოცემულია ფილოსოფოსთა და სხვა საზოგადოებათმცოდნეების ნაცლოვანებათა საკმარისი შეფასება, აღნიშნულია, რომ ფილოსოფოსთა, ეკონომისტთა და საერთოდ საზოგადოებათმცოდნეობის ფრონტი გარკვეულად დაშორებულია ცხოვრების მოთხოვნებს. ამასთან ისიც არის ნათქვამი, რომ საგვემო-სამეურნეო ორგანოები არ იჩენენ საკმარის დინტერესებას საზოგადოებათმცოდნეების წინადადებების რეალიზაციისადმი. „ღრო აყენებს საკითხს, რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა ფართოდ გაითვალისწინონ პრაქტიკის კონკრეტული საჭიროებანი, მოითხოვს, რომ საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები ფხიზლად რეაგირებდნენ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებზე, თვალთახედვის არიდან არ უშვებდნენ ახალ მოვლენებს, გამოჰქონდნენ დასკვნები, რომლებიც სწორ გზას მისცემდნენ პრაქტიკას“, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში და გამოთქმულია იმის იმედი, რომ ჩვენი ეკონომისტები და ფილოსოფოსები, სოციოლოგები და იურისტები, ისტორიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები სათანადოდ გამოიყენებენ შემოქმედებით ატმოსფეროს, რომელსაც პარტია ამკვიდრებს ცხოვრების ყველა სფეროში.

საზოგადოებათმცოდნეებს, კერძოდ, ფილოსოფოსებს, დიდი ხანია საყვედურობენ საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მეტად თუ ნაკლებად დაშორებ-

ბულობას. ეს ვითარება მიუთითებს, ერთი მხრივ, იმაზე, რომ ცხოვრებასთან მეტად დაახლოების ამოცანა ყოველთვის იდგება საზოგადოებათმცოდნეობის წინაშე. მაგრამ იგი მეტყველებს აგრეთვე ჩვენს მუშაობის არსებით ნაკლებზე, რაც აუცილებელს ხდის ცხოვრებასთან საზოგადოებათმცოდნეობის, კერძოდ კი ფილოსოფიის მიმართების ღრმა გააზრებას. ეს ყოველთვის იყო ფილოსოფიის საზოგადოებრივი ფუნქციის პრობლემის ერთ-ერთი აუცილებელი და არსებითი მომენტი და მას დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიის ძირითადი საკითხების დამუშავებისათვის. რა თქმა უნდა, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის მოთხოვნა არ შეიძლება გავიგოთ ისე, რომ ფილოსოფოსებმა, მაგალითად, მოკიღონ ხელი უშუალოდ წარმოების ორგანიზაციის საქმეს, გაარკვიონ კონკრეტული ეკონომიკის საკითხები, შეიმუშაონ ახალი სამართლებრივი ნორმები და სხვა, მაგრამ აქედან არც ის უნდა დავასკვნათ, თითქოს ფილოსოფოსს არანაირად ეხებოდეს საქმის ვითარება ეკონომიკაში, სამართლებრივ და სხვა სფეროებში, კულტურის დარგში. ფილოსოფია მოვალეა მოგვცეს საზოგადოებისა და ადამიანის ცხოვრების ორიენტაციების ანალიზი, გაარკვიოს თუ რა დაბრკოლებები ელოდება წინ ადამიანსა და საზოგადოებას ამ დარგებში. ფილოსოფიამ უნდა გამოიკვლიოს არა მარტო კულტურის ზოგადი ბუნება, არამედ აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური კულტურა, ზნეობრივი თუ მხატვრული ღირებულებანი და ცხოვრებაში მათი რეალიზაციის გზები.

ცხოვრებასთან ფილოსოფიის კავშირის მოთხოვნა ზოგჯერ ცალმხრივად არის ხოლმე გაგებული: საქმეს იმგვარად წარმოადგენენ ხოლმე, თითქოს ეს ამოცანა მხოლოდ სოციალური ფილოსოფიის მკვლევარებს შეეხებოდეს, ხოლო ფილოსოფიის სხვა დარგებში შეიძლება ისე წარმოედგინოს კვლევა, რომ მას არანაირი კავშირი არ ჰქონდეს ცხოვრებასთან. ნამდვილად კი საქმის ვითარება იმგვარად როდია. აქტუალური პრობლემების კვლევა, ცხოვრებისეული საკითხების დამუშავება, ცხადია, ფუნდამენტური პრობლემების კვლევას უნდა ემყარებოდეს. მაგრამ ეს უკანასკნელიც უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე, რომ გამოადგეს ცხოვრებისეული საკითხების კვლევას. მაგალითად, მატერიალისტური დიალექტიკის პრობლემების კვლევისას არ უნდა ვიყოთ ორიენტირებული მხოლოდ ბუნების დიალექტიკაზე, არ უნდა ვკამყაფილდებოდეთ მხოლოდ ბუნებისმეტყველების მონაცემთა განზოგადება-გააზრებით, უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოებისა და ადამიანის სულიერი ცხოვრების განვითარების დიალექტიკაც, რადგან დიალექტიკა ბუნების დიალექტიკაზე არ დაიყვანება, ხოლო მეცნიერების ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური საკითხები — ბუნებისმეტყველების ფილოსოფიურ საკითხებზე. ბუნება, მართლაც, დიალექტიკის სასიხვი ქვეა, მაგრამ დიალექტიკას მხოლოდ სასიხვ ქვესთან როდი აქვს საქმე. მხოლოდ ამგვარი ფართო ორიენტაციით შეიძლება დიალექტიკური მატერიალიზმი მეცნიერებასთან კავშირის განმტკიცებას და ამ გზით აგრეთვე ცხოვრებასთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას. ცხოვრების საჭირო-რობო საკითხებთან მისასკნელები ფილოსოფიის სხვა დარგებსაც აქვს და ამ მისასკნელთა ძიება სათანადო სპეციალისტთა ვალია.

საზოგადოებრივი ცხოვრების, სახალხო მეურნეობისა და მეცნიერების განვითარების სუბიექტები ადამიანები არიან, ხოლო ადამიანთა საქმიანობის შედეგი მხოლოდ წმინდა ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ ფაქტორებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ აგრეთვე ადამიანის სულიერ განვითარებაზე, მის მსოფლმხედველობასა და ფსიქოლოგიაზე. სწორედ ამ მხრივ —

მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის საკითხების დამუშავებაში — უნდა შეიტანონ დიდი წვლილი ფილოსოფოსებმა. აქაც საჭიროა იმ შემოქმედებითი ატმოსფეროს გამოყენება, რომელიც დღეს იქმნება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში სკკპ XXVII ყრილობაზე აღნიშნულია იმის აუცილებლობა, რომ ყოველ საბჭოთა ადამიანს ჰქონდეს მტკიცე რწმენა ჩვენი იდეალებისა და ღირებულებებისა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჩვენი იდეოლოგიის თეორიულ დამუშავებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თვით ცხოვრებაზე, იმაზე, სახელდობრ, რომ ადამიანები არ აწყდებოდნენ ცხოვრებაში ისეთ ფაქტებს, რომელთაც შეეძლებათ შეარყიონ ჩვენი იდეალებისა და ღირებულებების რწმენა. მაგრამ, ჯერ ერთი, ამგვარი ფაქტების შესახებ ხმაძალა უნდა თქვან ისევ საზოგადოებრივ-სოციალურ ცხოვრებაში და დასახონ მათი აღმოფხვრის გზები. მეორეც, ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენი იდეალებისა და ღირებულებების განმარტებაზეც.

ჩვენი იდეალებისა და ღირებულებათა შესახებ მსჯელობისას აუცილებელია, კერძოდ, მათი კლასობრივი ბუნების განმარტებასთან ერთად, მათივე ზოგადსაკაცობრიო შინაარსისა და მნიშვნელობის ნათელიყოფაც. ჩვენი კლასობრივი იდეალების ზოგადადამიანური ზნეობრივი შინაარსის უგულებელყოფა, რასაც, სამწუხაროდ, აქვს ხოლმე ადგილი, დაგვაკარგვინებდა საზოგადოებას სხვადასხვა კლასთან იდეალებისა და ღირებულებების შედარებისთვის და ველარ დაეასაბუთებდით კომუნისტური იდეალების უპირატესობას სხვა იდეალების წინაშე. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ კლასობრივი ცნების ვულგარული გაგება (როცა კლასობრივი აბსტრაქტულად, მეტაფიზიკურად არის დაპირისპირებული ზოგადსაკაცობრიოს) ხშირად გამოიყენება ხოლმე იმ მანკიერებათა და ბორბლებათა გასამართლებლად, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში პიროვნების კულტის პირობებში. არც ის უნდა დავივიწყოთ, თუ რა ზიანი მოუტანა კლასობრივის ცნების ვულგარულმა გაგებამ ჩვენი მეცნიერებისა და კერძოდ ფილოსოფიის განვითარებას.

კლასობრივი, პარტიული მიდგომა, რაც ჩვენი საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, იმას კი არ ნიშნავს, რომ გავამართლოთ ყველაფერი კარგი თუ ცუდი, რაც კი პროლეტარულს სახელს ირქმევს, არამედ იმას, რომ ვაჩვენოთ, თუ რამდენად არის სოციალიზმის იდეალები და ღირებულებანი ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ღირებულებების განხორციელება. გამოვავლინოთ ის, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური იდეალებისა და ღირებულებების ნამდვილ საზრისს, გამოვიკვლიოთ ამგვარი მოვლენების დაძლევის გზები. ამ თვალსაზრისით მეტად აქტუალური ამოცანაა სოციალისტური კულტურის პოლიტიკური და სამართლებრივი ღირებულებების დახასიათება. კერძოდ, კონტრპროპაგანდისტული თეორიული მუშაობის გაძლიერების მიზნით აუცილებელია, ჯერ ერთი, სრულად დაეხასიათოთ პოლიტიკური ღირებულებანი და ნათელი გაეხადოთ პოლიტიკურ კულტურაში თანასწორობის ღირებულების ადგილი, მეორეც, გაეანალიზოთ თავისუფლება როგორც პოლიტიკური ღირებულება და მისი კავშირი სხვა პოლიტიკურ ღირებულებებთან, კერძოდ, თანასწორობასთან, ვუჩვენოთ მისი სრული რეალიზაციის შეუძლებლობა თანასწორობის რეალიზაციის გარეშე და, მესამე, შეურიგებლად ვებრძოლოთ პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის ყოველგვარ გამოვლინებას, კერძოდ

კრიტიკის ჩახშობის ფაქტებს, ყველაფერს, რაც ხელს უშლის სოციალისტური დემოკრატიის გაფართოებასა და განვითარებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღეს სამართლიანობის ღირებულების დახასიათებას, მისი ზოგადკულტურული, სამართლებრივი და ეთიკური ასპექტების კვლევას და კიდევ უფრო მეტად — ცხოვრებაში მის სრულყოფილ რეალიზაციაზე ზრუნვას. სკკპ XXVII ყრილობის მზადების პერიოდში და თვით ყრილობის ტრიბუნიდან ითქვა სოციალური სამართლიანობის ყოველგვარ დარღვევასთან შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, კერძოდ, გაუმართლებელი პრივილეგიების პრაქტიკაზე უარის თქმის აუცილებლობის შესახებ.

განსაკუთრებით დიდია სოციოლოგების წინაშე მდგარი ამოცანები. საზოგადოებრივი ცხოვრების მწვავე პრობლემების კვლევას დღეს, რა თქმა უნდა, სოციოლოგიური უზრუნველყოფა სჭირდება და პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც საზოგადოება, უწინარეს ყოვლისა, სოციოლოგებისაგან მოელის. სოციოლოგიური კვლევის გაფართოებისა და გაღრმავების ამოცანა კი რესპუბლიკაში კვლავ მწვავედ დგას. სოციოლოგიური კადრების მომზადება და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე ღრმა განმარტოვებელი გამოკვლევების შექმნა ჯერ კიდევ რჩება ჩვენი სოციოლოგების ამოცანად.

დიდი ამოცანები აკისრიათ ფილოსოფოსებსა და ფსიქოლოგებს, სხვა საზოგადოებათმცოდნეებთან ერთად, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უარყოფითი მოვლენების გაშუქების საქმეში — მათი არსის, მიზეზების ახსნაში, მათი დაძლევის მიმართულებებისა და საშუალებების გარკვევაში. საქმე ეხება არა იმდენად ამ მოვლენათა კლასიფიკაციას, რამდენადაც მათ განხილვას ადამიანის ფუნდამენტურ ტენდენციებთან კავშირში. აქაც ფილოსოფოსების ვალია დაძლიონ დოგმატური წარმოდგენები. საკუთრებასა და საკუთრებით ურთიერთობებზე, მეურნეობის მართვის სოციალისტურ სისტემაზე, წარმოდგენები, რომელთა თანახმად მეურნეობის მართვის ყოველგვარი შეცვლა, თუკი ის გულისხმობს პირადი დაინტერესების ზრდას, სოციალიზმიდან უკანდახევია. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაშია ნათქვამი, ჩვენი უმაღლესი კრიტერიუმი ამ შემთხვევაში უნდა იყოს ის, რამდენად უზრუნველყოფს მეურნეობის მართვის ესა თუ ის ფორმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

უარყოფით მოვლენებთან ბრძოლის გამოცდილება ადასტურებს იმას, თუ რამდენად რთულია ეს მოვლენები, რამდენად მრავალგვარია მათი კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებთან და რამდენად კომპლექსური და თანმიმდევრული ბრძოლაა აუცილებელი მათ დასაძლევად, ფილოსოფოსებსა და ფსიქოლოგებსა, ეკონომისტებსა და სამართლისმცოდნეებთან ერთად, უნდა გამოიკვლიონ უარყოფითი მოვლენების ეს კავშირები საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, აგრეთვე ადამიანის ფსიქოლოგიასთან, და აჩვენონ მათთან ბრძოლაში მხოლოდ ადმინისტრაციული ან მხოლოდ პრობავანდისტულ-საავიტაციო მუშაობის არასაკმარისობა.

უარყოფითი მოვლენები დღეს არ წარმოშობილა და არც მხოლოდ ახლა დაისვა მათთან ბრძოლის ამოცანა. ამ მოვლენებთან ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის მარადიული ბრძოლის გამოვლენაა და მისი დღევანდელი ფორმაც დაკავშირებულია კერძომესაკუთრულ, ინდივიდუალისტურ მსოფლმხედველობასთან, რომელსაც ასევე ერთი და ორი საუკუნის ისტორია როდი

აქვს. სამწუხაროდ, მარქსისტი საზოგადოებათმცოდნეები ნაკლებად იყენებენ მარქსიზმის კლასიკოსთა დიდ თეორიულ მემკვიდრეობას იმის გასაშუქებლად, თუ რა გავლენას ახდენს კერძომესაკუთრული, ქონახე (ფლობაზე) მიმართული ორიენტაცია ადამიანთა ფსიქოლოგიაზე, როგორ ამახივნებს ის პიროვნებას. თითქოს უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარი ხასიათის უფრო ფუნდამენტური გამოკვლევები ეკუთვნით თანამედროვე დასავლეთის მოაზროვნეებს, რომლებიც, მართალია, აბსტრაქტულად, მაგრამ მრავალმხრივ ახასიათებენ ქონახე ორიენტირებული ადამიანის დაშორებულობას ნამდვილი ადამიანური ყოფნისაგან. ახასიათებენ იმას, თუ როგორ უწყობს ხელს ამგვარი ორიენტაცია ადამიანის უკმაყოფილებების ზრდას, იწვევს სტრესებს, ფსიქონერვულ მოშლილობას და ა. შ. მარქსისტ მკვლევარებს კი ჯერ არ შეუქმნიათ ამ მიმართულებით სერიოზული გამოკვლევები.

უარყოფითი მოვლენების სირთულე ისიც არის, რომ ისინი დაკავშირებულია ნაკლოვანებებთან იდეურ-აღმზრდელით საქმიანობაში, მშრომელთა მსოფლმხედველობის ფორმირებაში. როგორც მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაშია ნათქვამი, ჩვენი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მუშაობა ხშირად ორიენტირებულია რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. „ათიათასობით და ასიათასობით პროპაგანდისტი, აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, წრე და სემინარი, ყურნალ-გაზეთების მილიონიანი ტირაჟები, ლექციების მილიონიანი აუდიტორიები. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ზომ არ ქრება ჭრელი ციფრებისა და ღონისძიებების ზღვაში ცოცხალი ადამიანი?“ ამ კითხვაზე ალბათ ის პასუხი უნდა გავცეთ, რომ ხშირად სწორედ ასეც ხდება. ჩვენ საკმაო სიღრმით არ ვიკვლევთ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კანონზომიერებებს, არ ვითვალისწინებთ იმ უარყოფით გავლენას, რასაც ახდენს ადამიანთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე იდეოლოგიურ თუ ორგანიზაციულ მუშაობაში დაშვებული შეცდომები და ამ შეცდომების მიჩქმალვის ცდები. სრულიად დროულად იქნა გახსენებული სკკპ XXVII ყრილობაზე ვ. ა. ლენინის სიტყვები: „ჩვენი ძალა სიმართლის თქმაშია“. „წარსულის პასუხისმგებლური ანალიზი, — ნათქვამია მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში, — გვიკავალავს მომავლის გზას, ხოლო ნახევრადსიმართლე, რომელიც მორცხვად უვლის გვერდს მახვილ კუთხეებს. აფერხებს რეალური პოლიტიკის გამომუშავებას, ხელს უშლის ჩვენს წინსვლას“, ხელს უშლის, რადგან არყევს ჩვენი იდეალებისა და ღირებულებების რწმენას, ხელს უწყობს ცინიზმისა და ინდივიდუალიზმის დამკვიდრებას.

უარყოფითი მოვლენები მნიშვნელოვანწილად კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მათზე როდი დიავანება. ეს მოვლენები თავს იჩენს აგრეთვე ადამიანთა ურთიერთობაში, კერძოდ, ადამიანთა ეროვნულ ურთიერთობაშიც. სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ მიღწევებმა ეროვნულ ურთიერთობათა განვითარებაში არ უნდა შექმნას ეროვნული პროცესების უპრობლემობის წარმოდგენა, რომ საჭიროა „განსაკუთრებული პოლისხმირება და წინდახედულობა ყველაფერში, რაც ეხება ეროვნულ პოლიტიკას, თითოეული ერისა და ერების ინტერესებს, ადამიანის ეროვნულ გრძნობებს და ამავე დროს პრინციპული ბრძოლა ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყმობის, ნაციონალიზმისა და შოკინიზმის ყველაწიერი გამოვლინების წინააღმდეგ, რა სამოსელშიც არ უნდა იყვნენ ისინი გახვეულნი“. ეროვნულ შეზღუდულობასა და

ყოყოჩობას, ნაციონალიზმსა და შოვინიზმს გარკვეულად ხელს უწყობს არასწორი წარმოდგენები ერისა და კულტურის ბუნებაზე, მაგალითად, ერისა და მისი კულტურის თავისებურების ახსნა ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორებით, ამგვარ ახსნას კი ამა თუ იმ ფორმით ვხვდებით ჩვენს სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში. კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ავტორები, როგორც წესი, სწორად აღნიშნავენ ხოლმე იმ წვლილს, რაც მათმა მშობლიურმა კულტურამ შეიტანა მსოფლიოს საგანძურში, მაგრამ ზოგჯერ უგულებელყოფენ იმ ვითარებას, რომ ყოველი ერის კულტურა, მიუხედავად მისი წვლილისა კულტურის ისტორიაში, განუმეორებელია და ამდენად თავისი ადგილი უკავია მსოფლიო კულტურაშიც. როდესაც სხვა ხალხთა კულტურის მოღვაწეებზე მსჯელობენ, ავტორებს ზოგჯერ ავიწყლებათ, რომ ეს მოღვაწეებიც თავიანთი ერების სიამაყეს შეადგენენ და ამიტომ მათი უდიერად მოხსენიება ისევე შეურაცხყოფელი იქნება სხვა ერისათვის, როგორც ვინმეს მიერ მისი ეროვნული სიამაყისადმი ქედმაღლური დამოკიდებულების გამოქვადება.

უდიდესი ყურადღება დაუთმო ყრილობამ ე. წ. გლობალურ პრობლემებს და მათ შორის უმთავრესს — თერმოზირთვეული კატასტროფის თავიდან აცილებისა და განიარაღების პრობლემას.

გლობალურ პრობლემებს ფილოსოფიური ასპექტებიც აქვს და მათი გადაჭრის გზების ძიებაში ფილოსოფოსებმაც უნდა თქვან თავიანთი სიტყვა. ჩვენში კი ამ პრობლემებს გაკვრით თუ ვახსენებთ ხოლმე. დროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მათ შესწავლას. პარტიის XXVII ყრილობის მასალები უდიდეს სტიმულს იძლევა ამისთვის. ფილოსოფიის ინსტიტუტმა კარგა ხანია თავისი მუშაობის ცენტრში ადამიანის, კულტურისა და ღირებულებათა პრობლემა მოაქცია. გლობალური პრობლემები კი (გამაღებული შეიარაღება და მესამე მსოფლიო ომის საფრთხე, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, სასურსათო კრიზისები, წინააღმდეგობის გამწვავება განვითარებად ქვეყნებსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის და სხვ.) სწორედ ადამიანის, მისი კულტურისა და ღირებულებების არსებობას უქმნიან საფრთხეს. ამ პრობლემათა ღრმა დამუშავება ერთ-ერთი გზაა ფილოსოფიური მუშაობის მჭიდრო დაკავშირებისა ცხოვრების საპრობროტო საკითხებთან.

საზოგადოებათმცოდნეობა დღეს დიდად არის დაინტერესებული კულტურის საკითხებით, ბევრი იწერება როგორც კულტურის თეორიაში, ისე კულტურის ისტორიაში. ამ მხრივ შეიძლება გარკვეულ მიღწევებზეც ვილაპარაკოთ, მაგრამ სამწუხაროდ ყოველთვის მაღალ დონეზე არა გვაქვს თვით მეცნიერული კვლევისა და მისი შედეგების განხილვის კულტურა. კარგად არის ცნობილი, რომ საზოგადოებათმცოდნეობაში ზოგჯერ ადგილი აქვს არაკომპეტენტობას, რომ რეცენზენტების, რედაქტორებისა და გამომცემლობების მომთხოვნელობის დაქვეითების შედეგად ზოგჯერ მკითხველს ვაწვდით მოუზადებელ, კუროზული შეცდომების შემცველ წიგნებსა და წერილებს. ასეთი რაიმესაგან არც ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებაა დაზღვეული. სამწუხაროდ, ამგვარი, ელემენტარული შეცდომების შემცველი წიგნი ზოგჯერ არათუ კრიტიკის საგანი არ ხდება, არამედ მასზე დიოთრამბებით საესე რეცენზიები იბეჭდება. ამგვარი ვითარება, რა თქმა უნდა, ვერ აამაღლებს ჩვენი მეცნიერების პრესტიჟს. ჩვენს პრესაში იშვიათად იბეჭდება პრინციპული კრიტი-

კის შემცველი რეცენზიები ფლოსოფიურ და ფსიქოლოგიურ წიგნებზე, იშვიათად ეწეობა წიგნების განხილვა, დისკუსიები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენს ეურნალში სამი წლის წინ წამოწყებული დისკუსია ფილოსოფიური ცოდნის თავისებურების საკითხზე ფაქტიურად ისე შეწყდა, რომ ნამდვილი კამათი არ გაშლილა. აქაც, ალბათ, გამოვლინდა ინერტულობა, რამაც საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ დარგს დაამჩნია კვალი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალი საკოორდინაციო საბჭოს არსებობისა, ჯერ კიდევ სუსტია კავშირი საზოგადოებათმცოდნეობის სხვადასხვა დარგებს შორის, ხოლო მეცნიერთა და შემოქმედებით ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ნაცვლად იშვიათი არ არის გაუგებრობაზე დამყარებული დავა და კინკლაობა მათ შორის.

ფილოსოფიური კვლევა საქართველოში უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად არის ორიენტირებული აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემატიკაზე. დიდ ყურადღებას აქცევენ ქართველი ფილოსოფოსები თვით ფილოსოფიისა და ცხოვრების ურთიერთობის გააზრებას, ადამიანისა და მისი კულტურის პრობლემებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით საჭიროა მეტი მიზანდასახულობა, გაბედულება და მწვავე ცხოვრებისეული პრობლემების კვლევა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებათმცოდნეები, კერძოდ ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები, აქტიურად ეხმარებიან რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს, ისინი თავიანთ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო-პრაქტიკულ რეკომენდაციებში აყენებენ კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან ბრძოლის, იდოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისა და განმტკიცების ღონისძიებებს, მაგრამ, ერთი მხრივ, სათანადო ორგანოები ყოველთვის ვერ იჩენენ დაინტერესებას, ხოლო მეორე მხრივ, თვით მეცნიერთა და სამეცნიერო დაწესებულებებს მართებთ გამოამყვანონ მეტი სიმტკიცე და ენერჯია, რათა მათი წინადადებანი გატარდნენ ცხოვრებაში.

ახალი რთული ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელია მეცნიერული შრომის ორგანიზაციის გარდაქმნაც. ჩვენს ინსტიტუტებს უახლოეს ხანში მოუხდებათ განახორციელონ ამგვარი გარდაქმნის ღონისძიებანი, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ შრომის მორალური და მატერიალური წახალისების ფორმების სრულყოფას. რა თქმა უნდა, მეცნიერული შრომა თავისებურია და მისი მართვის სფეროში არ შეიძლება მექანიკურად გადმოვიტანოთ მატერიალური წარმოების სფეროში გამართლებული მეთოდები, მაგრამ ზოგი რამის სესხება კი მიზანშეწონილი ჩანს. კერძოდ ის კურსი, რომ საწარმოები არ უნდა მუშაობდნენ საწყობებისა და თაროებისათვის, გარკვეული მოდიფიკაციით შეიძლება გავავრცელოთ მეცნიერებაზეც. აქაც შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერული ნაშრომები არქივებისა და კარადებისათვის არ უნდა იქმნებოდეს, რომ მეცნიერული შრომა საბოლოო შედეგით — პუბლიკაციებით უნდა შეფასდეს. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება ამ სფეროშიც მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით ვიმსჯელოთ — ე. ი. წიგნების სიდიდისა და წონის მიხედვით. აქაც უმთავრესად ხარისხობრივი მაჩვენებლებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, ხოლო ამისი კრიტერიუმების დადგენაც ისევე ჩვენივე ვალაია.



საზოგადოებრივი პრაქტიკის მრავალ ამოცანათა გადაწყვეტაში განუხრელად იზრდება და შემდგომში სულ უფრო გაიზრდება ფსიქოლოგიური მეცნიერების ხვედრითი წონა, რადგან ის უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანური ფაქტორის როლის ამალღებასთან. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მისაღებია ისეთი საკითხი, როგორც არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიური მიმართულებით განვითარება, რაც დაკავშირებულია არა მარტო ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფასთან, არამედ, უმეტესად, შრომის პროცესში ადამიანთა ინცივიტივობის და დამოუკიდებლობის მნიშვნელობის გაზრდასთან, სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის და მართვის ახალი ფორმების განვითარებასთან, დაბოლოს საკუთრივ შრომის მიმართ ადამიანის დამოკიდებულების შეცვლასთან. ადამიანის ფაქტორთან არის დაკავშირებული სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება, ჩვენი დემოკრატიის ფართო შესაძლებლობათა უფრო სრულყოფილი რეალიზაცია და თვით საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი განვითარება.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ძირეულ ამოცანათა გადაწყვეტა ადამიანთა შეხედულებების გარდაქმნასაც გულისხმობს, რაშიც ფსიქოლოგიურ მეცნიერებას ბევრი რამის ვაკეთება ევალება. იდეოლოგიური მუშაობის ფსიქოლოგიური მხარის სრულყოფა ფრიად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, მისი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში უფრო გაიზრდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ განუხრელად იზრდება საბჭოთა ადამიანების ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და პოლიტიკური დონე, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის მეთოდური და შინაარსობრივი მხარის თვისობრივ სრულყოფას. დღევანდელ დღეს იდეოლოგიური მუშაობა აუცილებლობით მოითხოვს ჩვენს საზოგადოებაში არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული საკითხების არა მხოლოდ შინაარსობრივი მხარე, არამედ მოვლენებისადმი თანამედროვე ადამიანის შემფასებლური დამოკიდებულების ფსიქოლოგიური თავისებურებანიც.

პოლიტიკური ცნობიერების ძირითად კომპონენტად, სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ ცოდნისა და შეხედულებათა გარდა, გვევლინება მათ მიმართ ადამიანის პიროვნული დამოკიდებულება, რომელიც სოციალური განწყობის ცნებით არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ განწყობის თეორიის მიმდევრების მიერ ინტენსიურად შეისწავლება სოციალურ განწყობათა ფორმირების და შეცვლის კანონზომიერებანი, რომელთა მიყენება იდეოლოგიური მუშაობისადმი უდავოდ ამაღლებს მის ეფექტურობას. მაგრამ, როდესაც ლაპარაკია იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკული მხარის გაუმჯობესების შესახებ, ზშირად ნათლად არ არის გაცნობიერებული, რომ პოლიტიკური ცოდნა და სოციალური განწყობა პოლიტიკური მოვლენების მიმართ ერთი და იგივე არ არის. იდეოლოგიურ მუშაობაში უპირატესად ძირითადი აქცენტი გადატანილია მხოლოდ პოლიტიკურ განათლებაზე, მაშინ როდესაც აუცილებელია სპეციალური იდეურ-აღმზრდელობითი სისტემის შექმნა, რომელსაც შესაბამისი პროგრამები და მეთოდები ექნება. ამ მიმართულებით ფსიქოლოგიურ მეცნიერებას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიური განვითარების საკითხი ძირითადია პარტიის შინაგანი პოლიტიკის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით ფსიქოლოგიის წინაშე მრავალ ამოცანათა შორის უპირველესი დაკავშირებულია მართვის პროცესების სრულყოფასთან. ამასთან დაკავშირებით, სკკპ XXVII ყრილობაზე მძაფრად დაისვა საკითხი კადრებთან მუშაობის თვისებრივი გაუმჯობესების შესახებ, რაც დაკავშირებულია წარმოებათა ინიციატურობის, პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის შემდგომ განვითარებასთან, ყველაფერი ეს აუცილებელს ხდის ახლებურად იქნეს გააზრებული ფსიქოლოგიის როლი საკადრო პოლიტიკის დაგეგმვისა და რეალიზაციის საქმეში. დღეს ნათელი ხდება პროფესიული დიაგნოსტიკის ღრმა მეცნიერული შესწავლის აუცილებლობა, კადრების შერჩევაში და მომზადებაში ფსიქოლოგიური მაჩვენებლების გამოყენების საჭიროება. საკითხი ეხება კადრების შერჩევას ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში სავარაუდო ცვლილებების თვალსაზრისით, რაც არსებითად აფართოებს ფსიქოლოგიური მეცნიერების ამოცანათა მასშტაბს. თუ აქამდე შესაბამისი კვლევა იფარგლებოდა შედარებით განსაზღვრულ პროფესიათა შესწავლით და უპირატესად ყურადღებას ამახვილებდნენ პროფესიული ვარგისობის ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების შესწავლაზე, აქამდე აუცილებელი გახდა, უპირველეს ყოვლისა, პროფშერჩევის და პროფმომზადების უფრო ექსტენსიური კვლევა. ერთი მხრივ, აუცილებელია სრულყოფით კადრებთან აღმზრდებლობითი მუშაობა, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფით კადრების განაწილების საკითხი მეცნიერულად დასაბუთებული მაჩვენებლების მეშვეობით.

ნებისმიერი საქმიანობის ეფექტური წარმართვა გულისხმობს არა მარტო ცოდნას და გამოცდილებას, არამედ ისეთ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, როგორც არის საქმისადმი და პროფესიისადმი ერთგულება, ამოცანათა მასშტაბის განჭვრეტა, მათი პოლიტიკური პოზიციიდან შეფასების უნარი. აღნიშნული თვისებების გამოვლენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კადრების განაწილებასა და პროფესიული მომზადების ეფექტურ წარმართვაში. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ფსიქოლოგიამ,

სოციალური სამართლიანობის საკითხს, რომელსაც სკკპ XXVII ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო, ფსიქოლოგიური ასპექტიც აქვს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იმის მიხედვით, თუ რამდენად სამართლიანად მიაჩნია ადამიანს ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის პირობები, არსებითად იქნება განსაზღვრული მისი დამოკიდებულება საზოგადოების მოთხოვნებსა და საკუთარი ვალდებულებების მიმართ.

სამწუხაროდ, სოციალური სამართლიანობის საკითხის ფსიქოლოგიური მხარე ჭერჭერობით არ გამხდარა საბჭოთა ფსიქოლოგების ინტენსიური კვლევის საგანი. ამ მხარეს კი არსებითი მნიშვნელობა აქვს. სოციალური სამართლიანობა გულისხმობს, რომ საზოგადოებრივ და მატერიალურ ღირებულებათა განაწილება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ და სამართლიან პრინციპს: „ყველაათვის — უნარების მიხედვით, ყველას — შრომის მიხედვით“. ნათელია, რომ აღნიშნული პრინციპიდან ყოველგვარი გადახვევა იწვევს ისეთ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ შედეგებს, როგორც არის შრომისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, მის მიმართ დანტერესების დაქვეითება, რაც, თავის მხრივ, იწვევს მნიშვნელოვან დანაკლისს სახალხო მეურნეობაში და უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა ზნეობრივ და იდეურ-პოლიტიკურ აღზრ-

დახე. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საგულისხმოა არა მარტო ის, თუ როგორ ხორციელდება ამ პრინციპის მეორე ნაწილი (ანაზღაურება შრომის მიხედვით), არამედ ისიც, თუ რამდენად აქვს ადამიანს თავისი უნარების გამოვლენის საშუალება, რასაც პრაქტიკული საქმიანობის დროს ხშირად არ ეთმობა სათანადო ყურადღება. საკუთარი უნარების გამოვლენის შეუძლებლობა განაპირობებს დიდ ფსიქოლოგიურ ცვლილებებს. თუ ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ არის ჩართული თავისი უნარების შესაბამისად, მან, თუნდაც მაღალ სოციალურ და მატერიალურ ანაზღაურებას ღებულობდეს, მთლიანი ვითარება შეიძლება შეათვისოს როგორც უსამართლო, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს ადამიანის საქმისადმი დამოკიდებულებაზე, მის მიერ სოციალური სამართლიანობის შეფასებაზე. როგორც ვხედავთ, ამ სფეროში ფსიქოლოგიურ მეცნიერებას ბევრი სათქმელი აქვს და უფრო მეტი გასაკეთებელი.

სოციალისტური საზოგადოების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი რთული და მრავალმხრივი მოვლენის შესწავლას, როგორც არის საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესი. მასში, უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ჩვენი საზოგადოების იდეოლოგიურ და ზნეობრივ ღირებულებათა მიმართ პიროვნების დამოკიდებულება, დამოკიდებულება შრომის მიმართ, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების გონივრული და თანამედროვე გაგება. სოციალიზმის პირობებში ჯერ კიდევ არსებობს ნაკლოვანებანი მოსახლეობის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, რომლის აღმოფხვრის ნათელი სტრატეგია დასახა სკკპ XXVII ყრილობამ. დღეს პირველ პლანზე წამოწეულია წარმოების მაჩვენებლების არა რაოდენობრივი მხარე, არამედ მისი თვისებრივი მონაცემები. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას იძენს ცხოვრების მატერიალური მხარის თავისებური ფეტიშიზაცია, სახმარ ღირებულებათა გარდაქმნა გაუკუღმართებულ სოციალურ ღირებულებებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთი ადამიანის ინტერესები არსებითად გამოხატავენ ეგოისტურ, მეწიანურ ცხოვრებისეულ ორიენტაციებს. ამგვარი მოვლენები უცხოა ჩვენი საზოგადოების ბუნებისათვის, ამიტომ აღნიშნული ორიენტაციების აღმოფხვრა დიდ მნიშვნელობას იძენს. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ აღნიშნული ტენდენციების ძირითად საფუძველს წარმოადგენს სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც ფსიქოლოგიის კონკრეტულ ამოცანებზეც მიუთითებს.

სოციალისტურ საზოგადოებაში ცხოვრების წესის პრობლემების შესწავლა, სოციალისტურ ურთიერთობათა დამახინჯების ფსიქოლოგიურ მხარეთა გამოვლენა და საზოგადოებრივი პრაქტიკისათვის სათანადო მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება — დღევანდელი დღის აქტუალური პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ფსიქოლოგიამ.

\* \* \*

ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა, ისევე როგორც მთლიანად საზოგადოებათმცოდნეობის, წინაშე სკკპ XXVII ყრილობამ უმნიშვნელოვანესი ამოცანები დასახა. ამ ამოცანებს წარმატებით, რომ გავართვათ თავი, საჭიროა დაეძაბოთ მთელი ჩვენი ძალები, დაედლობოთ ინერტულობისა და პასიურობის ტენდენციები. მხოლოდ ამ პირობით შევძლებთ საგრძნობი წვლილი შევიტანოთ საზოგადოებრივი განვითარების საქმეში.

## 150 წელი ნ. ა. დობროლიუბოვის დაბადებიდან

19-ე საუკუნის ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ნ. ა. დობროლიუბოვი აქტიურად და მყისვე ეხმარებოდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, მათ შორის, მეცნიერული აზროვნების განვითარების დარგში. 1859 წელს დაიბეჭდა გაბრიელის (იმჭერად დავით-გარეჯის არქიმანდრიტის, თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორის, შემდეგში — ეპისკოპოსის, ერისკაცობაში — გერასიმე ქიქოძის) წიგნი „Основания опытной психологии“. ეს რუსეთში პირველი წიგნი იყო, სადაც ავტორმა არსებითად დაგმო გონებაჭვრეტითი ფსიქოლოგიის უკანონო უნივერსალიზაცია და მოითხოვა გზა გახსნოდა ემპირიულ კვლევას ფსიქოლოგიაში. ამავე დროს ამ წიგნში გაბრიელი ავითარებს ე. წ. ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის იდეას, იკვლევს და ამოცანად სახავს გამოკვლეულ იქნეს ყველა ფსიქიკური ფუნქციისა და მოვლენის ფიზიოლოგიური საფუძვლები. მიუხედავად ასეთი არაკლერიკალური სულისა, წიგნი, როგორც მაღალ მეცნიერულ დონეზე დაწერილი თხზულება, დამკვიდრდა როგორც ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო. გაბრიელის ეს თხზულება, როგორც აქედან ჩანს, მატერიალისტური ფსიქოლოგიის მძლავრ ნაკადს შეიცავდა, რის გამოც, გასაგებია, მან ნ. ა. დობროლიუბოვის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც სულ მალე რეცენზია უძღვნა წიგნს ჟურნალ „სოვრემენიკში“ (1859 წ., № 3), რომლის კრიტიკული ბიბლიოგრაფიულ ნაწილს თვითონვე ხელმძღვანელობდა.

საჭიროდ მიგვაჩნია დობროლიუბოვის ამ რეცენზიაში, რომლის ჩვენეულ ქართულ თარგმანსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებებს.

ნ. ა. დობროლიუბოვი ეთანხმება წიგნის ავტორის ძირითად იდეას ცდილურ ფსიქოლოგიის მეთოდის დამკვიდრების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ აკრიტიკებს მას იმისათვის, რომ ეს ცდა წიგნში ბოლომდე არაა მიყვანილი.

უფრო არსებითია უთანხმოება ფსიქოფიზიკურ პრობლემაზე. დობროლიუბოვს მოსწონს გაბრიელის წიგნის მატერიალისტური ტენდენცია, რაც გამოიხატება იმის მტკიცებაში, რომ ყოველ ფსიქიკურს აქვს მატერიალური, ფიზიოლოგიური საფუძვლები, რომ ასეთ საფუძვლებს შეადგენენ სხეულებრივი პროცესები, გრძნობის ორგანოებსა, ნერვული გადაცემის გზებსა და თავის ტვინში მიმდინარე პროცესები და ადამიანის სხვა ორგანოებში წარმოქმნილი სხეულებრივი მოვლენებიც. მაგრამ გაბრიელი ყველგან ამტკიცებს, რომ ფსიქიკური არ დაიყვანება სხეულებრივზე, რომ ვერც გრძნობის ორგანოები, ვერც ნერვული პროცესები და, კერძოდ, ტვინი ვერ გვაძლევენ შეგრძნებას როგორც ფსიქიკურ ფაქტს. დობროლიუბოვი აკრიტიკებს გაბრიელის ამ შეხედულებას და ცდილობს საბუთები მოიყვანოს იმის დასამტკიცებლად, რომ ფსიქიკური (შეგრძნება) ბოლომდე დაიყვანება უმაღლესად ორგანიზებულ მატერიაზე — ტვინზე, როგორც მისი თვისება. მსგავს თვალსაზრისს ავი-

თარებდნენ შემდეგდროინდელი ფიზიოლოგი მკვლევარები სეჩენოვი და, განსაკუთრებით, პავლოვი. ამ მიმართულებას, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფსიქიკის ფიზიოლოგიური საფუძვლების კვლევის განვითარებისათვის და იმ დროისათვის სერიოზული ფილოსოფიური თეორიის პრეტენზიის მქონე სპირიტუალისტური კონცეფციის შემოტევებისაგან მატერიალისტური თეორიის დაცვისათვის. თუმცა ეს მიმართულება თავისუფალი არ იყო მექანიცისტური მატერიალისტური რედუქციონიზმის შეცდომისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიოლოგიურზე ფსიქიკურის დაყვანის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც თავისთავად ნიშნავს რედუქციონიზმისაგან თავის დაღწევას, გაბრიელი ხელმძღვანელობს უპირატესად ემპირიული ფაქტებითა და ვითარებებით, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დობროლიუბოვიც ცდიხულ საბუთებს უპირისპირებს მას და ასეთივე საბუთების უკმარობაზე მიუთითებს სარეცენზიო წიგნში.

ზოგიერთი ფიზიოლოგიური წარმოდგენა, რომლებიც რეცენზიაში გვხვდება, დღეს, მართალია, მოძველებულია, მაგრამ ეს ისტორიულად ყოველთვის ასეა — რამდენიმე ხნის შემდეგ დღევანდელი ბევრი კერძო ფიზიოლოგიური წარმოდგენა, უდავოდ, ასეთსავე შეფასებას დაიმსახურებს. თუმცა ჩვენს შემთხვევაში, როგორც ხშირად ხდება საერთოდ, ეს სულაც არ ნიშნავს იმ ზოგადი ვითარების სიმცდარეს, რომელიც ამ კერძო წარმოდგენებითაა გადმოცემული.

ოთარ ტაბიძე

18284



### ნ. ა. ლობჯინიძის

## „ცდინაშუი ფსიქოლოგიის საფუძვლები“ არქიმანდრიტ გაბრიელის (ქიქოძის) თხზულება

ფაქტები კი არ უნდა მოვარგოთ წინასწარ გამოგონებულ კანონს, არამედ თვითონ კანონი უნდა გამოვიყვანოთ ფაქტებიდან მათზე ძალდატანების გარეშე: ეს იმდენად მარტივი და ყველასთვის გასაგები ჭეშმარიტებაა, რომ მას, ბოლო დროს, ყველა აღიარებს. თუმცა ამ ჭეშმარიტებასთან უფრო ხშირად წინააღმდეგობაში მოდიან და, რაც უფრო დასაანანია, წინააღმდეგობაში მყოფნი ხშირად თვითონ ქადაგებენ მას. როგორ შეიძლება, ამბობენ ისინი, დავიწყეთ იქედან, რაც კვლევა-ძიების შედეგი უნდა იყოს: ფაქტები, ფაქტები—აი, საიდან უნდა დავიწყეთ! მაგრამ დააკვირდები და ნახავ, რომ დანასაკვი მათ დიდი ხანია მზადა აქვთ, ფაქტები კი ისე, მხოლოდ ფორმალობისათვის მოპყავთ, მოსაჩვენებლად. კიდევ არაფერი, ეს ფაქტები რომ თანხმობაში იყვნენ დანასაკვანთ, მაშინ ის მაინც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ყოველივე ამას უფრო მეტი სიცხადისთვის ჩაღიან, მაგრამ ეს ზომ ასე არ არის: ფაქტებსა და დანასაკვებს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. უფრო მეტიც: აბა, ვინმემ გაბედოს ამ ბატონებს მიუთითოს მათი მსჯელობების არათანმიმდევრულობა და თვითნებურობაზე და მას წამსვე უმეცარს უწოდებენ, და, ის კი არა, შეიძლება არაკეთილისმზრახველადაც მონათლონ იგი. მათ აკვიატებითაღ *Idee fixe* და, რაც არ უნდა აუხსნა, მაინც თავისას გაიძახიან, ხოლო თუ ისინი რაიმე ისეთს წააწყდებიან, რაც მათი თეორიით ვერ აიხსნება, ამას ისინი არად მიიჩნევენ: მაშინვე იმაზე მიუთითებენ, რომ ქვეყნად ბევრი რამ არის მიუწვდომელი ჩვენი უძლური გონებისათვის, რომ საიდუმლოებასა და ამოუცნობს ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით, და ამით საქმეს დამთავრებულად მიიჩნევენ. თავისთავად გასაგებია, რომ მეცნიერება არაფერს არ უნდა ელოდეს ასეთი მკვლევარებისგან, რომ აქ ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე პროგრესზე.

არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნი, კაცმა რომ თქვას, ახალს არაფერს გვეუბნება ძველ ფსიქოლოგიათა წინააღმდეგ. მაგრამ იგი მათგან განსხვავდება გადმოცემის მეთოდით და ფიზიოლოგიური ფაქტების შედარებით დიდი რაოდენობით, რაც მის უდავო ღირსებას შეადგენს. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ავტორი ამ ფაქტებს ცალმხრივი თვალსაზრისით განიხილავს; მის მიერ მოყვანილი ბევრი საწინააღმდეგო აზრის საპასუხოდ მხოლოდ არაპირდაპირ პასუხს იძლევა, ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს კი საერთოდ გადაუჭრელად ტოვებს.

თავის წიგნს ავტორი გარეგანი შეგრძნებების ანალოზით იწყებს. ამასთან იგი საკმაოდ დეტალურად ლაპარაკობს თითოეული გრძნობის ორგანოს აკვებუ-

ლების შესახებ და იძლევა თვითონ აღქმის პროცესის ახსნას. იგი ამტკიცებს, რომ თვალი კი არ ხედავს საგნებს, ყურები კი არ ისმენს ბგერას, არამედ ამ ორგანოების მიერ გარე საგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებები მგრძნობიარე ნერვების მეშვეობით გადაეცემა ტვინს. ამასვე აძობს იგი სამი დანარჩენი გრძნობის აღქმათა შესახებაც. ყოველივე ეს ჭრჭერობით, ჩანს, დამაკმაყოფილებელია. მაგრამ შეუძლებელია დავეთანხმით ავტორის შემდგომ აზრს, ყოველ შემთხვევაში, იმ მტკიცებებს, რომლებიც მას მოჰყავს. აფასებს რა გრძნობადი აღქმის მთელ პროცესს, იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ თვითონ ტვინიც კი არ შეიძლება ვცნოთ შემგრძნებ საწყისად. ჩვენ ხალისით დავეთანხმებოდით ამ დებულებას, ავტორი თუ სინამდვილეში დაასაბუთებდა მას. არ შეიძლება საკითხი მხოლოდ ნახევრად გადაწყვიტო და ამავე დროს ამტკიცებდე, რომ ის საბოლოოდაა გადაჭრილი. ამან შეიძლება შეაცდინოს გონება-ჩლუნგი ადამიანები; ხოლო ვისაც ცოტა საღი აზროვნება მაინც აქვს, საეჭვოა იგი დააკმაყოფილოს ამ სანახევრო გადაწყვეტამ. საჭიროა ნათქვამი დასაბუთებულიც იქნეს. მარტო სიტყვისა კი დღეს აღარავის სჯერა.

იმის (როს ტვინი არ არის შემგრძნები საწყისი) მთავარ და საკმარის საბუთს, — ამბობს ავტორი, — ვპოულობთ ჩვენ ი შ ე გ რ ძ ნ ე ბ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს ა და ს ი მ ა რ ტ ი ვ ე შ ი, ერთიანობასა და სიმარტივეში, ერთიანობასა და სიმარტივეში, რომელიც ასე ეწინააღმდეგება ტვინისა და მთელი ნერვული სისტემის სირთულეს.

მაგრამ ნივთიერ სამყაროში ჩვენ ვერ ვნახავთ ვერც ერთ საგანს, რომელშიც არ ვლინდებოდეს მისი დამახასიათებელი რაიმე ძალები. სწორედ ასევე, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მატერიისაგან დამოუკიდებელი ძალა. ძალა შეადგენს მატერიის ძირეულ, განუყოფელ თვისებას და მას ცალკე არსებობა არ შეუძლია. იგი მატერიას კი არ შეიძლება მივანიჭოთ, არამედ შეიძლება მხოლოდ აღვძრაოთ მასში. მაგნეტიზმი შეიძლება გამოვიწვიოთ სხეულში და არა მივანიჭოთ მას. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მაგნიტური ძალები რკინის ან საერთოდ სხეულის გარეშე, რომელშიც იგი არის მოცემული, როგორც მისი ერთ-ერთი ძირეული, ელემენტარული თვისება. მაშასადამე, ადამიანის ტვინშიც, რა აღნაგობისაც არ უნდა იყოს იგი, მისი საკუთარი ძალა უნდა იყოს. და რა ვასაკვირია, თუ ეს ძალა ვლინდება შეგრძნებაში?...

სხვებს, პირიქით, ამ საწინააღმდეგო აზრის სრულიად საპირისპირო აზრი მოჰყავთ, სახელდობრ — რომ ტვინი ერთგვაროვან მთლიან მასას წარმოადგენს, მეტად მარტივია შემადგენლობის და ფორმის მხრივაც, რათა ერთადერთი წყარო იყოს ისეთი ფაქიზი და რთული მოქმედებისა, როგორსაც მას მიაწერენ: რთული ძალები, ამბობენ ისინი, მხოლოდ რთულ მატერიაში შეიძლება იყოს. მაგრამ თეორიულად რაციონალური ეს საწინააღმდეგო აზრიც სინამდვილეში უსაფუძვლოა, რადგანაც ეწინააღმდეგება ანატომიას. ორგანულ სამყაროში ჩვენ ვერაფერს ისეთს ვხედავთ, რასაც იმაზე უფრო თავისებური სახე, იმაზე უფრო რთული აღნაგობა და, ბოლოს, იმაზე უფრო საუცხოო ქიმიური შემადგენლობა ჰქონდეს ვიდრე ტვინსა აქვს. რა ღარიბიც არ უნდა იყოს ჩვენი ცოდნა მისი შემადგენლობის შესახებ, ჩვენ მაინც ვიცით, რომ ის ერთგვაროვანი მთლიანი მასა კი არ არის, არამედ შედგება მეტად წვრილი, ფაქიზი, ერთმანეთში გადახლართული ცილინდრებისაგან, რომლებსაც ძირეულ

ბოქკოებს უწოდებენ და ავსებუღია ზეთოვანი სითხით, რომელიც შეიძლება აიჭრას. გარდა ამისა, ანატომია გვიჩვენებს, რომ ტვინში არის მრავალი სრულიად უცნაური მოხაზულობა, რომელთა მნიშვნელობა ჩვენთვის ჯერ კიდევ სრულიად გამოუცნობია, ხოლო ტვინის ზედაპირზე არის მთელი რიგი ნაოჭისებური ჩაღრმავებანი, რომლებშიც ბევრ წერტილში ერთმანეთს ხვდება ტვინის მთავარი შემადგენელი ნაწილები, თეთრი და რუხი მასები. ეგრეთწოდებული განვლიური ბურთულები, რომლებიც თავისა და ზურგის ტვინთა რუხ მასაში ვხვდებით. თავის აგებულებაში ბევრ თავისებურებებს გვიჩვენებენ. ძირეული ბოქკოები ზოგან გარს ეხვევიან მათ, ზოგან მათ ზევით მდებარეობენ, ზოგან მათგან გამოდიან და ა. შ. ცხოველებთან ვერ ვნახავთ რომელიმე ორგანიზმს, სიფაქიზით და მრავალგვაროვნებით, თავისი აღნაგობის სინატიფით რამდენადმე რომ შეედრებოდეს ტვინს. ბოლოს, გულიდან ტვინი უფრო მეტ სისხლს იღებს. ვიდრე რომელიმე სხვა ორგანო, და მასში სითხეთა მიმოქცევა უფრო სწრაფია, ვიდრე სადმე სხვაგან, ამის შესაბამისად სისხლძარღვთა ანატომიური განლაგებაც ტვინში მეტად რთულია და სრულიად თავისებური. არანაკლებ რთულია ტვინის ქიმიური შემადგენლობაც. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მასში არის ისეთი ელემენტები, როგორიც არაა არც ერთ ორგანულ სხეულში, მაგალითად, ცერებრინი. იმასაც კი აშბობენ, რომ მასებს, რომელთაგანაც შედგება ტვინი და ნერვები, თავისი განფენილობის სხვადასხვა ადგილებზე სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობა აქვთ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა გონებრივი მოქმედებისათვის აქვს ფოსფორს, რომელიც ტვინის ცხიმში იმყოფება; უახლესი დაკვირვებების მიხედვით, ტვინის ფსიქიკურ მოქმედებაში და, საერთოდ, ნერვული სისტემის მოქმედებაში მონაწილეობს კიდევ ერთი ძალა, რომელიც ადრე მხოლოდ არაორგანულ სხეულებში იყო შენიშნული. ეს ძალაა ელექტრობა. ამრიგად, ტვინის ანატომიური და ქიმიური აგებულება, რა ღარიბიც არ უნდა იყოს მათ შესახებ ჩვენი ცოდნა, არ ეწინააღმდეგება იმ მოქმედებათა სირთულეს, რომელსაც მას მიაწერენ. გარდა ამისა, ზედმეტი არ იქნება, თუ აქ შევნიშნავთ, რომ არსებობს ბევრი სხეული, რომელთაც აქვთ ერთნაირი ქიმიური შემადგენლობა, მაგრამ სხვადასხვანაირი თვისებები. ვერც ქიმიამ და ვერც მიკროსკოპმა დღემდე ჯერაც ვერ მიაკვლია იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს გადამდებ და არაგადამდებ ჩირქთა შორის. თუ არაორგანული სხეულების მექანიკური თუ ქიმიური შემადგენლობების ასეთი შეუძინველი განსხვავება იწვევს მათი თვისებების არსებით განსხვავებას, მაშინ რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ მსგავსი უმნიშვნელო მიზეზები ტვინის მოქმედებაზეც მოახდენენ გავლენას. განვლიური ბურთულები, რომლებიც მოთავსებულია ტვინის ღრუში და, ჩანს, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მის ფსიქიკურ მოქმედებაში, თავისი ანატომიური აგებულებით სულაც არ განსხვავდება მსგავსი ბურთულებისგან, რომლებსაც მუცლის ღრუში ვხვდებით; და მაინც, მათ მოქმედებებში არის და უნდა იყოს კიდევ განსხვავება. ყოველივე ეს აღსატურებს იმ აზრის სისწორეს, რომ ტვინის აგებულების მოჩვენებითი სიმარტივე არ გამოდგება იმის უარსაყოფად, რომ ტვინს შეუძლია რთული მოქმედებების შესრულება.

თუ ტვინს უნარი აქვს ასეთი ფაქიზი მოქმედებისა, მაშინ რატომაა, — ამბობენ ფსიქოლოგები, — რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ რაიმე ამის მსგავსის გამოკრთომასაც კი სხვა ორგანულ და არაორგანულ სხეულებში, მაგალითად,

ქვაში, ხეში და ა. შ.? ქვა და ხე ხომ ისეთივე მატერიაა, როგორც ტენი. მაგრამ ამ მოწინააღმდეგეებს ავიწყდებათ, რომ სამყაროში ყველაფერი განვითარების კანონს ექვემდებარება და ადამიანის ტენი, მათივე სიტყვების თანახმად, უფაქიზესი მატერიაა. ბუნებაში ყოველივე მიემართება მარტივიდან რთულისაკენ, არასრულყოფილიდან უფრო სრულყოფილისაკენ; მაგრამ ყველგან გვაქვს ერთი და იგივე მატერია, ოღონდ — განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. რატომ უნდა გვიკვირდეს, როცა ერთ საფეხურზე ჩვენ ვხედავთ იმას, რაც მეორე საფეხურისათვის არაა დამახასიათებელი? არაორგანულ სხეულებში ჩვენ სრულიადაც ვერ ვხედავთ სიცოცხლეს იმ სახით, რა სახითაც იგი ორგანულ სხეულებში ვლინდება; მიუხედავად ამისა, ისინიც იცვლებიან როგორც მოცულობის, ისე თავისი შინაგანი შედგენილობის მხრივ, მათზე დაკვირვებისას ჩვენ ყოველთვის ვამჩნევთ ხან მექანიკურ, ხანაც ქიმიურ პროცესებს. მაგრამ არის თუ არა ეს იგივე სიცოცხლე, თუნდაც განვითარების დაბალი საფეხურისა? მცენარეებში სიცოცხლე უკვე იმის გამოა უფრო ნათლად გამოკვეთილი, რომ თვითონ ისინი უფრო განვითარებულ მატერიას წარმოადგენენ, ვიდრე არაორგანული სხეულები. აქ მოცემულია თავიც, ასობიც, კვების ორგანოებიც, გამრავლების, დაბადების ორგანოებიც და სიკვდილიც. ცხოველთა სამყაროში სიცოცხლე კიდევ უფრო ხელშესახებად იჩენს თავს. ცხოველებს აქვთ გადაადგილების უნარი; გარდა ამისა, ჩვენ მათში ვამჩნევთ მაღალი სასიცოცხლო მოქმედების გამოკრთობებს. ადამიანი, ცხოველთა შორის უსრულყოფილესი არსება, წარმოადგენს სამყაროს არსებათა განვითარების უკანასკნელ საფეხურს ხილულ ქვეყნიერებაზე; მარტო ამის გამო რატომ არ უნდა დავუშვათ მასში ის, რასაც ვერ ვამჩნევთ ნაკლებად განვითარებულ არსებებში? ხოლო თუ ადამიანის სხეულის ყველაზე განვითარებულ ნაწილს ტენი წარმოადგენს, მაშინ რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ტენის ისეთი მოქმედების უნარიც აქვს, როგორსაც ჩვენ ვერ ვნახულობთ ქვასა და ხეში? ტენი რომ ფსიქიკურ მოქმედებასთან მჭიდრო კავშირშია, ამ აზრამდე მივყავართ მეტად ბევრ საოცარ ფაქტს. მაგრამ ჩვენ შედუმება მიგვაჩნია მათი აქ მოტანა, მით უმეტეს, რომ მათ შესახებ იცის ყველამ, ვინც რამდენადმე იცნობს ფიზიოლოგიას. მათ შორისაც კი, ვისაც ფიზიოლოგიაში არასოდეს უმუშავია, განა იქნება ისეთი, ვისაც არ გაეგონოს, მაგალითად, ფლურანის მიერ ცოცხალ ქათმებზე ჩატარებული ცდების შესახებ? ნუთუ ამის გარდა საჭიროა კიდევ რაიმე სხვა ფაქტების მოტანა იმის დასადასტურებლად, რომ ტენი, განსაკუთრებით ადამიანის ტენი, წარმოადგენს უმაღლესი სასიცოცხლო მოქმედების წყაროს და რომ მასთან გონებრივ მოქმედებას პირდაპირი კავშირი აქვს?

იმ საწინააღმდეგო აზრებს გარდა, რომელთაც ჩვენ ახლა შევეხეთ, ფსიქოლოგებს მოპყავთ კიდევ სხვა მრავალი. მაგრამ ზოგიერთ მათგანს მჭიდრო კავშირი აქვს ზემოთქმულთან, სხვები კი იმდენად სასაცილოა, რომ სერიოზულ პასუხს არ იმსახურებს. საყურადღებოა, რომ ფიზიოლოგიის განვითარების კვალობაზე განყენებული ფსიქოლოგია ძველ უაზრობებს ახალს უმატებს, იბნევა, მაგრამ ცდილობს არ დანებდეს მოწინააღმდეგეს და ჯერ კიდევ რაღაც უუასაუკუნებობრივი ირონიით უყურებს მას, ძველი ფსიქოლოგები ცხოველის სულის მატერიალურობას მაინც უშვებდნენ, თანამედროვეებმა ცხოველებშიც ჩადეს სულიერი ძალა, თუმცა წაართვეს მას უკვდაობის უფლება...

თავი რომ უაღრესად დაიმშვიდონ და სხვებიც დაამშვიდონ, დღევანდელ ფსიქოლოგები მიუთითებენ ლიბიხის პირველ ლექციაზე, რომელიც მან 1856 წელს წაიკითხა მიუნხენის უნივერსიტეტში, და მასში ხედავენ თანამედროვე მეცნიერების საბოლოო დასკვნას. დიახ, ლიბიხი მართლაც მეტად შესანიშნავი პირია ბუნებისმეტყველების დარგში; მაგრამ ვინც მის გამოკვლევებს ახლო იცნობს, მან იცის, რომ მას საკუთარი ცდებისა შეეშინდა და მიატოვა ისინი რაიმე დასკვნის გარეშე.

კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით განსაზღვრული წიგნის ავტორს და საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ჩვენ სულაც არ უარყყოფთ მის ძირითად დებულებას, არამედ მხოლოდ იმის სურვილი გაქვს, რომ მან, განყენებულობისა და ფრაზეოლოგიის გარეშე, მიგვიითოს უფრო დადებით ფაქტებზე, რომელთაც იგი მიიყვანეს ზემოთქმულ შედეგამდე; ახლა კი ჩვენ მაინც საგონებელში ვრჩებით...

თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა  
მ. ტაბიძე

## ფილოსოფია

მურაღ ზონია

### ადამიანის ყოველმხრივობის გაბეგვისათვის

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის უმთავრესი მიზანია ახალი ადამიანის ჩამოყალიბება, ყოველივე დანარჩენი კი მხოლოდ საშუალებაა მისი ჩამოყალიბებისათვის.

ახალი ადამიანის ცნება მრავალი მნიშვნელობით შეიძლება ვიხმაროთ. ძირითადად ეს მნიშვნელობები ორია: ერთის მხრივ, გვაქვს ახალი ადამიანის აბსტრაქტული, ზოგადი ცნება, ხოლო, მეორეს მხრივ, ახალი ადამიანის კონკრეტული, ერთეული ცნებები. როგორც ვხედავთ, შესაძლებელია გვექონდეს ახალი ადამიანის ერთადერთი აბსტრაქტული, ზოგადი ცნება, მაშინ როდესაც შესაძლებელია გვექონდეს ახალი ადამიანის მრავალი კონკრეტული, ერთეული ცნება.

ახალი ადამიანის უზოგადესი ცნება აერთიანებს ახალი ადამიანის ყველა შესაძლო კონკრეტულ მნიშვნელობას.

ახალი ადამიანი უზოგადესი გაგებით ეს არის ნებისმიერი საზოგადოებრივ-ისტორიული საფეხურის ადამიანი წინა საფეხურის ადამიანთან მიმართებაში. ამასთან ეს „საზოგადოებრივ-ისტორიული საფეხური“ შეიძლება იყოს როგორც ნებისმიერი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია საერთოდ, ასევე მისი ქვესაფეხური კერძოდ. მაშასადამე, აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ვდებთ ამ „საფეხურში“.

ახალი ადამიანის აღნიშნული გაგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, მაგალითად, რომ მონათმფლობელური საზოგადოების ადამიანი ახალი ადამიანია პირველყოფილი სზოგადოების ადამიანთან მიმართებაში, ფეოდალური საზოგადოების ადამიანი — მონათმფლობელური საზოგადოების ადამიანთან მიმართებაში და ა. შ., ანდა შეგვიძლია ვთქვათ, მაგალითად, რომ რენესანსის ეპოქის ადამიანი ახალი ადამიანია წინა საფეხურის ადამიანთან მიმართებაში და ა. შ.

ასეთია ახალი ადამიანის უფართოესი გაგება. რაც შეეხება ახალი ადამიანის კონკრეტულ მნიშვნელობებს, აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს. ახალი ადამიანის ეს მნიშვნელობებია ახალი ადამიანი როგორც კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ადამიანი; ახალი ადამიანი როგორც კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირველი ფაზის — სოციალიზმის ადამიანი. დაბოლოს, ახალი ადამიანი როგორც კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მეორე ფაზის — საკუთრივ კომუნისტური ადამიანი.

ახალი ადამიანის ცნების ყველა აღნიშნული მნიშვნელობა დამოწმებულია ლიტერატურაში.

აქ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახალი ადამიანის ცნებას ამ ნაშრომში ვხმარებთ საერთოდ კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ადამიანის მნიშვნელობით.

როგორია ახალი ადამიანის თავისებურება?

ახალი ადამიანი ისეთი ადამიანია, როგორც უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი ადამიანი ისეთი ადამიანია, რომლის არსობრივი (ფაქტობრივი) და ჭერარსობრივი (ნორმატიული) მხარეები თანხმობაშია ერთმანეთთან; ეს არის ადამიანი, რომელიც ისევე ცხოვრობს, როგორადაც უხდა ცხოვრობდეს, ანუ ადამიანი, რომლის „არსებობა“ თანხმობაშია მის „არსებასთან“.

საპირისპიროდ ამისა, ძველი ადამიანი ისეთი ადამიანია, როგორც არ უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძველი ადამიანი ისეთი ადამიანია, რომლის არსობრივი (ფაქტობრივი) და ჭერარსობრივი (ნორმატიული) მხარეები უთანხმოებაშია ერთმანეთთან; ეს არის ადამიანი, რომელიც ისე არ ცხოვრობს, როგორადაც უნდა ცხოვრობდეს, ანუ ადამიანი, რომლის „არსებობა“ უთანხმოებაშია მის „არსებასთან“.

ამგვარად, ძველი ადამიანი გაუცხოებულია, ხოლო ახალი ადამიანი კი — გაიგივებული.

აქ აუცილებელია განიმარტოს, თუ რას გულისხმობს „გაუცხოებული“ და „გაიგივებული“ ადამიანი, რას გულისხმობს ადამიანის „გაუცხოება“ და „გაიგივება“.

„გაუცხოება“ გულისხმობს რაიმეს ქცევას იმად, რადაც იგი არ უნდა ქცეულიყო, ხოლო „გაიგივება“ კი — რაიმეს ქცევას იმად, რადაც იგი უნდა ქცეულიყო. ეს ტერმინები, როგორც ჩანს, კონტრადიქტორულ ცნებებს აღნიშნავენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს ისიც, თუ რას გულისხმობს „გაუცხოებული“ და „გაიგივებული“ ადამიანი: „გაუცხოებულია“ ადამიანი, რომელიც ის არ არის, რაც უნდა იყოს, ხოლო „გაიგივებულია“ ადამიანი, რომელიც ის არის, რაც უნდა იყოს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ადამიანის „გაუცხოება“ გულისხმობს მისი „არსებობის“ გაუცხოებას „არსებისაგან“, ხოლო „გაიგივება“ კი — „არსებობის“ გაიგივებას „არსებასთან“.

ახალი ადამიანის, როგორც გაიგივებული, ანუ არაგაუცხოებული ადამიანის არსებითი ნიშნებია: ყოველმხრიობა, ანუ უნივერსალობა, მთლიანობა, ანუ ინტეგრალობა და შეთანხმებულობა, ანუ ჰარმონიულობა.

საპირისპიროდ ამისა, არაახალი ადამიანის, როგორც არაგაიგივებული, ანუ გაუცხოებული ადამიანის არსებითი ნიშნებია: ცალმხრივობა, ნაწილობრივობა და დისჰარმონიულობა.

ამგვარად, ახალი ადამიანი ყოველმხრივი, ანუ უნივერსალური, მთლიანი, ანუ ინტეგრალური და შეთანხმებული, ანუ ჰარმონიული, ხოლო არაახალი კი — ცალმხრივი, ნაწილობრივი და დისჰარმონიული ადამიანია.

ახალი ადამიანის არსებითი ნიშნებიდან ჩვენ შევვებებით მხოლოდ ერთს — ყოველმხრივობას, ანუ უნივერსალობას.

ყოველმხრივობა, ანუ უნივერსალობა ნორმატიული მოთხოვნაა ადამიანის არსებობისადმი. ადამიანი უნდა იყოს ყოველმხრივი, მაგრამ შეიძლება იგი იყოს და არც იყოს ყოველმხრივი. კომუნიზმამდე ადამიანი ცალმხრივად ვითარდებოდა, ხოლო კომუნიზმის დროს კი — ყოველმხრივ.

ცალმხრივი ადამიანი გაუცხოებულია, ხოლო ყოველმხრივი კი — გაიგივებული.

ისმის კითხვა: რატომ მაინცადამაინც ყოველმხრივობაა ადამიანის ნორმა-

ტიული (გერარსობრივი) მდგომარეობა და არა ცალმხრივობა? იმიტომ, რომ პირველი ადამიანის თავისებურებას გამოკვეთს მაქსიმალურად, ხოლო მეორე კი — მინიმალურად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნორმალურად ვითარდება ის, რაც მაქსიმალურად ავლენს შესაძლებლობებს. თუ ამ მხრივ რაიმეს წინააღმდეგობა ელოდება წინ, მაშინ ვამბობთ, რომ არანორმალურ ვითარებას აქვს ადგილი.

მაშასადამე, ნორმალურად ვითარდება ადამიანი, თუ ის მაქსიმალურად, ანუ ყოველმხრივად ვითარდება, ხოლო არანორმალურად, თუ ეს ასე არაა. უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანი გაუცხოებულია, ანუ ისეთ მდგომარეობაშია, როგორშიც არ უნდა იყოს, ამიტომ იგი მისი წარადგენს გაუცხოებული მდგომარეობიდან გაიგივებული მდგომარეობისაკენ, რაც ამ შემთხვევაში ცალმხრივობიდან ყოველმხრივობისაკენ მის განვითარებაში გამოიხატება.

ადამიანის ყოველმხრივი განვითარება კომუნისტური საზოგადოების თვითმიზანია. მარქსი კომუნიზმს განიხილავდა იმ საზოგადოებრივ ფორმად, რომლის ძირითადი პრინციპია ინდივიდის სრული განვითარება [2, გვ. 746]; ენგელსი კომუნიზმს უკავშირებდა ადამიანის უნარის ყოველმხრივ განვითარებას [5, გვ. 336]. ლენინი კომუნიზმის მიზნად აცხადებდა ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას [6, გვ. 15].

მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურაში ვხვდებით მთელს ერთობლიობას ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა: „ყოველმხრივ, ანუ უნივერსალურად განვითარებული ადამიანი“, „ცალმხრივად განვითარებული ადამიანი“, „ყოველმხრივად, ანუ უნივერსალურად აღზრდილი ადამიანი“, „ცალმხრივად აღზრდილი ადამიანი“, „ყოველმხრივ, ანუ უნივერსალურად განათლებული ადამიანი“, „ცალმხრივად განათლებული ადამიანი“.

ყველა ეს ტერმინი სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელია.

ადამიანის ყოველმხრივი განვითარება გულისხმობს მის ყოველმხრივ აღზრდას, ხოლო ეს უკანასკნელი კი — ყოველმხრივ განათლებას. იგივე ითქმის ადამიანის ცალმხრივი განვითარების, აღზრდისა და განათლების თანაფარდობაზე.

ლიტერატურაში ზოგჯერ ადგილი აქვს ადამიანის ყოველმხრივი განვითარების დაყვანას მის ყოველმხრივ აღზრდაზე. ეს სწორი არ არის. პირველი, როგორც ვთქვით, გულისხმობს მეორეს, მაგრამ არ დაიყვანება მასზე. როგორც არ შეიძლება ადამიანის წარმოდგენა მხოლოდ აღზრდის პროდუქტად, ასევე არ შეიძლება ყოველმხრივი ადამიანის წარმოდგენაც მხოლოდ ყოველმხრივი აღზრდის პროდუქტად. ადამიანი არა მარტო აღზრდის, არამედ გარემოს პროდუქტიცაა. ამასთან განმსაზღვრელი გარემოსა და აღზრდას შორის პირველია. სწორედ ამის გამო ყოველმხრივი ადამიანი არ დაიყვანება ყოველმხრივ აღზრდილ ადამიანზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მით უფრო მიუტყევებელია ადამიანის ყოველმხრივი განვითარების დაყვანა მის ყოველმხრივ განათლებაზე, ვინაიდან უკანასკნელი კიდევ უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე თვით ადამიანის ყოველმხრივი აღზრდა. სამწუხაროდ, ლიტერატურაში შეიძლება შევხვდეთ ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ყოველმხრივ განათლებაზე დაყვანის მაგალითებსაც.

ისევე როგორც არ შეიძლება ადამიანის ყოველმხრივი განვითარების დაყ-

ვანა ყოველმხრივ აღზრდაზე, არ შეიძლება ავრეთვე ადამიანის ცალმხრივი განვითარების დაყვანა ცალმხრივ აღზრდასა და განათლებაზე.

ასეთია თანაფარობა ზემოაღნიშნულ ცნებებს შორის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაცვლად ტერმინებისა: „ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი“ და „ცალმხრივად განვითარებული ადამიანი“ ჩვენ ეხმარობთ შესაბამისად მოკლე ტერმინებს: „ყოველმხრივი ადამიანი“ და „ცალმხრივი ადამიანი“.

რას გულისხმობს ადამიანის ყოველმხრივობა?

ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობათა მაქსიმალურ განხორციელებას, ანუ ყველაზე სრულ განამდვილებას.

საპირისპიროდ ამისა, ადამიანის ცალმხრივობა გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობათა მინიმალურ განხორციელებას, ანუ ყველაზე არასრულ განამდვილებას.

ამ დახასიათებიდან ჩანს, რომ ადამიანის ყოველმხრივობა უნდა გავიგოთ არა აბსოლუტურად, არამედ რელატიურად. საქმე ისაა, რომ ლენინს ყოველმხრივი ადამიანი ესმოდა, როგორც ყოველსმკვთებელი ადამიანი [7, გვ. 42]. ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია კითხვა, თუ როგორ გავიგოთ ლენინის დებულება ამგვარ ადამიანზე, ადამიანზე, რომელსაც „ყველაფრის გაკეთება ეცოდინება“ (იქვე). „ყველაფრის“ ქვეშ აქ აბსოლუტურად „ყველაფერი“, თუ რელატიურად „ყველაფერი“ უნდა გავიგოთ?

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ ლიტერატურაში მასზე აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა. სამწუხაროდ, ზოგიერთმა ავტორმა ადამიანის ყოველმხრივობა, ანუ უნივერსალობა აბსოლუტურად გაიგო, რაც სწორი არ არის.

მოცემული განსაზღვრებიდან კი გამომდინარეობს, რომ ადამიანის ყოველმხრივობა უნდა გავიგოთ კერძოდ ადამიანის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ე. ი. რელატიურად. მართლაც, ადამიანის აბსოლუტური ყოველმხრივობა შეუძლებელია, რადგან იგი სასრული არსებობაა. და თუ ეს ასეა, როგორ შეუძლია მას იცოდეს და აკეთოს აბსოლუტურად ყველაფერი?

შეუძლებელია ადამიანის არა მხოლოდ აბსოლუტური ყოველმხრივობა, არამედ აბსოლუტური ცალმხრივობაც. ცალმხრივობაც რელატიურია, რადგან იგი მხოლოდ რაიმე მიმართებაშია ცალმხრივობა. ცალმხრივი ადამიანის ცხოვრებაც როდი დაიყვანება აბსოლუტურად ერთადერთ ფუნქციაზე.

ადამიანის ყოველმხრივობის აბსოლუტურობა-რელატიურობის საკითხთან დაკავშირებულია მისი ინდივიდუალობის საკითხი. პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: გამორიცხავს თუ არა ადამიანის ყოველმხრივობა მის ინდივიდუალობას? ამ საკითხზე ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი არსებობს. ერთი თვალსაზრისის თანახმად, ადამიანის ყოველმხრივობა გამორიცხავს მის ინდივიდუალობას, მეორე თვალსაზრისის თანახმად კი, პირიქით, გულისხმობს მას.

თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ადამიანის ყოველმხრივობა გამორიცხავს მის ინდივიდუალობას, ემყარება ადამიანის ყოველმხრივობის სწორედ აბსოლუტურ გაგებას. ამ თვალსაზრისის ავტორები შემდეგნაირად მსჯელობენ: ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც ყოველ ადამიანს შეუძლია აკეთოს ყოველივე ის, რაც შეუძლია გაა-

კეთოს ყოველმა სხვა ადამიანმა. და თუ ეს ასე იქნება, მაშინ ყველა ერთმანეთს დაემსგავსება.

მაგრამ ეს საშიშროება მოიხსნება, თუ ადამიანის ყოველმხრივობას აბსოლუტურად კი არა, რელატიურად გავიგებთ. მართლაც თუ ადამიანის ყოველმხრივობა გავიგეთ რელატიურად, ე. ი. ადამიანის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაშინ ცხადი გახდება ისიც, რომ ყოველი ადამიანის ყოველმხრივობა სწორედ უნიკალური, თავისებური იქნება, ვინაიდან ყოველ მათგანს სწორედ უნიკალური, თავისებური შესაძლებლობანი გააჩნია. როგორც არ შეიძლება არსებობდეს თუნდაც ორი აბსოლუტურად მსგავსი ფოთოლი, ასევე არ შეიძლება არსებობდეს აგრეთვე თუნდაც ორი აბსოლუტურად მსგავსი ადამიანური ყოველმხრივობა. ყოველი ადამიანის ყოველმხრივობა გამოვლინდება მის უნიკალობაში, ინდივიდუალობაში.

აქედან გამომდინარე, არასწორია ის ბრალდება, რასაც ანტიკომუნიზმი უყენებს კომუნიზმს: თითქოსდა ადამიანური ყოველმხრივობის იდეის რეალიზაცია ნიშნავდეს მისი ინდივიდუალობის უარყოფას. ნამდვილად კი ამ იდეის რეალიზაცია მოასწავებს ადამიანის სწორედ ინდივიდუალობის დამკვიდრებას. მართლაც, რა შემთხვევაში უფრო ექნება ადგილი ადამიანის ინდივიდუალობას, ადამიანის შესაძლებლობათა მაქსიმალური თუ არამაქსიმალური გაშლის დროს? განა ყოველი ადამიანის ყოველმხრივი განვითარება ეს იგივე მისი ინდივიდუალობის ყოველმხრივი გაშლა არ არის? სხვა შემთხვევაში ფასი არც ექნებოდა ადამიანის ყოველმხრივი განვითარების მოთხოვნას.

ამგვარად, ადამიანის ყოველმხრივობა აბსოლუტური არ არის. ყოველმხრივობის აბსოლუტური გავება, ჯერ ერთი, ადამიანის ყოველმხრივობის, მეორეც, ადამიანის ინდივიდუალობის უარყოფამდე მიგვიყვანდა. ამიტომ საკითხის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა მისი ფარდობითობის აღიარებაში მდგომარეობს.

მაგრამ აქ დგება პრობლემა, თუ რაში მდგომარეობს კონკრეტულად ადამიანის ფარდობითი ყოველმხრივობა. მაშასადამე, საკითხი ისმის ადამიანის ყოველმხრივობის კონკრეტული დახასიათების აუცილებლობის შესახებ. უნდა გაირკვეს ადამიანის ის „მხარეები“, რომელთა „ყოველობაზე“, თუ „ცალობაზე“ გვაქვს მსჯელობა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ადამიანის „ყოველმხრივობის“ (ასევე „ცალმხრივობის“) შინაარსის გასაღები ადამიანის ამ „მხარეების“ რაობაში ძეგს. თუ დადგინდა ის „მხარეები“, რომლებიც შეადგენს ადამიანის ყოველმხრივობის (ასევე ცალმხრივობის) ელემენტებს, მაშინ დადგინდება თვით ყოველმხრივობის (ასევე ცალმხრივობის) შინაარსიც.

ამგვარად, მთელი პრობლემა ისაა, თუ როგორ გავიგოთ ადამიანის ეს ელემენტები — „მხარეები“ — ყოველმხრივობის (ასევე ცალმხრივობის) შინაარსის დადგენისას.

ამასთან დაკავშირებით მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურაში ორი ძირითადი საპირისპირო თვალსაზრისი ჩამოყალიბდა: ერთი თვალსაზრისის თანახმად, ყოველმხრივობა წარმოადგენს ადამიანის მხარეთა ერთობლიობას, მეორე თვალსაზრისის თანახმად კი — არა.

ამ ძირითად თვალსაზრისთა ფარგლებშიც გვაქვს ადამიანის ყოველმხრივობის სხვადასხვაგვარი გაგება.

ჩვენ ჯერ შევეხებით იმ თვალსაზრისებს, რომელთა თანახმადაც ყოველმხრივობა არ წარმოადგენს ადამიანის მხარეთა ერთობლიობას.

ადამიანის ყოველმხრივობის ორიგინალური გაგება ეკუთვნის ა. მიალკინს. იგი აკრიტიკებს შეხედულებას, რომლის თანახმადაც ადამიანის ყოველმხრივობის შინაარსის გახსნისას ცდილობენ ძირითადი ყურადღება გაამახვილონ ადამიანის რაოდენობრივ მხარეზე, ანუ მისი ფუნქციონირების ელემენტთა რაოდენობაზე. ამგვარი მიდგომა საკითხისადმი, ავტორის აზრით, საკმარისი არაა და მას შეუძლია მიგვიყვანოს „გადაულახავ წინააღმდეგობამდე“: ჯერ ერთი, ყოველთვის შეიძლება დადგეს საკითხი, თუ პიროვნების მხარეების როგორი ერთობლიობა მოგვცემს ყოველმხრივობას, და მეორეც, თუ ცალმხრივობა მხოლოდ მხარეების ერთობლიობაა, მაშინ ცალმხრივობა ადამიანში ხომ მხოლოდ ერთი მხარის არსებობას უნდა ნიშნავდეს [16, გვ. 6]?

ამის საპირისპიროდ, ავტორი გვთავაზობს ყოველმხრივობის ამგვარ გაგებას: პიროვნების ყოველმხრივობა გულისხმობს ადამიანის იმგვარ განვითარებას, როდესაც საზოგადოება იყენებს და ავითარებს ყველა მის უნარს, ხოლო თავის მხრივ, ადამიანიც ითვისებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა ერთობლიობას [16, გვ. 7].

ავტორი შემდგომ ამისა აღნიშნავს: გარეგნულად პიროვნება კაპიტალიზმის დროს შეიძლება სრულიყვეს სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ საზოგადოებამ მისი უნარები გამოიყენოს და განავითაროს მაინც ცალმხრივ, როგორც კაპიტალის შემქმნელი უნარები [16 გვ. 6].

ავტორი, ჩვენის აზრით, სწორი არ უნდა იყოს იმაში თითქოსდა ადამიანის ყოველმხრივობის მხარეთა ერთობლიობად, ხოლო ცალმხრიობის ცალკეული მხარის მოცემულობად გაგებას „გადაულახავ წინააღმდეგობებამდე“ მივყავდეთ. ჯერ ერთი, რატომ არ შეიძლება ადამიანის ყოველმხრივობა გავიგოთ „მხარეთა“ ერთობლიობად და მეორეც, რატომ არ შეიძლება ადამიანის ცალმხრივობა გავიგოთ მასში ერთი მხარის მოცემულობად? საშიშროება საერთოდ ადამიანის ყოველმხრივობისა და ცალმხრივობისადმი ამგვარი მიდგომის პრინციპში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, თუ როგორ გავიგებთ ადამიანის იმ მხარეებს, რომლებმაც უნდა მოგვცენ ყოველმხრივობაც და ცალმხრივობაც; საშიშროება ადამიანის ყოველმხრივობისა და ცალმხრივობის აბსოლუტურ გაგებაშია და სწორედ ასე ესმის ისინი ავტორსაც მათდამი აღნიშნული მიდგომის შემთხვევაში. ადამიანის ყოველმხრივობისა და ცალმხრივობის ასეთი გაგება მას გავიგებულ იქნეს მათს აბსოლუტურ გაგებასთან, ხოლო აქედან კი გამოაქვს დასკვნა ადამიანის ყოველმხრივობისა და ცალმხრივობის აღნიშნული გაგების არამართებულობის შესახებ.

მაგრამ ადამიანის ყოველმხრივობა-ცალმხრივობა აბსოლუტურად არც უნდა გავიგოთ. მართლაც, თუ ყოველმხრივობას და ცალმხრივობას აბსოლუტურად გავიგებთ, მაშინ აუცილებლად „გადაულახავ წინააღმდეგობებამდე“ მივალთ, მაგრამ ამგვარ ვითარებამდე როდი მივალთ, თუ ადამიანის ყოველმხრივობასა და ცალმხრივობას ფარდობითად გავიგებთ.

ავტორი სწორია ადამიანის ყოველმხრივობის საკუთარ გაგებაში, რომლის თანახმადაც, ადამიანის ყოველმხრივი განვითარება გულისხმობს მის ისეთ განვითარებას, როდესაც საზოგადოებაც იყენებს და ავითარებს ადამიანის „ყველა“ უნარს და ადამიანიც ითვისებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა „ყველა ერთობლიობას“. მაგრამ ამგვარი დახასიათება ოდნავადაც როდი ეწინააღმდეგება ადამიანის ყოველმხრივობის მხარეთა ერთობლიობად გაგებას. პირიქით, საქმეც ისაა, გაირკვეს, თუ რას გულისხმობს ადამიანის „ყველა“

უნარი და საზოგადოებრივ ურთიერთობათა „ყველა“ ერთობლიობა. ამიტომ თვით ავტორისეულ ფორმულას მივყავართ ადამიანის ყოველმხრივობის მხარეთა ერთობლიობად გავების აუცილებლობამდე. აქ აზრს ამაგოებს ისიც, რომ ავტორი ერთგან ადამიანის ყოველმხრივობას ხსნის სწორედ ერთობლიობად ადამიანის ისეთი ძირითადი მხარეებისა, როგორცაა: მატერიალური მწარმოებლობა, მეცნიერული მსოფლმხედველობა, ზნეობრიობა, მაღალი ესთეტიკურობა, მოქალაქეობა, ფიზიკური სრულყოფა და მოთხოვნილებათა გონებრიობა [16, გვ. 148-149].

ჩვენ ამ შემთხვევაში არ შევდივართ იმის ანალიზში, თუ რამდენად მართებულია ადამიანის ყოველმხრივობის წარმოდგენა ელემენტთა ამგვარ ერთობლიობად. მთავარი აქ ჩვენთვის ისაა, რომ ავტორიც ადამიანის ყოველმხრივობას მოცემულ შემთხვევაში ადამიანის გარკვეულ „მხარეთა“, ელემენტთა ერთობლიობად წარმოგვიდგენს. ეს კი ეწინააღმდეგება ყოველმხრივობის მისებურ გავებას.

რაც შეეხება ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ადამიანი კაპიტალიზმის დროსაც შეიძლება სრულიყვეს „სხვადასხვა მიმართულებით“, ამგვარი სრულყოფა სრულიადაც არ ნიშნავს მის ყოველმხრივ სრულყოფას. ეს არის ადამიანის სრულყოფა მაინც ცალმხრივობის ფარგლებში. ცალმხრივობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბსოლუტურ ცალმხრივობას როდი ნიშნავს, ამიტომ აღნიშნული თეზისი ყოველმხრივობის როგორც მხარეთა ერთობლიობის გავების უარსაყოფად, ჩვენის აზრით, ვერ გამოდგება.

გარდა ამისა, ავტორი სწორია იმაშიც, რომ კაპიტალიზმის დროს ადამიანის უნარები საზოგადოების მიერ გამოიყენება და ვითარდება ცალმხრივ, როგორც კაპიტალის შემქმნელი უნარები. ეს ადამიანის ცალმხრივობის უდავო დადასტურებაა. მაგრამ აქაც ხომ ლაპარაკია ადამიანის მხოლოდ „ერთი“, კერძოდ, კაპიტალის შექმნის მიმართულებით განვითარებულიობაზე?

ამგვარად, ადამიანის ყოველმხრივობის, როგორც მხარეთა ერთობლივობის, ხოლო ცალმხრივობის — როგორც ცალკეული მხარის მოცემულობის უარყოფა, ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს.

ადამიანის ყოველმხრივობის ორიგინალური გავება ეკუთვნის აგრეთვე ი. დავიდოვს. ადამიანის ცალმხრივი განვითარების ძირითადი გზა, მისი აზრით, მდგომარეობს ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნაში, რომელშიც ყოველ ინდივიდს „ყოველმხრივი მიმართება“ ექნება ყოველივე სხვა ინდივიდთან, რომელშიც ყველა სხვა ინდივიდის ცოდნა, ჩვევები, უნარები იქნებოდა ჩემი ცოდნის, ჩვევების, უნარების საზღვარი კი არა, არამედ გავრცელება [12, გვ. 116, 121-122].

ავტორი სწორია იმაში, რომ ყოველმხრივ ინდივიდებს ყოველმხრივი „მიმართება“ უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან. მაგრამ განა ადამიანის ყოველმხრივი განვითარება დაიყვანება ადამიანთა ყოველმხრივ მიმართებაზე? მიმართებთა ყოველმხრივობა ხომ ერთ-ერთი და არა ერთადერთი მომენტია ადამიანის ყოველმხრივობისა?

გარდა ამისა, ისმის საკითხიც აგრეთვე იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს კონკრეტულად ადამიანთა მიმართების „ცალმხრივობა“, თუ „ყოველმხრივობა“, ცოდნის, ჩვევებისა და უნარების რა და რა სახეებზეა მსჯელობა ინდივიდთა „ყოველმხრივი“, თუ „ცალმხრივი“ მიმართების შემთხვევაში.

რაც შეეხება ავტორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ყოველმხრივი გან-

ვითარებისას ყოველი ინდივიდის ცოდნა, ჩვევები და უნარები გაგრძელება ყოველივე სხვა ინდივიდის ცოდნის, ჩვევებისა და უნარების, ხოლო ცალმხრივი განვითარებისას კი — საზღვარი, ეს დებულება უდავოდ სწორია.

ამგვარად, ადამიანის ყოველმხრივობის, როგორც მხარეთა ერთობლიობის, ხოლო ცალმხრივობის — როგორც ცალკეული მხარის მოცემულობის უარყოფა, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც სწორი არ უნდა იყოს.

ადამიანის ყოველმხრივობის ორიგინალური გაგება ეკუთვნის აგრეთვე მ. აირუმინს. მისი აზრით, თუ ყოველმხრივობის კატეგორიას სიტყვასიტყვით გავიგებთ, რაც მისი „რაოდენობრივ“ პრობლემაზე დაყვანის იგივეობრივი იქნება, მაშინ მივიღებთ უნართა რაღაც. „ცუდ უსასრულობას“, რომელთა რეალიზაცია ინდივიდში შეუძლებელი იქნებოდა [10, გვ. 56].

ავტორი პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას ახასიათებს, როგორც „მოცემული“ ადამიანის შინაგან შესაძლებლობათა, „მისი“ ბუნებრივი და შექმნილი მიღრეკილებების „სრული“ განვითარებისაკენ სწრაფვას (10, გვ. 15).

ავტორი სწორია იმაში, რომ ყოველმხრივობა, სიტყვასიტყვით გაგებული, მოგვცემს „ცუდ უსასრულობას“ და რომ ასეთი „უსასრულობა“ შეუძლებელია განხორციელდეს ინდივიდში, მაგრამ, ხომ შესაძლებელია ადამიანის ისეთი ყოველმხრივობა, რომელიც გულისხმობს „კარგ უსასრულობას“ და რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდში?

რაც შეეხება იმას, რომ ყოველმხრივობა უნდა გავიგოთ ფარდობითად, როგორც კონკრეტული ადამიანისათვის შესაძლებელი ყოველმხრივობა, ეს უდავოდ სწორია. მაგრამ ამგვარი დახასიათება როდი ჩაითვლება ადამიანის ყოველმხრივობის განსაზღვრებად, რადგან აქ ლაპარაკია კერძოდ ადამიანის ყოველმხრივობის ფარდობითობაზე და არა თვით ყოველმხრივობაზე. პრობლემა კი სწორედ ისაა, თუ რას გულისხმობს კონკრეტულად მოცემული ადამიანის სახელდობრ „სრული“, ანდა, საპირისპიროდ ამისა, „არასრული“ განვითარება.

ამგვარად, ადამიანის ყოველმხრივობის, როგორც მხარეთა ერთობლიობის, ხოლო ცალმხრივობისა — როგორც ცალკეული მხარის მოცემულობის უარყოფა, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც სწორი არ უნდა იყოს.

ადამიანის ყოველმხრივობის კიდევ ერთი ორიგინალური გაგება ეკუთვნის კ. აბიშევს. მისი აზრით, ინდივიდის ცალმხრივობა უფრო მისი საქმიანობის „ნაწილობრივ, ცალმხრივად ვიწრო მოტივზე“ მიმართულებაში მდგომარეობს და არა მხოლოდ იმაში, რომ იგი დასაქმებულია მხოლოდ ერთი რომელიმე ელემენტარული ოპერაციით [9, გვ. 110]. ადამიანის პროფესიული საქმიანობა შეიძლება გახდეს უფრო საყოველთაოც და უნივერსალურიც, — აგრძელებს ავტორი, — მაგრამ რამდენადაც იგი ექვემდებარება „ვიწრო ეგოისტურ“ მოტივს, ამდენად სინამდვილეში მაინც დარჩეს ცალმხრივ საქმიანობად [9, გვ. 110].

ავტორი, მართალია, პირდაპირ არ აღნიშნავს, თუ რას გულისხმობს ყოველმხრივობა, მაგრამ რამდენადაც ცალმხრივობა ესმის როგორც მოქმედების „ვიწრო ეგოისტურ, ნაწილობრივ მოტივზე“ მიმართულება, ამდენად ყოველმხრივობა უნდა ესმოდეს როგორც „ფართო საზოგადოებრივ, მთლიან მოტივზე“ მოქმედების მიმართულება.

მართალია, ადამიანის მოქმედება გულისხმობს მის მოტივს, მაგრამ როდი დაიყვანება მასზე. აქედან გამომდინარე, არც ცალმხრივი და არც ყოველმხრი-

ვი მოქმედება დაიყვანება შესაბამისად ცალმხრივ და ყოველმხრივ მოტივზე. გარდა ამისა, მოტივი სუბიექტური რამ არის, ხოლო ადამიანის საქმიანობაში მთავარი იგი როდია, არამედ ობიექტური. გამოდის, რომ მოტივის როგორც სუბიექტურის ცალმხრივობა, თუ ყოველმხრივობა განსაზღვრავს მოქმედების როგორც ობიექტურის ცალმხრივობას, თუ ყოველმხრივობას, რაც არასწორი უნდა იყოს. დაბოლოს, ისევ ისმის კითხვა, თუ რას ნიშნავს კონკრეტულად მოტივის ცალმხრივობა, თუ ყოველმხრივობა.

ამგვარად, ადამიანის ყოველმხრივობის, როგორც მხარეთა ერთობლიობის, ხოლო ცალმხრივობის—როგორც ცალკეული მხარის მოცემულობის უარყოფა, ვფიქრობთ, უკანასკნელ შემთხვევაშიც სწორი არ უნდა იყოს.

ასეთია, მოკლედ, ზოგიერთი ის თვალსაზრისი, რომელთა ავტორებიც ადამიანის ყოველმხრივობას არ განიხილავენ მხარეთა ერთობლიობად.

როგორც ვხედავთ, დადებითი ამ თვალსაზრისებში ისაა, რომ უარყოფილია ადამიანის ყოველმხრივობის (ასევე ცალმხრივობის) აბსოლუტურობა, მაგრამ უარყოფითია, ჩვენის აზრით ის, რომ უარყოფილია ყოველმხრივობის (ასევე ცალმხრივობის), როგორც მხარეთა ერთობლიობა თუ ცალკეულობა. ყოველმხრივობის აბსოლუტური გაგება მათ გაიგივებული აქვთ მის როგორც მხარეთა ერთობლიობის გაგებასთან. უფრო სწორად, ადამიანის ყოველმხრივობის მხარეთა ერთობლიობად გაგება დაყვანილი აქვთ ყოველმხრივობის მხოლოდ აბსოლუტურ გაგებაზე და რაღვან აბსოლუტური ყოველმხრივობა შეუძლებელია, აქედან ასკვნიან, რომ ყოველმხრივობა არ არის მხარეთა ერთობლიობა. მაგრამ თუ ადამიანის შეუძლებელი — აბსოლუტური ყოველმხრივობა მხარეთა ერთობლიობაა, გაუგებარია თუ რატომ არ შეიძლება იყოს ასეთი რამ ადამიანის შესაძლებელი — ფარდობითი ყოველმხრივობა. განა უფრო ძნელი წარმოსადგენი არაა შეუძლებლის — აბსოლუტური ყოველმხრივობის, როგორც მხარეთა ერთობლიობის არსებობა, ვიდრე შესაძლებლის — ფარდობითი ყოველმხრივობისა?

ახლა კი ვავეცნოთ იმ თვალსაზრისებს, რომელთა თანახმადაც ყოველმხრივობა წარმოადგენს ადამიანის მხარეთა ერთობლიობას.

ა. ვაჩეიშვილის თანახმად, „კომუნიზმის მშენებელი“ უნდა იყოს ყოველმხრივი ადამიანი, რომელშიც შერწყმულია სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე, განვითარებული ესთეტიკური გემოვნება და ფიზიკური სრულყოფა [8, გვ. 46].

ე. ანუფრიევის თანახმად, ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს მისი, როგორც კომუნისტურად შეგნებული, იდეურად დარწმუნებული, ღრმა ცოდნით შეიარაღებული ადამიანის, მშრომელის, მოქალაქისა და საზოგადო მოღვაწის, მომხმარებლის განვითარებას [11, გვ. 11].

იქვე ავტორი იძლევა სხვაგვარ ფორმულირებასაც. ამჯერად ადამიანის ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებაში მას შეჰყავს გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარება [11, გვ. 11].

ტ. იაროშევსკის თანახმად, ადამიანის მარქსისტული იდეალი ეს არის „სრული, ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვითარებული“ ადამიანი, რომელიც მონაწილეობს ადამიანის აქტივობის ყველა ფორმაში, კერძოდ, ფიზიკური, ინტელექტუალური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სფეროში [1, გვ. 138].

სხვა ადგილას ავტორი იძლევა სხვაგვარ ფორმულირებასაც, ამჯერად ბი-

როვნების ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებაში მას შეჰყავს საწარმოო აქტივობა, ესთეტიკურ ღირებულებათა შექმნასა და მითვისებაში მონაწილეობა, პოლიტიკური საქმიანობა და გრძნობათა და განცდათა სიმდიდრე ადამიანთა ურთიერთობებში [20, გვ. 21].

მ. კავანის თანახმად, ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს მის მონაწილეობას საქმიანობის ისეთ ძირითად დარგებში, როგორცაა ადამიანის გარდამქმნელი, კომუნიკაციური, შემეცნებითი, ღირებულებითი ორიენტაციისა და მხატვრული საქმიანობა [13, გვ. 302].

დაბოლოს, ლ. კოვანის თანახმად, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება გულისხმობს საწარმოო, პოლიტიკურ და სულიერ სოციალურ ძალათა განვითარებას [15, გვ. 26].

ასეთია, მოკლედ, ზოგიერთი ის თვალსაზრისი, რომელთა ავტორებიც ადამიანის ყოველმხრივობას განიხილავენ მხარეთა ერთობლიობად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მარქსისტულ ლიტერატურაში ადამიანის ყოველმხრივობის უკანასკნელი და არა ზემოაღნიშნული ინტერპრეტაცია კარბობს, რაც აგრეთვე მისი სისწორის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. ჩვენის მხრივაც, ადამიანის ყოველმხრივობის გახსნის ერთადერთ სწორ გზად მისი, როგორც მხარეთა ერთობლიობის ინტერპრეტაცია მიგვაჩნია. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მოცემული მიმართულების თვალსაზრისთა შორისაც ვხვდებით ნაკლოვან მხარეებს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ადამიანის ყოველმხრივობის, როგორც მხარეთა ერთობლიობის უარმყოფელი თვალსაზრისები ძირითადად ნაკლოვანია, მაღიარებელი თვალსაზრისები კი, პირიქით, — ძირითადად უნაკლო. ამასთან პირველიც შეიცავს უნაკლო მომენტებს და მეორეც ნაკლოვან მომენტებს.

მაინც რაში შეიძლება მდგომარეობდეს ადამიანის ყოველმხრივობის, როგორც მხარეთა ერთობლიობის აღნიშნულ თვალსაზრისთა ნაკლოვანი მომენტები?

ეს ნაკლოვანი მომენტები, ჩვენის აზრით, დაკავშირებულია ადამიანის ყოველმხრივობის ელემენტებად არასწორ დაყოფასთან. კერძოდ, აღნიშნულ თვალსაზრისებში მეტ-ნაკლებად ადგილი აქვს ცნების დაყოფის ამა თუ იმ ლოგიკური წესების დარღვევებს.

ამდენად, შეიძლება ვიკამათოთ მათში ყოველმხრივობის ელემენტობრივი დაყოფის სისწორეზე თუ არასისწორეზე, მაგრამ არა ელემენტობრივ დაყოფაზე საერთოდ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის ყოველმხრივობის, როგორც მხარეთა ერთობლიობის ინტერპრეტაცია ამ მოვლენის შინაარსის გახსნის ერთადერთ სწორ გზად მიგვაჩნია.

მაგრამ აქ ისმის კითხვა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ადამიანის ყოველმხრივობის ცნებაში კონკრეტულად აისახოს ყველა ის მხარე, რომელთა ერთობლიობასაც შეადგენს სწორედ ყოველმხრივობა? მაშასადამე, შესაძლებელია თუ არა ერთბაშად ჩამოითვალოს ყოველმხრივობის ყველა ელემენტი? ამ საკითხზე პასუხის გასაცემად აუცილებელია უფრო დაწვრილებით შეეჩერდეთ ადამიანის ყოველმხრივობის ფენომენზე.

ადამიანის ყოველმხრივობა მრავალასპექტოვანი მოვლენაა. იგივე ითქმის ადამიანის ცალმხრივობის შესახებაც. როდესაც ვიძლევით ადამიანის ყოველმხრივობისა, თუ ცალმხრივობის ცნებებს, შეუძლებელია ამ „მხარეთა“ ასახვა ყველა იმ შესაძლებელ ასპექტში, რომლებიც ადამიანს გააჩნია. ყოველ

ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ისინი აისახონ მხოლოდ ერთ რომელიმე ასპექტში.

ადამიანი შეიძლება განვიხილოთ მატერიალური და იდეალური, ბიოტური და სოციალური, თეორიული და პრაქტიკული, შემეცნებითი და შეფასებითი, წარმოებითი და მოხმარებითი და ა. შ. მხარეთა ასპექტში. საერთოდ ადამიანის „მხარეთა“ დაყოფა შესაძლებელია უსასრულოდ სხვადასხვა ასპექტში.

რაც შეეხება თვით „მხარეთა“ რაოდენობას, სხვადასხვა ასპექტში ისინი სხვადასხვაა და დამოკიდებულია იმაზე, თუ სწორედ რა ასპექტში ავიღებთ ამ „მხარეებს“. მაგალითად, შეიძლება ერთ ასპექტში გამოიყოს ადამიანის თავისუფალი და არათავისუფალი, სხვა ასპექტში კი — ბუნებრივი, სამუშაო, სამუშაოსთან დაკავშირებული და თავისუფალი დრო.

ამგვარად, სხვადასხვა ასპექტში ადამიანის სხვადასხვა მხარე შეიძლება გამოიყოს სხვადასხვაგვარად.

თუ ადამიანს ავიღებთ ბუნებრივი და საზოგადოებრივი მხარეების ასპექტში, მაშინ იგი ცალმხრივია, როდესაც ავლენს უპირატესად რომელიმე მათგანს, ყოველმხრივი კი — როდესაც ავლენს ყველა მათგანს.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ყველა სხვა შემთხვევაშიც. ამიტომ აღნიშნულით დავემსოფილებით.

ადამიანის ყოველმხრივობა, ასევე ცალმხრივობაც უსასრულოდ მრავალ-ასპექტოვანი, მრავალბლანოვანი მოვლენაა. მათში შეიძლება გამოიყოს ძირითადი და არაძირითადი. მთავარი და არამთავარი, არსებითი და არაარსებითი ასპექტები.

ენიდან ადამიანის ყოველმხრივობას ყველა შესაძლებელ ასპექტში ვერ შევხებით, ამიტომ განვიხილავთ მას მხოლოდ ძირითად ასპექტებში.

ადამიანის ყოველმხრივობაში გამოიყოფა ორი ძირითადი ასპექტი, რომლებზეც დაიყვანება ყოველმხრივობის ყველა სხვა ასპექტი. ესენია: 1. მხარეთა გაერთიანება და 2. მხარეთა ცვლა.

საპირისპიროდ ამისა, ადამიანის ცალმხრივობაშიც გამოიყოფა ორი ძირითადი ასპექტი: 1. მხარეთა განცალკევება და 2. მხარეთა უცვლელობა.

რას ნიშნავს ადამიანის მხარეთა გაერთიანება და განცალკევება, ანდა მხარეთა ცვლა და უცვლელობა?

მხარეთა გაერთიანება ადამიანში გულისხმობს იმას, რომ ადამიანის ცხოვრება ერთდროულად მოიცავს მრავალ, სხვადასხვა მხარეს, ხოლო მხარეთა განცალკევება კი იმას, რომ ადამიანის ცხოვრება ერთდროულად მოიცავს მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს.

რაც შეეხება მხარეთა ცვლას, იგი გულისხმობს იმას, რომ ადამიანის ცხოვრება სხვადასხვადროულად მოიცავს მრავალ სხვადასხვა მხარეს, ხოლო მხარეთა უცვლელობა კი იმას, რომ ადამიანის ცხოვრება სხვადასხვადროულად მოიცავს ერთ რომელიმე მხარეს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარეთა გაერთიანება გულისხმობს მათს ერთდროულობას, თანარსებობას, მხარეთა ცვლა კი — მათს სხვადასხვადროულობას, თანმიმდევრობას.

ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს ადამიანურ მხარეთა მრავალსახეობას ერთდროულობაშიც (მხარეთა გაერთიანება) და სხვადასხვადროულობაშიც (მხარეთა ცვლა), ხოლო ცალმხრივობა — ადამიანურ მხარეთა ერთსახეობას. „მაინე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 2

ხეობას ერთდროულობაშიც (მხარეთა განცალკევება) და სხვადასხვადროულობაშიც (მხარეთა უცვლელობა).

მაშასადამე, ყოველმხრივი ადამიანი მხარეთა მაერთიანებელი და მცვლელი ადამიანია, კერძოდ კი — ყველა შესაძლებელი მხარის მაერთიანებელი და მცვლელი ადამიანი.

რაც შეეხება ცალმხრივ ადამიანს, იგი მხარეთა მაცალკევებელი და არამცვლელი, კერძოდ, კი, ერთი რომელიმე მხარის მომცველია როგორც პირველ, ასევე მეორე ასპექტშიც.

ადამიანის მხარეთა გაერთიანების კონკრეტულ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გონებრივი და ფიზიკური მხარეების გაერთიანება, ხოლო მხარეთა განცალკევებისა — ამავე მხარეთა განცალკევება.

ადამიანის გონებრივი და ფიზიკური მხარეების გაერთიანებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი საქმიანობა მოიცავს ორივეს ერთდროულად, როდესაც გონებრივი საქმიანობა ამასთანავე ფიზიკურიცაა, ხოლო ფიზიკური კი — გონებრივი.

რაც შეეხება მოცემულ მხარეთა განცალკევებას, მას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი საქმიანობა მოიცავს ან ერთს, ან მეორეს ერთდროულად, როდესაც გონებრივი საქმიანობა მხოლოდ გონებრივია, ხოლო ფიზიკური კი — მხოლოდ ფიზიკური.

ადამიანის მხარეთა ცვლის კონკრეტულ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იგივე გონებრივი და ფიზიკური მხარეების ცვლა, ხოლო მხარეთა უცვლელობისა — იგივე მხარეთა უცვლელობა.

ადამიანის გონებრივი და ფიზიკური მხარეების ცვლას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი საქმიანობა მოიცავს ორივეს სხვადასხვადროულად, როდესაც გონებრივი საქმიანობა სხვა დროს იცვლება ფიზიკურით, ანდა ფიზიკური — გონებრივით.

რაც შეეხება მოცემულ მხარეთა უცვლელობას, მას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი საქმიანობა მოიცავს ან ერთს, ან მეორეს სხვადასხვადროულად, როდესაც გონებრივი საქმიანობა სხვა დროს არ იცვლება ფიზიკურით, ანდა ფიზიკური — გონებრივით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს გონებრივი და ფიზიკური მხარეების როგორც გაერთიანებას, ასევე ცვლას.

მაგრამ ეს ყოველმხრივობა როდის დაიყვანება მხოლოდ ამ მხარეთა გაერთიანებასა და ცვლაზე, ვინაიდან ადამიანის შესაძლებელ მხარეთა გამოყოფა შეიძლება უსასრულოდ სხვადასხვა ასპექტში. აქედან კი გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია ადამიანის მხარეთა ყოველმხრივი გაერთიანებისა და ცვლის განსაზღვრებაში კონკრეტულად აისახოს ყველა ის მხარე ყველა იმ ასპექტში, რაც ადამიანს შეიძლება აღმოაჩნდეს.

ადამიანის ყოველმხრივობის საკითხთან აუცილებლობით დაკავშირებულია შრომის დანაწილების საკითხი. პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: გამოირიცხავს, თუ გულისხმობს ადამიანური ყოველმხრივობა შრომის დანაწილებას? ერთნი ამბობენ, რომ გამოირიცხავს, მეორენი — რომ გულისხმობს.

მარქსისტულ ლიტერატურაში ორივე თვალსაზრისია წარმოდგენილი.

შრომის დანაწილების უარყოფის ხარჯზე ადამიანის ყოველმხრივობის აღიარების კონკრეტულ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ს. სტრუმლინის

თვალსაზრისი. მისი აზრით, კომუნიზმი გამოირიცხავს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, ვინაიდან უკანასკნელი გულისხმობს ადამიანის მიმავრებას რომელიმე ცალკეული ფუნქციისადმი, ხოლო ეს კი ეწინააღმდეგება ადამიანის ყოველმხრივობას [18, გვ. 37—49].

როგორც ვხედავთ, შრომის დანაწილება აქ ვიწროდაა გაგებული: კერძოდ, შრომის დანაწილებად მიღებულია შრომის მხოლოდ იმგვარი დანაწილება, როდესაც ინდივიდი მხოლოდ ერთ რომელიმე ფუნქციას ასრულებს.

ეს თვალსაზრისი სწორად მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც მასში აღიარებულია ადამიანური ყოველმხრივობა, მაგრამ პრასწორად იმდენად, რამდენადაც უარყოფილია შრომის დანაწილება საერთოდ.

ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ადამიანური ყოველმხრივობა არ გამოირიცხავს შრომის დანაწილებას საერთოდ. მართლაცდა, შრომის დანაწილებაცაა და შრომის დანაწილებაც. თუ შრომის დანაწილებად ჩავთვლით მხოლოდ ადამიანის ფუნქციონალურ მიმავრებას შრომის რომელიმე ერთი სახეობისადმი, მაშინ, რა თქმა უნდა, სხვა გამოსავალი არც გვექნება: უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ვითარება გამოირიცხავს ადამიანის ყოველმხრივობას.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ შრომის დანაწილება ამგვარად არც უნდა გავიგოთ. შრომის დანაწილება, მარქსის განსაზღვრებით, გულისხმობს შრომის სხვადასხვა სახის თანაარსებობას [1, გვ. 320]. ანუ საწარმოო საქმიანობის ყველა განსაკუთრებული სახის ერთობლიობას [3, გვ. 53]. ხოლო თუ ეს ასეა, განა ადამიანის ყოველმხრივობა გამოირიცხავს შრომის სახეთა სხვადასხვაობას? პირიქით ეს სხვადასხვაობა თუ არ იქნება მაშინ რაღა აზრი ექნება ყოველმხრივობას? უკანასკნელი ხომ შრომის სხვადასხვაობას გულისხმობს?

ამგვარად, საკითხი იმის შესახებ, ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს თუ გამოირიცხავს შრომის დანაწილებას, დადებითად უნდა გადაწყდეს. აღსანიშნავია, რომ ავტორთა უმრავლესობა მარქსისტულ ლიტერატურაში სწორედ ამგვარად წყვეტს საკითხს, რაც უკანასკნელი თვალსაზრისის სისწორის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს.

ადამიანის ყოველმხრივობის საკითხთან აუცილებლობით დაკავშირებულია აგრეთვე შრომის ცვლის საკითხი. პრობლემა აქაც შემდეგში მდგომარეობს: გამოირიცხავს, თუ გულისხმობს ადამიანის ყოველმხრივობა შრომის ცვლას? ერთნი ამბობენ, რომ გამოიციხავს, მეორენი — რომ გულისხმობს.

მარქსისტულ ლიტერატურაში ორივე თვალსაზრისია წარმოდგენილი.

შრომის ცვლის უარყოფის ხარჯზე ადამიანის ყოველმხრივობის აღიარების კონკრეტულ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მ. სიდოროვისა და ე. ალიოზინის თვალსაზრისები. პირველის აზრით, კომუნიზმი გამოირიცხავს შრომის ცვლას, რადგან უკანასკნელი გულისხმობს შრომის დენადობას [17, გვ. 219]. მეორე ავტორის აზრითაც, კომუნიზმი გამოირიცხავს შრომის ცვლას, რადგან ადამიანი იქ თავისუფლად აირჩევს პროფესიას, თანაც შემოქმედებითს, ასე რომ შრომის ცვლის აუცილებლობა აღარ დადგება [14, გვ. 135].

როგორც ვხედავთ, პირველ თვალსაზრისში შრომის ცვლა ვიწროდაა გაგებული, კერძოდ, იგი დაყვანილია შრომის დენადობაზე, მაგრამ ეს სწორი არ უნდა იყოს, რადგან ყოველი შრომის ცვლა აუცილებლობით შრომის დენადობასთან როდია დაკავშირებული. შრომის დენადობა, შეიძლება ითქვას, შრომის „ცული“ ცვლაა, რაც არანორმალურ ვითარებად ითვლება. მაგრამ შესაძ-

ლებელია შრომის „კარგი“, ნორმალური ცვლაც, რაც არ არის დაკავშირებული შრომის დენადობასთან. გარდა ამისა, შრომის დენადობა ისტორიულად დროებითი მოვლენაა და პროგრესისდა კვალად უნდა მოიხსნას.

რაც შეეხება მეორე თვალსაზრისს, აქაც შრომის ცვლა ვიწროდაა გაგებული, კერძოდ, დაყვანილია შრომის „ცუდი“ ცვლაზე. ავტორის ლოგიკით მას ადგილი აქვს იქ, სადაც ადგილი აქვს, ჯერ ერთი, პროფესიის იძულებით არჩევას, და მეორეც, არაშემოქმედებითი პროფესიის არჩევას. მაგრამ ესეც სწორი არ უნდა იყოს, რადგან ყოველი შრომის ცვლა აუცილებლობით არ არის დაკავშირებული არაშემოქმედებითი პროფესიის იძულებით არჩევასთან. განა შესაძლებელი არაა შემოქმედებითი პროფესიის თავისუფალი არჩევა ისე, რომ ადგილი ჰქონდეს შრომის ცვლას? თუ შრომის ცვლას იძულებითი ფაქტორები უფრო იწვევს, განა უფრო ნაკლებად მოსალოდნელია იგი გამოიწვიოს არა-იძულებითმა ფაქტორებმა?

აღნიშნული თვალსაზრისები სწორად მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც მათშიც აღიარებულია ადამიანის ყოველმხრივობა, მაგრამ არასწორად იმდენად, რამდენადაც უარყოფილია შრომის ცვლა საერთოდ.

ამ თვალსაზრისებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ადამიანური ყოველმხრივობა არ გამოირიცხავს შრომის ცვლას საერთოდ. მართლაცაა, შრომის ცვლაცაა და შრომის ცვლაც. თუ შრომის ცვლად ჩავთვლით მხოლოდ ადამიანის შრომის არანორმალურ ცვლას, მაშინ სხვა გამოსავალი არც გვექნება: უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი ვითარება გამოირიცხავს ადამიანის ყოველმხრივობას.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ შრომის ცვლა ამგვარად არც უნდა გაიგოთ. შრომის ცვლა გულისხმობს შრომის სახეთა მონაცვლეობას, ხოლო თუ ეს ასეა, განა ადამიანის ყოველმხრივობა გამოირიცხავს შრომის სახეთა მონაცვლეობას? პირქით, თუ ეს მონაცვლეობა არ იქნება, მაშინ რაღა აზრი ექნება ყოველმხრივობასაც? უკანასკნელი ხომ შრომის სახეთა მონაცვლეობას გულისხმობს? სხვაგვარად როგორ გავიგოთ მარქსისა და ენგელსის აზრი კომუნისტური საზოგადოების ადამიანზე, რომელსაც შესაძლებლობა ექნება დღეს ერთი აკეთოს, ხვალ სხვა, დილით ინადიროს, შუადღის შემდეგ ითევზაოს, საღამოთი მესაქონლეობა გასწიოს, ვახშმის შემდეგ კრიტიკას მიჰყოს ხელი [4, გვ. 31]?

ამგვარად, საკითხი იმის შესახებაც, ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს, თუ გამოირიცხავს შრომის ცვლას, დადებითად უნდა გადაწყდეს.

აღსანიშნავია, რომ ავტორთა უმრავლესობა მარქსისტულ ლიტერატურაში სწორედ ამგვარად წყვეტს ამ საკითხსაც, რაც უკანასკნელი თვალსაზრისის სისწორის სასარგებლოდ უნდა მტყველებდეს.

ადამიანის ყოველმხრივობის დახასიათება სრული არ იქნება, თუ მასთან კავშირში არ შევხვებთ აგრეთვე ახალი ადამიანის სხვა ისეთ არსებით ნიშნებსაც, როგორცაა მთლიანობა და ჰარმონიულობა. საქმე ისაა, რომ ახალი ადამიანის ყოველმხრივობა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. მართლაცაა, ყოველმხრივობაცაა და ყოველმხრივობაც. ახალი ადამიანის ყოველმხრივობა სწორედ მთლიანობითა და ჰარმონიულობით ხასიათდება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ადამიანის ყველა იმ არსებით ნიშანს შორის, როგორცაა ყოველმხრივობა, მთლიანობა და ჰარმონიულობა,

აუცილებელი კავშირია. არც ერთი მათგანი მასში იზოლირებული არ არის ერთმანეთისაგან; არც ერთ მათგანს აზრი არა აქვს სხვა მათგანის გარეშე.

კონკრეტულად ეს კავშირი გამოიხატება შემდეგში: ახალი ადამიანის ყოველმხრივობა მთლიანია და ჰარმონიული, მთლიანობა — ყოველმხრივი და ჰარმონიული, ხოლო ჰარმონიულობა — ყოველმხრივი და მთლიანი. ეს ვითარება უფრო ნათელი რომ გახდეს, სასურველია აღინიშნოს შემდეგი: ყოველმხრივობა შეიძლება იყოს მთლიანიც და არამთლიანიც, ჰარმონიულიც და არა-ჰარმონიულიც, ხოლო ჰარმონიულობა კი — ყოველმხრივიც და არაყოველმხრივიც, მთლიანიც და არამთლიანიც.

როგორც ვხედავთ, გვაქვს უამრავი შესაძლებლობა ადამიანის მდგომარეობისა. მაგრამ ახალი ადამიანის მდგომარეობა გულისხმობს ამ შესაძლებლობათა მხოლოდ გარკვეულ კომბინაციას, კერძოდ, კი ისეთს, რომელიც შეესაბამება ადამიანის ნორმატიულ ბუნებას. ადამიანის ნორმატიულ ბუნებას კი შეესაბამება მთლიანი და ჰარმონიული ყოველმხრივობა, ყოველმხრივი და ჰარმონიული მთლიანობა, აგრეთვე ყოველმხრივი და მთლიანი ჰარმონიულობა.

რას გულისხმობს ადამიანის ჯერ-ერთი, მთლიანი და, მეორეც, ჰარმონიული ყოველმხრივობა?

ჯერ შევეხოთ ადამიანის მთლიანობის საკითხს.

ადამიანის მთლიანობა გულისხმობს მის ნაწილთა დიალექტიკურ ერთიანობას. ახალი ადამიანის მთლიანობა სწორედ ყოველმხრივია, ანუ ყველა შესაძლებელი მხარის, როგორც ნაწილის მთლიანობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ლიტერატურაში ადგილი აქვს ადამიანის ყოველმხრივობისა და მთლიანობის გაიგივებას, რაც ჩვენის აზრით, სწორი არ უნდა იყოს. ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს მისი ყველა მხარის ერთობლიობას, ხოლო მთლიანობა — ამ მხარეთა, როგორც ნაწილთა დიალექტიკურ ერთიანობას. ასე, რომ თუ ყოველმხრივობა ადამიანის რაოდენობრივი მახასიათებელია, მთლიანობა — თვისობრივი. ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს კითხვას, თუ რამდენ მხარეს მოიცავს იგი, ხოლო მთლიანობა — თუ როგორია კავშირი ამ მხარეთა შორის.

ადამიანის მთლიანობა არ დაიყვანება მის ნაწილთა ჯამზე, აქედან განმომდინარე კი, არც ყოველმხრივი მთლიანობა — ადამიანის ყველა მხარის, როგორც ნაწილის ჯამზე. მთელი სულ სხვაა, ვიდრე ნაწილთა ჯამი, აქედან გამომდინარე კი, ყოველმხრივი მთელიც სულ სხვაა, ვიდრე ადამიანის ყველა მხარის, როგორც ნაწილის ჯამი.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის ყოველმხრივობა სხვაა, მთლიანობა კი — სხვა.

იმის გამო, რომ ადამიანის ყოველმხრივობა სხვადასხვაასპექტოვანი მოვლენაა, მისი მთლიანობაც ასეთივეა. ყოველმხრივი ადამიანი ყველა ასპექტში მთლიანია. ყოველმხრივობის ორი ძირითადი ასპექტის შესაბამისად გვაქვს მისი მთლიანობის ორი ძირითადი ასპექტიც. რამდენადაც ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს ისეთ ძირითად ასპექტებს, როგორიცაა მხარეთა გაერთიანება და მხარეთა ცვლა, ამდენად, ყოველმხრივობის მთლიანობაც გულისხმობს ისეთ ძირითად ასპექტებს, როგორიცაა მხარეთა მთლიანი გაერთიანება და მთლიანი ცვლა. საქმე ისაა, რომ შესაძლოა მხარეთა არამთლიანი გაერთიანებაც და არამთლიანი ცვლაც. ახალი ადამიანის ყოველმხრივობა

გულისხმობს მხარეთა მთლიან მრავალსახეობას ერთდროულობაშიც და სხვადასხვადროულობაშიც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი ადამიანის ყოველმხრივობა ეს არის არა გახლეჩილი, არამედ მთლიანი ყოველმხრივობა.

ახლა შევეხეთ ადამიანის ჰარმონიულობის საკითხს.

ადამიანის ჰარმონიულობა გულისხმობს მის მხარეთა შეთანხმებულობას. ახალი ადამიანის ჰარმონიულობა სწორედ ყოველმხრივია, ანუ ყველა შესაძლებელი მხარის ჰარმონიულობაა.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჰარმონიულობა ადამიანის თვისებრივი მახასიათებელია ისევე, როგორც მთლიანობა. მაგრამ მათს თვისებრიობას შორის სხვაობაა, კერძოდ, თუ მთლიანობა ყოველმხრივობისა გულისხმობს კითხვას, არის თუ არა კავშირი, ერთიანობა ადამიანის ყველა მხარეს შორის, ჰარმონიულობა კი — კითხვას, არის თუ არა მათს შორის შეთანხმებული კავშირი, ერთიანობა.

ისევე როგორც ყოველმხრივობა და მთლიანობა, ახალი ადამიანის ჰარმონიულობაც სხვადასხვაასპექტოვანია. ყოველმხრივი ადამიანი ყველა ასპექტში ჰარმონიულია. ყოველმხრივობის ორი ძირითადი ასპექტის შესაბამისად აქაც გვაქვს მისი ჰარმონიულობის ორი ძირითადი ასპექტი. კერძოდ, ადამიანის ყოველმხრივობის ჰარმონიულობა გულისხმობს მხარეთა ჰარმონიულ გაერთიანებასა და ჰარმონიულ ცვლას. საქმე ისაა, რომ შესაძლოა მხარეთა არაჰარმონიული გაერთიანებაც და არაჰარმონიული ცვლაც. ახალი ადამიანის ყოველმხრივობა გულისხმობს მხარეთა ჰარმონიულ მრავალსახეობას ერთდროულობაშიც და სხვადასხვადროულობაშიც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი ადამიანის ყოველმხრივობა ეს არის არა დისჰარმონიული, არამედ ჰარმონიული ყოველმხრივობა.

ამგვარად, საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: ახალი ადამიანის ყოველმხრივობა წარმოადგენს ადამიანის ყველა შესაძლებელი მხარის მთლიან და ჰარმონიულ განხორციელებას.

М. Б. ШОНИЯ

## К ПОНИМАНИЮ ВСЕСТОРОННОСТИ ЧЕЛОВЕКА

Резюме

Самоцелью строительства коммунистического общества является формирование нового, т. е. всестороннего, целостного и гармоничного человека.

Всесторонность полагает максимальное, а односторонность — минимальное осуществление всех возможностей человека.

Всесторонность — количественная характеристика человека; она должна раскрыться именно как совокупность элементов человеческого функционирования.

Всесторонность — явление многоаспектное. Но в ней выделяются два основных момента, первый из которых составляет соединение, а второй — перемену сторон.

Всесторонность всесторонности — рознь. Всесторонность нового человека характеризуется, во-первых, его целостностью, а, во-вторых, гармоничностью. Целостность всесторонности подразумевает диалектическое единство всех сторон как частей человека, а гармоничность — согласованность всех сторон человека.

Поэтому окончательное определение всесторонности нового человека будет выглядеть следующим образом: **всесторонность нового человека есть целостное и гармоничное осуществление всех его возможных сторон.**

ლიტერატურა

1. მარქსი კ. ზედმეტი ღირებულების თეორიები, («კაპიტალი», ტ. IV), ნაწ. III, თბ., 1953.
2. მარქსი კ. კაპიტალი, ტ. I, წიგნი I, თბ., 1954.
3. მარქსი კ. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.
4. მარქსი კ., ენგელსი ფ. ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა («გერმანული იდეოლოგიის» I თავი), რჩ. ნაწ. 3 ტომად, ტ. 1, თბ., 1975.
5. ენგელსი ფ. კომუნიზმის პრინციპები. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩ. ნაწ. 3 ტომად, ტ. 1, თბ., 1975.
6. ლენინი ვ. ი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პრეფტი, თბზ., ტ. 6.
7. ლენინი ვ. ი. «მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში. თბზ., ტ. 31.
8. ვაჩეიშვილი ა. კომუნიზმის მშენებელი ყოველმხრივ განვითარებული ადამიანია. თბ., 1965.
9. Абишев К. Человек. Индивид. Личность. А.—А., 1978.
10. Айрумян М. Б. Проблема целостной личности и эстетическое воспитание (Канд. диссертация). Ер., 1972.
11. Ануфриев Е. А. Коммунизм и личность. М., 1965.
12. Давыдов Ю. Н. Труд и свобода. М., 1965.
13. Каган М. С. Человеческая деятельность (Опыт системного анализа). М., 1973.
14. К дискуссии о разделении труда и всестороннем развитии личности. Вопросы философии, 1964, № 6.
15. Коган Л. Н. Социальные силы человека. «Философские науки», 1984, № 6.
16. Мяскин А. В. Личность и строительство коммунизма (Сущность процесса формирования всесторонне развитой личности). Ростов н/д, 1971.
17. Сидоров И. На ложных позициях. «Вопросы философии», 1952, № 3.
18. Струмилин С. Г. Коммунизм и разделение труда. «Вопросы философии», 1963, № 3.
19. Ярошевский Т. М. Личность и общество (Проблемы личности в современной философии — марксизм, экзистенциализм, структурализм, христианский персонализм). М., 1973.
20. Ярошевский Т. М. Размышления о практике. По поводу интерпретации философии К. Маркса. М., 1976.

წარმოადგინა სქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა



რეზაზ თხარამი

სიყვარულის არემოკავიტიზური მოძღვრება

სიყვარულისადმი მიძღვნილი თავი ერთ-ერთი არემოკავიტიზური წიგნისა („სალმრთოთა სახელთათვის“, IV) სიკეთის („სახიერების“) ცნების გამოძიებით იწყება. ეს ის აბსოლუტური სიკეთეა, რომლის გამოც პლატონი ამბობს: ის არის „საწყისთა საწყისი“ („კანონთშემდგომი“, 981, a), „შეცნობადი საგნები ოდენ სიკეთის მეოხებით შეიცნობა, სიკეთე ანიჭებს მათ ყოფნასაც და არსებობასაც, თუმცა თავად სიკეთე არსებობა როდია, იგი არსებობის მიღმაა“ („სახელმწიფო“, VI, 509, b). სახარებაში მის გამო ნათქვამია: „არავინ არს სახიერი (კეთილი), გარნა მხოლო ღმერთი“ (მათე, 19,17).

არემოკავიტიზის თანახმად, სიკეთე არის უსაღმრთოესი ღმერთი („ზეშთაღმერთთა ღმრთება“), ღმერთთავერობითი მყოფობა, უკვე თავისი არსებით კეთილი და თავისივე არსებობით სიკეთის გარდამფენელი ყოველსავე არსებულზე — როგორც უხრწნელ, უკვდავ, უნივთო (არამატერიალურ), უცვლელ, წარუდინებელ ანუ ზესთასოფლურ ყოფაზე, ისე მთელ მატერიალურ სამყაროზე. ყოველივე სიკეთის მიერ არის შექმნილი, მისი მეოხებით და მის მიერ არსებობს, სიკეთე ყოველივეს თავისკენ მიაქცევს და ყოველივე მისკენ, როგორც საწყისისკენ, შემტრებისა და მიზნისკენ მისწრაფვის. იგია ყოველივეს მიზეზი, ყოველივე, მის მიერვე შექმნილი, მისით არსებობს, მისგან არის დაცული. მისკენ, როგორც თავისი ზღვარისკენ არიან მიმართულნი გონიერი და სიტყვიერი არსებანი — შემეცნების გზით, გრძნობადანი — შეგრძნებათა მეშვეობით, უგრძნობელნი — სასიცოცხლო მისწრაფებათა ბუნებრივი მოძრაობით, ზოლო ოდენ არსებული ნივთნი — არსებობაში მონაწილეობის უბრალო ვარგისიანობით.

სიკეთეს ეწოდება გონიერი ნათელი, რადგან ამ ნათელით აღავსებს ზესთასოფლურ სულთ, ზოლო ყველა სხვა სულს არცოდნის წყვედიად განაშორებს, სულიერ თვალებს გაუნათლებს თავდაპირველად ზომიერი ნათებით, ზოლო შემდგომ — უხვად. გონიერი ნათელი ეწოდება ყველა სინათლეზე აღმატებულ სიკეთეს, რომელიც განანათლებს ყველა სულს — ზესთასოფელში, სამყაროს ირგვლივ და თავად სოფელში. იგი უფალია ნათლის ძალთა, ყოველსავე საცნაურს (გონებით საწვდომს) და ლოგოსურს ერთად შემოკვრებს, ნამდვილად მყოფისკენ (შეშარიტი არსისკენ) მიაქცევს.

ამ სიკეთეს ეწოდება მშვენიერი და მშვენიერება, სიყვარული და საყვარელი. მშვენიერი ის არის, რაიც მშვენიერებაში მონაწილეობს, ზოლო მშვენიერება — იმ მიზეზში მონაწილეობა, ყოველსავე მშვენიერს მშვენიერებას რომ ანიჭებს. ზესთასრებული მშვენიერი მშვენიერებად იმიტომ ითქმის, რომ მშვენიერებას ანიჭებს ყოველ არსებას, რომელსაც კი უნარი აქვს მიმღებლობისა, აგრეთვე იმიტომ, რომ მიზეზია ყოველგვარი ჰარმონიისა და ყოველსავე ნათლად ესხვება, და იმიტომაც, რომ ყოველთ თავისკენ მოუწოდებს და

შემოკრებს. ხოლო მშვენიერად იმიტომ ითქმის, რომ მარად მშვენიერია, არც ოდესმე იწყება მისი მშვენიერება და არც წყდება, არც ივსება და არც იღვევა, არც იმგვარია, რომ ხან მშვენიერი იყოს, ხანაც მახინჯი, ოდესღაც ამგვარი და ოდესღაც იმგვარი, არც შედარებით მშვენიერი და შედარებით მახინჯი, ან ერთგან მშვენიერი, ხოლო სხვაგან — არა, არც ერთისთვის მშვენიერი, ხოლო სხვისთვის — არა. არამედ თავისთავში და თავისთავად მარად მშვენიერია და ყოველივეს გამამშვენიებელი მიზეზი.

მშვენიერის მარტივი და ზებუნებრივი არსება, როგორც გამაერთიანებელი მიზეზი, ყოველგვარ მშვენიერებასა და მშვენიერზე აღმატებულია. ამ მშვენიერიდან იქნის სათავისო მშვენიერებას ყოველი არსება და მისგანვე იღებს დასაბამს ყოველგვარი თანხმობა, მეგობრობა და თანაზიარება. მშვენიერში ერთიანდება ყოველივე, მშვენიერი, როგორც შემოქმედი მიზეზი, არის ყოველივეს საწყისი, რომელიც ყოველსავე ამოძრავებს და ყოველსავე შემოკრებს თავისი მშვენიერებისადმი სწრაფვით (ეროსით, ტრფიალებით).

მშვენიერი, ყოველი არსის მიზნობრივი მიზეზი, არის საყვარელი, არის ყოველივეს ზღვარი, რამეთუ ყოველივე მშვენიერებისთვის წარმოიქმნება, და ნიმუში, რამდენადაც ყოველივე მისგან დამოკიდებულებისდა მიხედვით განისაზღვრება.

ამრიგად, მშვენიერება იგივეა, რაც სიკეთე, რადგან ყოველივე მშვენიერებისა და სიკეთისკენ მიისწრაფვის და არსებულთაგან ისეთი არაფერია, რაიც მშვენიერებასა და სიკეთეს არ იყოს ნაზიარები. თვით არა-არსიც კი ეზიარება მშვენიერებასა და სიკეთეს იმის მეოხებით, რომ რამდენადმე ისიც მშვენიერია და კეთილი, რამეთუ ღმერთი ზესთაარსებითად იდიდება ყოველგვარი თვისების უარყოფით (და ამ უარყოფისას არა-არსიც ხომ უარიყოფა).

ეს ერთი მშვენიერი და კეთილი არის ერთადერთი მიზეზი ყოველი მიმოგაბნეული მშვენიერების და სიკეთისა. ყოველივე არსებული მისგან დებულობს თავის წამდვილ არსებობასაც, ერთობასაც, განყოფას, იგივეობას, სხვაობას, მსგავსობას, უმსგავსობას, წინააღმდეგობათა შეხამებას, შეერთებათა შეურენელობასაც, ყოველთა ურღვევ ერთობასა და საფუძველსაც. მშვენიერი და კეთილი არის ყოველივეში ყოველის ურთიერთკავშირი, მათი თანხმობა და შეურეველი მეგობრობა, საყოველთაო ჰარმონია, გონებათა, სულთა, სხეულთა ყოველგვარი მოძრაობა თუ უძრაობა. ყოველ არსებას მისი ლოგოსის შესატყვისად ამკვიდრებს და მისთვის ნიშნულ მოძრაობას ანიჭებს.

საღმრთო გონიერი ძალნი („წმიდანი გონებანი“) წრიულად („მომარგავლებითად“) იძვრიან, როდესაც ერწყმიან მშვენიერისა და კეთილის დაუსაბამო და უსასრულო გამობრწყინვებათ; სწორხაზობრივად („მართებითად“) — როდესაც უდარესთა მიმართ ჩამოდიან და ყოველსავე უშუალოდ ადასრულებენ: სპირალურად („იკანკლელობითად“) — როდესაც უდარესთა განმგებელნი გამოუვლად არიან თავისთავის იგივეობრივნი და განუწყვეტლად ბრუნავენ მშვენიერისა და კეთილის ირგვლივ.

ხოლო სკულის ძვრა წრიული მაშინ არის, როცა გარესამყაროსგან უკუქცეული თავისთავში დაინთქმის და თავის გონიერ ძალთა დამაუნჯებელი დაუცადებლად ბრუნაეს, რის მეოხებითაც გარესამყაროს სიმრავლეს განეშორება, თავისთავში შენივთდება, შემდეგ კი შინაგანად ერთქმნილი შემოკრებს ერთყოფის გამაერთიანებელ ძალებს, რათა ყოველთა ზედა აღმატებულ მშვენიერსა და კეთილს მიესწრაფოს; სპირალური მაშინ არის სკულის მოძრაობა, როცა

თავისი მოძრაობისა და კვალობაზე საღმრთო ცოდნის სინათლით გაბრწყინდება, გონებისმიერი ერთობით კი არა, არამედ ლოგიკური და დისკურსიული აზროვნებისა და რთული ცვალებადი მოქმედების გზით. სულის მოძრაობა სწორხაზობრივი მასშინ კი არ არის, როცა სულიერი დაუნჯებისთვის თავისთავში დაინთქმის (ამგვარი მოძრაობა წრიულია), არამედ მასშინ, როდესაც გარესამყაროს მიექცევა და გარეგან რეალობათაგან, ვითარცა ნაირგვარად და მრავალრიცხოვან სიმბოლოთაგან, ამოსული მარტივ და გამაერთიანებელ ხედვებამდე აღვალს.

ამრიგად, ამ არსთა სამი მოძრაობის, ისევე როგორც სამყაროს შეგრძნებად საგანთა, უწინარეს ყოვლისა კი ყოველი მათგანის მყოფობის, მდგომარეობისა და დაწყობის მიზეზია კეთილი და მშვენიერი, რომელიც ყოველგვარ დგომასა და მოძრაობაზე მალა დგას, რამეთუ ყოველგვარი დგომა და მოძრაობა წარმოებს მისგან, მასში, მის მიმართ და მის გამო.

მისგან და მის მიერ წარმოიქმნება გონებისა და სულის არსება და ცხოვრება, მთელი ბუნების სიმცირენი, წონასწორობანი და სიდიდენი, ყოველივეს საზომი და საგანთა თანადარღობა, შეწყობა და შეზავება, მთლიანობა და ნაწილები, ერთობა და სიმრავლე, ნაწილთა კავშირი, ყოველი სიმრავლის ერთობა, სისრულე, რომელობა, რაოდენობა, სიდიდე, უსასრულობა, შედარება და სხვაობა, ყოველგვარი უსაზღვრობა და საზღვარი, ყოველგვარი განსაზღვრება, წესნი, უაღრესობანი, სტიქიონები, სახეობანი, ყოველგვარი არსი, ყოველგვარი ძალა, ენერგია, თვისება, გრძნობა, გონიერება, შეხება, ყოველგვარი ცოდნა და ერთქმნა, — ყოველივე მშვენიერისა და კეთილისგან წარმოდგება, მშვენიერისა და კეთილშივე ჰგიეს, მშვენიერისა და კეთილისკენ ისწრაფვის, ყოველივე, რაც კი რამ არსებობს ან წარმოიქმნება, მშვენიერისა და კეთილის მეოხებით არსებობს და წარმოიქმნება. მისკენ არის მიმართული ყოველი მზერა და მის მიერ იძვრის და შეინახვის ყოველი. მისი მიზეზით, მის მიერ და მასში არის ყოველგვარი დასაბამი და ყოველგვარი დასასრული. ყოველი არსი მშვენიერისა და კეთილისგან წარმოდგება, ხოლო ყოველი არა-არსი ზესთაარსებისად იყოფვის მშვენიერისა და კეთილში. იგია ყოველივეს საწყისი და ზესაწყისური, ზესრული საზღვარი.

მშვენიერი და კეთილი ყოველთვის სანდომია, სასურველი და საყვარელი. მის მიერ და მის გამო უღარესნი წადიერად მიესწრაფვიან (ეტრფიალებიან) უღარესთ, ხოლო უღარესნი უღარესთ განაგებენ მშვენიერისა და კეთილის საყოველთაო წადილში თავისთავადობის შემნარჩუნებელნი. ყოველივე არსებულის მიზეზსაც თავისი გარდამეტებული სიკეთის გამო სურს ყოველივე, ყოველივეს ქმნის, ყოველსავე იპყრობს, თავისკენ მიიქცევს. საღმრთო ეროსი (საღმრთო ტრფიალება) არის სიკეთე, სიკეთე სიკეთის გამო, რამეთუ თავად ეროსმა, სამყაროში ყოველივე კეთილის შემქმნელმა, რომელიც ზეგარდარეულად არსებობს სიკეთეში, ნება არ სცა მას თავისთავში გაუმრავლებლად დაენარჩუნებინა ეს ყოველივე, და საიმისოდ აღძრა, რომ ზეგარდამეტებით გამოეღინებინა თავისი ყოვლისმქმნელი ქმედება.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეროსის სახელი საღმრთო წერილის უგულუბელყოფით განიდიდებოდეს. რამეთუ ცხოველურიცა და უხამსიც არსებობს ეროსი. უაზრობაა და უმეცრება არა ამ სიტყვის მნიშვნელობის, არამედ ოდენ სიტყვიერი გარსის გათვალისწინება. ისინი კი არ იქცევიან ავრე, ვისაც ღვთაებრივი არსის წვდომა სურს, არამედ ისინი, ვინც ცარიელ ბგერებს აღიქვამს,

ვინც ბრმად ემორჩილება ასოებს, მარცვლებს, უახრო ნიშნებს და გაუგებარ გამოთქმებს, რომლებიც მათი სულის გონიერ სფეროდე ვერ აღწევენ. გარნა იმის ნათელსაყოფად, რომ სახელი „ეროსი“ საღვთო წერილს არ ეწინააღმდეგება, ვნახთ „ივანე სოლომონისნი“ (4,6-8): „ეტრფიალე მას და დაგიცვას შენ, გარემოიზღუდე იგი და აღგამაღლოს შენ, პატივ ეც მას, რათა შეგიტკბოს შენ“. საღვთო წერილის მრავალი სხვა ადგილიც განადიდებს ეროსს. ამასთან, ზოგიერთი ღვთისმეტყველი იმ აზრის არის, რომ სახელი „ეროსი“ უფრო შეპფერის ღმერთს, ვიდრე „სიყვარული“. საღმრთო ეგნატიც ხომ წერს: „ეროსი ჩემი ჭვარცმულ არს“. ასევე „წიგნი სიბრძნისა სოლომონისი“ (8, 2): „ტრფიალ ვექმენ სიკეთესა მისსა“. დაბოლოს, საღვთო წერილშივე ნათქვამია: სიყვარული შენი თავს დამატყდა, ვითარცა სიყვარული ქალთა.

ვინც მართებულად სწვდება ღვთაებრივს, მათთვის ღვთისმეტყველნი. თანაბარი მნიშვნელობით ხმარობენ სიტყვებს „ეროსი“ და „სიყვარული“. ეს სიტყვები აღნიშნავენ ერთმომედსა და ერთყოფელ ძალას, რომელიც მშვენიერისა და კეთილის განუყოფლობას განასხვავებს, თავად წინასწარვე ჰგვის მშვენიერისა და კეთილის მიზეზით და მშვენიერიდან და კეთილიდან მშვენიერისა და კეთილის მიერ განეშორება. იგი ურთიერთს აზიარებს თანამოდასებებს, უღარესთ აღძრავს უღარესთა გამო ზრუნვისთვის და უღარესთ — უღარესთაგან სწრაფვისთვის.

საღმრთო ეროსი ექსტატურია („განმაცვიბრებელი“). მისი წყალობით შეყვარებულნი თავისთავს კი არ ეკუთვნიან, არამედ საყვარელ არსებათ. ეს იმით ვლინდება, რომ უღარესი არსებანი უღარესთ განაგებენ, თანამოდასენი ერთურთს ეზიარებიან, ხოლო უღარესნი უღარესთაგან მიიტყვიან ზებუნებრივად.

ამიტომ იყო, საღმრთო ეროსით შეპყრობილმა და მის ექსტატურ ძალას ზიარებულმა პავლემ რომ დაღადაყო: „არღარა მე ცოცხალ ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ შორის ქრისტე“ (გალატელთა მიმართ, 2,20), — ვითარცა ქეშმარიტად შეყვარებულმა, საღმრთო სიშმაგით შეპყრობილმა და საკუთარი სიცოცხლით კი არა, საყვარელის — ფრიად საყვარელის — სიცოცხლით მცხოვრებმა.

ყოველივე არსებულის მიზეზიც, სამყაროსადმი თავისი მშვენიერი და კეთილი სიყვარულის (ეროსის) მქონე, ტრფიალებითი სიკეთის გარდამეტებულობის მიზეზით გამოდის თავისთავისგან ყოველთა არსთა განმგებელი და თითქოს მოხიზლულია სიკეთით, სიყვარულით და სურვილით (ეროსით). საყოველივეზე მალა და ყოველივეს საზღვარს მიღმა მყოფი იგი მაინც დაინთქმის ყოველივეს წიაღში ექსტატური და ზესთაარსებითი ძალით — თავად გასუყოფელი. ამიტომ ღვთისმეტყველნი მას მოშურნესაც უწოდებენ, რამეთუ ფრიად მოშურნეა ყოველივე არსებულის სიყვარულში და შეყვარებულთ აღძრავს თავის მიმართ მოშურნედ სწრაფვისაკენ.

საერთოდ, სიყვარული და საყვარელი მშვენიერისა და კეთილის ეკუთვნის, მშვენიერისა და კეთილში ჰგვის წინასწარვე და მშვენიერისა და კეთილის მიერ ქმნადობს და არსებობს.

რის გამოხატვას ესწრაფვიან ღვთისმეტყველნი, როდესაც მას ხან სიყვარულად და სურვილად იხსენიებენ, ხანაც საყვარელად და სასურველად? იგი, ერთი მხრივ, მიზეზი და წარმომქმნელია სიყვარულის და სურვილისა, მეორე მხრივ, თავადვე არის სიყვარული და სურვილი. სხვაგვარად: ხან მათგან იძე-

რის იგი, ხანაც მათ ამოძრავებს, ანუ თავად და, ამასთან, თავისთავისკენ ძრავს ყოველსავე. ამგვარად, ხან საყვარელს უწოდებენ, ხანაც — სიყვარულს, ვითარცა მშვენიერებასა და სიკეთეს. ასევე — სიყვარულსა და სურვილს, ვითარცა მძვრელსა და, ამასთან, თავისკენ მიმზიდველ ძალას, თავისთავად ერთადერთ მშვენიერებასა და სიკეთეს, როგორც ყოველივე არსებულისადმი თავისთავის განმაცხადებელს, როგორც თავისი ზესთაარსებითი ერთობისგან კეთილ გამოსვლას, როგორც წადიერ (ეროტიულ) მოძრაობას: მარტივს, თვითაღმძვრელს, თვითმოქმედს, წინარე არსებულს სიკეთეში, სიკეთიდან სამყაროში გადმოღენილს და კვლავად სიკეთეში მიქცეულს. და ამით საღმრთო ეროსი ვლინდება, ვითარცა თავისთავში უსასრულო და დაუსაბამო, თითქოსდა მარადიული წრიული ბრუნვა უცვლელი ორბიტით: სიკეთისგან, სიკეთის მიერ, სიკეთისკენ და სიკეთეში. თავისი ბუნების კვალობაზე თავისთავის იგივეობრივად მყოფი, იგი მარად გამოდის, ჰგვის და წინანდელ მდგომარეობას უბრუნდება.

თუ დავუკვირდებით ამ რელიგიურ-ფილოსოფიურ დებულებებს და გავიხსენებთ წინამორბედ მოძღვრებებსაც (პლატონი, ნეოპლატონიზმი, ქრისტიანობა), უძველესად შევნიშნავთ, რომ სიყვარულის არეოპაგიტულ მოძღვრებაში თითქმის არც ერთი იმგვარი დებულება არ არის წამოყენებული, რომელიც ხსენებულ წინამორბედ მოძღვრებებშიც არ ყოფილიყო. სიახლეს აქ ორიგინალური რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფცია კი არ ქმნის, არამედ მანამდე არსებული სამი უდიდესი მოძღვრების — პლატონიზმის, ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის — ორგანულ მთლიანობად შერწყმა და ამით დაფუძნება სიყვარულის იმგვარი მოძღვრებისა, რომელმაც ქრისტიანული ქვეყნების ხალხთათვის ისეთივე როლი შეასრულა, როგორიც სუფიზმმა — აღმოსავლური, მუსლიმანური სამყაროსთვის.

კიდევ ერთხელ დავუკვირდეთ არეოპაგელის მიერ წარმოსახულ სამყაროს მოდელს. სამყარო შექმნილია აბსოლუტურად ტრანსცენდენტური ღმერთის მიერ, რომლის შეცნობა ან თუნდაც დადებითად განსაზღვრა სრულიად შეუძლებელი რამ არის. მაგრამ სამყარო შექმნილია, როგორც სიკეთის, მშვენიერების, ნათელის, სიყვარულის გამოვლენა და მის არსებას შეადგენს სიკეთის, მშვენიერების, ნათელისკენ სწრაფვა. სიყვარული არის ის ძალა, რომელმაც შექმნა სამყარო, და სიყვარულის მეოხებითვე ყოველი არსება მიისწრაფვის იქითკენ, რომ მეტი და მეტი სიკეთე, მშვენიერება, სინათლე შეიმოსოს ხოლო რადგან სამყარო იერარქიულად არის განფენილი, ეს პროცესი (ღმერთისად შექმნილის უკუდაბრუნება) იმით აღსრულდება, რომ იერარქიულ საფეხურებზე ზემდგომნი ქვემდგომთ ეხმარებიან, ხოლო ქვემდგომნი ზემდგომებისკენ ისწრაფვიან, მათ ბაძავენ. ოღონდ აქ საგულისხმო ის არის კიდევ, რომ ნებისმიერ საფეხურზე მყოფი არსება მისთვის განკუთვნილ ბუნებრივ წესთა დაცვით იგივე საღმრთო საქმეს (სიკეთეში მონაწილეობას) აღასრულებს.

ღმერთი შეურყენელად ტრანსცენდენტურიც არის და, ამასთან, ყოველ არსებაში, თვით უმცირესშიც კი, მთელი თავისი სისრულით მყოფი; არეოპაგელის სიყვარულიც, ერთი მხრივ, იგივე შეუცნობელი ღმერთია, მეორე მხრივ — ყოველ არსებაში, თვით უმცირესშიც, მოქმედი ერთმყოფელი ძალა.

ღმრთი თავისთავად არის მშვენიერება და სიყვარული და, ამასთან, შექმნილ-  
 თათვის იგი არის მშვენიერი და საყვარელი.

ღმერთი, როგორც ერთი მხრივ, მშვენიერება და სიყვარული, მეორე  
 მხრივ, მშვენიერი და საყვარელი, არეოპაგელს არ მიუკვლევია. მსგავსი იდეე-  
 ბი აღრინდელ მოძღვრებებშიც იჩენდა თავს სხვადასხვა ვარიაციით. ასე, პლა-  
 ტონს არსად აქვს გამოკვეთილად ნათქვამი, რომ ღმერთი არის იგივე საყვა-  
 რელი, მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ პლატონი ღმერთს „მამას“ უწოდებს მრავალჯერ, პლატონის საშუალებას აძლევდა სულის მიერ გონების სიყვარული  
 ქალიშვილის მამისადმი უმანკო სიყვარულისთვის შეედარებინა.

მეორე მხრივ, პლატონი მშვენიერებას სიკეთეზე დაბლა აყენებდა და  
 გონების საუფლოში უტოვებდა ადგილს. ამავე დროს, სიყვარულის პლატონი-  
 სეული მოძღვრება, მითოსური ელემენტების მოხმობით თითქოსდა გაცოცხ-  
 ლებული (კოსმოსს უყვარს სული ანუ აფროდიტა, სულს — გონება ანუ კრო-  
 ნოსი და მისთანანი...), საბოლოო ჯამში იმგვარ ინტელიგიბელურ სქემებზე  
 დაიყვანებოდა, უბრალო მოკვდავთათვის სიყვარულს, როგორც ასეთს, მთელი  
 თავისი მიმზიდველობა უნდა დაეკარგა. აქ „ნადიმის“ განმაცხოველებელი,  
 არსებობის ყოველ საფეხურზე ძალუმად მფეთქავი და ყოველის წამლევავი  
 სიყვარული სწავლულის მწიგნობრული სამოსელით იყო წარმოდგენილი.  
 პროკლეს გამო ლაპარაკიც ზედმეტია.

და, აი, ეს ცნობილი იდეები ჭეშმარიტად მაცოცხლებელ წყაროსავით  
 ამოღინდა არეოპატიულ მოძღვრებაში. უმთავრესი აქ ის იყო, რაღა თქმა  
 უნდა, რომ მშრალი ფილოსოფიური ცნებების ადგილას წარმოდგა მარად  
 ცოცხალი და პიროვნულად ადვილად გასაგები, ინტიმურად შესაგრძნობი  
 იმოსტასი — ქრისტე. ასეთივე იყო პლატონის ეროსი პლატონის ეროსისგან  
 განსხვავებით. მაგრამ პლატონის ეროსს სხვა ნაკლი ჰქონდა: უკვე ქრისტეს-  
 გან განსხვავებით, არც მშვენიერი ყოფილა და არც საყვარელი, რაც მთავა-  
 რია, არც ღმერთი, არამედ მხოლოდ დემონი, ღვთაებათა და კაცთა შუამავა-  
 ლი. ამასთან, არც პლატონისა და, ცხადია, არც პლატონის ეროსი არ იყო  
 ყოველივე არსებულისა და, კერძოდ, კაცთა მოდგმის უშუალო შემწე და  
 მხსნელი.

ასლა ჩვენ შეგვიძლია არეოპატიული მოძღვრების კიდევ ერთი ასპექტი  
 წამოვწიოთ წინა პლანზე. არსებობის ყოველ საფეხურს შესატყვისი წესი აქვს  
 მიჩენილი სიყვარულის მეოხებით ზეაღსვლის (ღმერთში უკუდაბრუნების)  
 ნათელგადაფრქვეულ უსასრულო გზაზე. კაცთა მოდგმისთვის ეს წესი გულის-  
 ხმობს ღმერთთან მაქსიმალურად მიახლოებას, რასაც არეოპატიულ წიგნებში  
 განღმრთობა ეწოდება. მაგრამ უფრო კონკრეტულად რა არის განღმრთობა?  
 „განმღრთობაა არს ღმრთისა მიმართი, რაოდენ დასატყვენელ არს, მსგავსება  
 და ერთობა“ (158,10).

ვიდრე ამ მხრივ განეაგრძობდეთ მსჯელობას, ალბათ უადგილო არ იქნე-  
 ბა, გაეხსენოთ, რომ განმღრთობის იდეას პლატონის ფილოსოფიაშიც მნიშვე-  
 ნელოვანი ადგილ ეჭირა, აგრეთვე ისიც, რომ პლატონიც ყველგან ხაზს უს-  
 ვამდა — ღმერთისადმი დამსგავსება, რამდენადაც შესაძლებელიაო.

მაგრამ აქ უმთავრესი მაინც ის არის, რომ, როგორც ირკვევა, განმღრ-  
 თობის იდეა ორგანულად უკავშირდება ქრისტიანობის უღრმეს არსებას, არე-  
 ოპაგელი განმარტავს: „საღმრთო ყოფამ ჩვენდა არს საღმრთო დაბადებამ  
 მეორედ შობისა...“ (160,30). ხოლო ქრისტიანული რელიგიური ფილოსო-



ფიქსაციის კარგად ცნობილი მეორედ შობის იდეა (იოანე, 3,3-7, პეტრე, I პეტრე, 1,23, ტიტეს მიმართ, 3,5 და სხვა მრავალი) არეოპაგელსაც იმგვარად ესმის, რომ „მარტივი იესუ... შინაგან ბუნებისა ჩვენისა იქმნა“ (9,1-3).

მეორედ შობა თავისთავად ურთულესი რელიგიურ-ფილოსოფიური პრობლემაა და აქ მის გამოძიებას, ცხადია, ვერ გამოვუძღვებით. მაგრამ ერთ მომენტზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. „ნადიმის“ თანახმად, დიოტიმა განუმარტავდა სოკრატეს, რომ სიყვარული მშვენიერისადმი სწრაფვა კი არ არის, არამედ მშვენიერში შობისადმი როგორც სხეულებრივად, ისე სულიერად (206, b-e). ხოლო დასასრულ ნათქვამია, რომ ის, ვინც მშვენიერების იდეის წვდომამდე ამაღლდება, სათნოების აჩრდილებს კი არ შობს, არამედ ჰეშმარიტ სათნოებას, რამეთუ ჰეშმარიტებას სწვდება და არა ჩრდილს. ხოლო ვინც ჰეშმარიტი სათნოება შვა და გამოზარდა, მას ღვთაებათა სიყვარული ხვდება წილად და თუ კაცთაგან ვინმე უკვდავია, ის არის სწორედ (212, a). ამ ორი იდეის (ქრისტიანული მეორედ შობისა და პლატონური მშვენიერში შობის) დაკავშირება რა შედეგსაც გამოიღებდა, ამას ყველა უჭირველად უნდა მიხვდეს. საჭმე სწორედ ის არის, რამდენად ვართ უფლებამოსილი ამგვარი დაკავშირების ცდა მოვახდინოთ.

არეოპაგიტულ წიგნებში ჩვენ ვპოულობთ ქრისტიანულ შეხედულებათა რელიგიურ-ფილოსოფიურ დასაბუთებას პლატონის მოძღვრებისა და ნეოპლატონიზმის მოშველიებით. ოღონდ აქ დამატებით ინდური აზროვნების გავლენაც რომ გვევარაუდნა (შემოვლითი გზით: ხომ არსებობს შეხედულება — პლოტინმა ინდური რელიგიური ფილოსოფიის ზეგავლენა განიცადაო), ფაქტი ფაქტად დარჩებოდა: თავისი საბოლოო სახით სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება აღარც პლატონური იყო, აღარც ნეოპლატონური და, მით უმეტეს, არც ინდური, არამედ — ქრისტიანული.

პლატონისგან და ნეოპლატონელთაგან განსხვავებით, არეოპაგელის „კეთილი და მშვენიერი“, მსგავსად ფილონ ალექსანდრიელის მოძღვრებისა, არის პიროვნული ღმერთი. და, მეორეც, უკვე ფილონისგანაც განსხვავებით, სიკეთისა და მშვენიერების მატარებელი, მათი მეოხებით სამყაროს შემქმნელი და მათივე მეოხებით ტრანსცენდენტური აბსოლუტისკენ ყოველივეს წარმმართველი პრინციპი არის ამ პიროვნული ღმერთის მეორე იპოსტასი, ძე ღვთისა, კაცად განსხეულებული ღმერთი — ქრისტი.

ჩემის აზრით, ამაშიც იყო ის ძალა, რაიც მოცემულ ეპოქაში ქრისტიანულ რელიგიურ ფილოსოფიას მომგებიანად გამოარჩევდა წინარე ეპოქების თუ მისი თანადროული ფილოსოფიური კონსტრუქციებისგან. პლატონის მშვენიერებაც და ნეოპლატონელთა ტრანსცენდენტური ერთიც ერთობ განყენებული რამ იყო არაფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანთათვის (არადა კულტურულ ფასეულობათა ძირითადი შემოქმედნი სწორედ ესენი იყვნენ). ხოლო განყენებულ იდეათა სიყვარული გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე პიროვნული საწყისისა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მსგავსად პლატონის და ნეოპლატონელებისა, არეოპაგელიც განასხვავებს სიყვარულის ორგვარ სახეობას: მდაბალსა და საღმრთო სიყვარულს („საღმრთოთა სახელთათვის“, თავი IV, პარაგრაფები 12, 13). ამასთან ჰეშმარიტი სიყვარული მისთვისაც, ცხადია, არის საღმრთო სიყვარული, საღმრთო ერისა.

ოლონდ ჩვენთვის (უკვე კულტურის ისტორიისთვის) განუზომლად მნიშვნელობის მქონეა ის ამბავი, რომ, მსგავსადვე პლატონისა, რომელიც, საღმრთო ეროსის აპოლოგიისდა მიუხედავად, ეროსის მიწიერ გამოვლინებებსაც სრული გაგებით ეკიდებოდა და ამასაც საბოლოო ჯამში საღმრთოს აქმედ თვლიდა („ნადიმი“, 206, C), არეოპაგელიც სახავს ღმერთისადმი ანუ სიყვითისადმი მთელი სამყაროს წადიერი სწრაფვის გრანდიოზულ სურათს; მისკენ, როგორც თავისი ზღვარისკენ არიან მიმართული გონიერი და სიტყვიერი არსებანი — შემეცნების გზით, გრძნობადნი — შეგრძნებათა მეშვეობით, უგრძნობელნი — სასიცოცხლო მისწრაფებათა ბუნებრივი მოძრაობით, ხოლო ოდენ არსებული ნივთნი—არსებობაში მონაწილეობის უბრალო ვარგისიანობით („საღმრთოთა სახელთათვის“, IV, პარაგრაფი 4).

ამ ადგილის უკეთ გასაგებად ჩვენ უნდა გავისვენოთ არეოპაგიტული მოძღვრების ერთი დებულება (ნეოპლატონიზმიდან მომდინარე), რომლის თანახმადაც, რაც კი რამ არსებობს, ყოველივე არის სიკეთე, საფეხურებად განფენილი სიკეთე, რომელსაც არსებობაში მონაწილეობის ანუ ზეალსვლის საკუთარი, თავისი საფეხურის შესატყვისი ბუნებრივი (იგივე ღვთაებრივი) წესი აქვს მიჩენილი. სიყვარული არსებობის ყოველ საფეხურზე ვლინდება ამ საფეხურისთვის შესატყვისი ძალის მიხედვით. ამიტომ არის, რომ არსებობა და სიყვარული ერთი და იგივეა როგორც უმაღლეს, ისე მიწიერ პლანშიც, არსებობა ნიშნავს სიკეთეს და უფრო მაღალი სიკეთისადმი სწრაფვას ანუ სიყვარულს. იმ ზომამდეთ, ბრძანებს არეოპაგელი, რომ, თუკი ვინმე თავდაუოკებელი სიკეთეს მოაკლდება ვნებას აყოლილი უგუნურად, ამ აზრით ის არც არსებობს, არც რაიმე არსისადმი მისწრაფვის. და მაინც ის ეზიარება სიკეთეს (მონაწილეობს სიკეთეში), რამდენადაც მასში არის შეერთებისა და მეგობრობის თუნდ ბუნდოვანი ნახმევი (იქვე, პარაგრაფი 20).

ამ თვალსაზრისით შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თავისი საღმრთო სიყვარულის დასახასიათებლადაც კი არეოპაგელი ცხოვრებისეულ მაგალითს იშველიებს ძველი აღთქმის ერთი ადგილის თავისებური პარაფრაზირებით: „შენი სიყვარულიო (სიტყვები ღმერთს მიემართება. — რ. თ.),—იტყვის ვინმე, — თავს დამატყდა, ვითარცა სიყვარული ქალთა“ (პარაგრაფი 12).

დასასრულ, კვლავ უნდა მივაპყროთ ყურადღება განღმრთობის პრობლემას.

განღმრთობა, ერთი მხრივ, არის მეორედ შობით და ბაძვის მეშვეობით ღმერთისადმი დამსგავსება რამდენადაც შესაძლოა, მეორე მხრივ, ღმერთისად უშუალოდ აღსვლა მისტიური ექსტაზის გზით. ოლონდ ეს რჩეულთა გზა არის მხოლოდ, ზეკაცურ ძალისხმევას რომ მოითხოვს. ამასთან, კვლავ მსგავსად პლატონისა (მშვენიერების იდეისკენ ანუ სიყვითისკენ მიმსწრაფი თანდათანობით განიშორებს ტრფიალს ცალკეულისადმი, გრძნობადისადმი, თვით გონებრივი წარმონაქმნებისადმი, ვიდრე თავისთავადი მშვენიერების საფეხურამდე არ ამაღლდება), ეს გზა, უწინარეს ყოვლისა, უარყოფის, ნეგაციის მეშვეობით ამაღლებას გულისხმობს, გულისხმობს ღმერთის შემეცნებას გონებაზე აღმატებული ერთყოფის არცოდნით, როდესაც გონება ყოველსავე არსებულს უნდა განუდგეს და ბოლოს „თავიცა თვისი დაუტეოს“ და საღმრთო ნათელს შეერთოს („საღმრთოთა სახელთათვის“, VII, პარაგრაფი 3, აგრეთვე



„ზეცათა მღვდელმთავრობისათვის“, „საიდუმლო ღმერთისმეტყველებისათვის“).

აქ რამდენიმე მომენტს უნდა მივაპყროთ ყურადღება.

ერთი რომ, აქაც და სხვაგანაც არეოპაგელი არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვით მისტიური ექსტაზის დროსაც კი აბსოლუტიდან გამოსხივებულ ნათელთან შეერთება ხდება და არა თავად აბსოლუტთან. გარდა ამისა, არეოპაგელისთვის მისტიური აქტი არის განწყობისა და საგულდაგულო მომზადების შედეგად ზეკაცური კონცენტრაციის მეოხებით მიახლოება ღმერთთან და არა სასიყვარულო ექსტაზი. ამასთან, აქ პიროვნება, სული არ კარგავს თავის მეობას.

შემდეგ: მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მისტიური აქტი ღმერთისადმი სიყვარულის, საღმრთო სიყვარულის შედეგია, აქ სიყვარულის მოძღვრება ფაქტურად მთავრდება და ადგილს უთმობს თავისებურ შემეცნების თეორიას (ღმერთის შემეცნება მისი შეუცნობლობის, არცოდნის გზით).

დაბოლოს: ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ არეოპაგიტული საღმრთო მიჯნურობა საკმაოდ განსხვავდება საღმრთო სიყვარულის აღმოსავლური გაგებისგან, რომლისთვისაც მისტიური ექსტაზი, უწინარეს ყოვლისა, სასიყვარულო აქტია, გრძნობად დაღვრა, და გულისხმობს პიროვნების ღმერთთან შერწყმას და მასში განზავებას.

Р. А. ТВАРДЗЕ

## АРЕОПАГИТСКОЕ УЧЕНИЕ О ЛЮБВИ

Резюме

Ареопагитское учение о любви основывается на платоновском, неоплатоновском и христианском учениях о любви. Новизной здесь является не оригинальная религиозно-философская концепция, а органическое слияние упомянутых учений и, тем самым, обоснование нового учения о любви, сыгравшего такую же роль, как суфизм для восточного, мусульманского мира.

Согласно Псевдо-Дионисию Ареопагиту, любовь является той силой, которая сотворила все существующее и которая вновь обращает его к единству. Таким мировоззрением преодолевается средневековый дуализм, пропасть, разъединяющая земное и небесное. Это имело огромное значение для развития религиозно-философской мысли того времени и вообще для всей культуры. Фактически этим была подготовлена мировоззренческая основа ренессанса.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჭავჭავაძემ

ფილო ნალიზაიკა

ალეთოლოგიური ესთეტიკის პრინციპები

1. წინამდებარე გამოკვლევა ემყარება ალეთოლოგიური რეალიზმის ძირითადი პრინციპების დეტალურ ანალიზს [1]. ამის გარეშე საგანში ღრმად შესვლა და მისი შიგნიდან დანახვა არ მოხერხდებოდა, ვინაიდან შ. ნუცუბიძის „ხელოვნების თეორია“, როგორც ამას თვითონვე აღნიშნავდა, „...მთლიანად ემყარება ალეთოლოგიური რეალიზმის ნიადაგზე მიღწეულ შედეგებს“ [2, გვ. 228].

შ. ნუცუბიძის კონცეფციის თანახმად, ფილოსოფია და ფილოსოფოსობა მხოლოდ ადამიანს სჭირდება, ვინაიდან ადამიანზე მალაღმა არსებამ — ღმერთმა, თუ იგი არსებობს, ყველაფერი იცის, ხოლო ადამიანზე დაბალმა მოვლენებმა — საკუთარი არსებობაც კი არ იციან და ამიტომ, ცხადია, მათ არავითარი ფილოსოფია და ფილოსოფოსობა არ ესაჭიროებათ; მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყოველივე ადამიანურში უნდა „ჩახტეს“. პირიქით, ფილოსოფია და ფილოსოფოსობა აუცილებლობით უნდა გათავისუფლდეს, როგორც „სპეციალურ-ადამიანური“, ისე „სპეციფიკურ-ადამიანური“ თავისებურებებისაგან. უდავოა, ყოველივე ეს მიმართული იყო მეცნიერებაში ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ, რამაც სამართლიანი აღიარება მოიპოვა ჩვენში, მაგრამ (ისევე როგორც ე. ჰუსერლთან) ეს სამართლიანი მოთხოვნა მეორე უკიდურესობაში გადაიზარდა შ. ნუცუბიძისთან: კონკრეტულ-ისტორიული სუბიექტი ისე „განიწმინდა“ ყოველგვარი ადამიანურისაგან, რომ აზროვნების წმინდა ფენომენმა დამოუკიდებელი, ონტოლოგიური სტატუსი შეიძინა.

მეორე მხრივ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შ. ნუცუბიძის „ხელოვნების თეორიაში“ მძლავრად იგრძნობა მატერიალისტური ნაკადი. ანდა, როგორც ამას თვითონვე წერდა: „...დიალექტიკური მატერიალიზმის არსენალიდან ამ წიგნში გამოყენებულია ბევრი რამ“ [2, გვ. 227]. მაგრამ ეს „ბევრი რამ“ ალეთოლოგიური რეალიზმის პრინციპებისადმი დაქვემდებარებული „მასალაა“. შ. ნუცუბიძის „ხელოვნების თეორიაში“, რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა, ჭერ კიდევ არ მომხდარა ალეთოლოგიური რეალიზმის პრინციპებიდან დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე გადასვლა: პირიქით, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, შ. ნუცუბიძის „ხელოვნების თეორია“ იმ ფილოსოფიური კონცეფციის ანალოგიურადაა აგებული, რომლის თანახმადაც არა მარტო მოცემულობა, როგორც მოცემულობა, არ მოითხოვს რაიმეს ვინმესთვის მოცემულობას, არამედ უფრო მეტიც, ჩვეულებრივი დაკავშირება მოცემულობისა ემპირიულ, გნოსეოლოგიურ ან ესთეტიკურ „მე“-სთან სავალდებულო არაა და, საერთოდ, სუბიექტის ელიმინაციის პრინციპი თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს ყველა სფეროში.

2. შ. ნუცუბიძის აზრით, ალეთოლოგიურ ნიადაგზე დაფუძნებულ ხელოვნების თეორიაში ესთეტიკური კატეგორიების არსი და მნიშვნელობა სუბიექ-

ტისაგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს გაანალიზებული, ვინაიდან ესთეტიკური სუბიექტის არაერთგვარობა ხელს უშლის ესთეტიკურის სწორ გაგებას. მაგალითისათვის ავიღოთ ხელოვნების ნაწარმოების შემოქმედის სუბიექტი და მის მიერ შექმნილი ნაწარმოების აღმქმელი სუბიექტი. რამდენადაც ისინი (შემოქმედის და აღმქმელის) ესთეტიკურ ცდაში არიან ჩართული, იმდენად ცხადია, ერთიც და მეორეც ესთეტიკური ცდის სუბიექტად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ცხადია ისიც, რომ „სუბიექტი შემოქმედებისა და სუბიექტი განცდისა ერთი და იგივე არაა“ [2, გვ. 293]. შემოქმედი სუბიექტის განცდა — აქტიური განცდაა; იგი ყოველთვის ხელოვნების ნაწარმოების შემქმნასთანაა დაკავშირებული და ამიტომ მთელი თავისი ძალთა და ძლიერებით დაკავშირებულია იმის ქმნასთან, რაც მის (შემოქმედი სუბიექტის) მიერ გრძნობად-კონკრეტულ სახედ უნდა წარმოიქმნას, ჩამოყალიბდეს და წარმოჩნდეს. რაც შეეხება აღმქმელ სუბიექტს, ცხადია, ის პირველთან შედარებით პასიურია, ვინაიდან ახლის ქმნას, შემოქმედებას მოკლებულია. „...ვინ არ იცის, რომ ერთია მკითხველი და მეორეა მწერალი; ერთია სახეება და ფორმებში მკვეთრად შეჭრილი და მოქნილი ხელოვანი და მეორეა მისი მიღწევებით ვალდებული, თუნდაც მეტად ფაქიზი და ნახად მიმღები ბუნების პატრონი მკითხველი. მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი აღზნებასა და ალტაცებაშია წაკითხულით, მთელის სიძლიერით თავის გრძნობისა, სისრულით ხმისა, მუსიკალობით რიტმისა, შეუბღალაობით ექსპრესიისა და ყოველივე იმ ნიშნით, რომელიც გატაცების წრფელობას ყოველივე ეჭვის გარეშე აყენებს, რა დიდია ის მანძილი; რომელიც მას აშორებს შემოქმედს, რომელმაც პირველად იხილა ის, რაც ვერ არავის ენახა და ფაქტი უხილაობისა იმაში განიცადა, რომ მან პირველმა მისცა სახილველს ის სახე, რომელშიც მისი დანახვა პირველად ვახდა სხვებისათვის საწვდომი“ [2, გვ. 258].

ერთი სიტყვით, უხილავის ხილვა და ხილულის ხილვა ერთი და იგივე რანგის მოვლენა არაა. „ხელოვნების მინაღწევარით გატაცების პათოსი ყოველთვის პასიურია, რაგინდ ინტენსიური არ უნდა იყოს იგი“ [2 გვ. 260].

მართალია, განაგრძობდა შ. ნუცუბიძე, აბსოლუტურად პასიური სუბიექტი არ არსებობს, ერთგვარი აქტივობა ყოველგვარ სუბიექტს ახლავს თან, მაგრამ ზემოთ აღნიშნული განსხვავება შემოქმედსა და აღმქმელ სუბიექტს შორის მაინც ძალაში რჩება. უფრო მეტიც, „ხელოვანი შემოქმედებისა და ამ შემოქმედების განმცდელი შემოქმედების პროცესში ერთი და იგივე სუბიექტია და ამით კიდევ მკვეთრად იხაზება ის არე, რომლის იქით, პასიური განმცდელის როლში მოვლენილი სხვა, არსებითად განსხვავებულ სუბიექტად ისახება“ [2, გვ. 294].

როგორც ვხედავთ, შემოქმედ და აღმქმელ სუბიექტს შორის შ. ნუცუბიძემ იმხელა განი და განსხვავება დაინახა, რომ ესთეტიკური სუბიექტის ერთიანი ცნების დადგენა აღარც კი უცდია. პირიქით, აღნიშნული გარემოება იმის საკმაო საფუძვლად მიიჩნია, რომ ესთეტიკური სუბიექტი ხელოვნების თეორიიდან საერთოდ ამოეღო, რადგან, მისი მტკიცების თანახმად, ამ ნიადაგზე მონისტური ესთეტიკა ვერ აიგებოდა. აზრთა წყობის ამ შინაარსს კი ის ასე აჯამებდა: „ახლა ნათელი უნდა იყოს, რომ სუბიექტის პრინციპებზე აგებული ესთეტიკა მთლიანობას ვერ მიიღწევს და ვერც აღწევს კიდევ. ამიტომაც მოვხსენით ჩვენ სუბიექტი, როგორც საორიენტაციო წერტილი, რომლის ირგვლივ ესთეტიკური საკითხები უნდა თავს იყრიდნენ. აღე-

თოლოგიური ძირი ესთეტიკისა სრულიადაც არ საჭიროებს სუბიექტის გამოყენებას კვლევა-ძიების საწარმოებლად“ [2, გვ. 294].

3. ცხადია, წერტილის აქ დასმა არ გამოდგება, ვინაიდან, საგანთა ლოგიკის თანახმად, უარყოფითი მსჯელობის გზით გამოთავისუფლებული „ადგილი“ დადებითი მსჯელობით უნდა შეივსოს. თუ ალეთოლოგიური ძირი ესთეტიკისა სუბიექტის გამოყენებას არ საჭიროებს, თუ ესთეტიკური სუბიექტი ამოღებული და გაუქმებული უნდა იქნეს, მაშინ ვინ ან რამ უნდა დაიკავოს სუბიექტის ადგილი ესთეტიკაში? შ. ნუცუბიძე სრულიადაც არ უფლის გვერდს ამ ლოგიკურ მოთხოვნას. პირიქით, პრობლემას სხვა კუთხითაც წამოწევს წინ და საქმის ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძნელი უნდა იყოს საკითხის ასეთი დაყენება, რადგან ჩანს, თითქოს სუბიექტის გარეშე ყოველგვარი ამბავი შეიძლება მოხდეს და მოთავსდეს, მაგრამ არა განცდა, რომელიც ვიღაცის განცდა უნდა იყოს აუცილებლად“ [2, გვ. 294].

თუმცა, — განმარტავდა შ. ნუცუბიძე, — ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. ვინც ამ გარემოებას თავს ვერ დააღწევს და საქმის ვითარებას უფრო ღრმად ვერ ჩასწვდება, ცხადია ის ფსიქოლოგისტურ თვალსაზრისზე დარჩება; ეს კი, სხვანაირად, იმასაც ნიშნავს, რომ მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩება როგორც მშვენიერების, ისე შემოქმედების ბუნება, ვინაიდან ვერც ერთს და ვერც მეორეს სუბიექტური განცდის სფეროს ვერ დააცილებს, მაშინ როდესაც თავის სრულყოფილი გაგებისათვის მშვენიერებაც და შემოქმედებაც სუბიექტური განცდის მიღმა გასვლას მოითხოვენ. მართალია, განსხვავებული ფორმით, მაგრამ მაინც, ფსიქოლოგიაში ისევე მიუღებელია ესთეტიკაში, როგორც ის მიუღებელი და მცდარია ჭეშმარიტების თეორიაში.

შ. ნუცუბიძის თანახმად, ალეთოლოგიურ ნიადაგზე ნაშენები ესთეტიკა გადალახავს ფსიქოლოგიზმის საზღვრებს და სრულიად გარკვევით „დაადგენს“, რომ განცდა, როგორც ესთეტიკური ფენომენი, სრულიადაც არ საჭიროებს განმცდელი სუბიექტის არსებობას. პირიქით, ჭეშმარიტების თეორიის ანალოგიურად, „აქაც გამოირკვა, რომ... განცდის ფენომენი ჩამოქნილია იმის მიხედვით, თუ რის განცდას წარმოადგენს“ [3, გვ. 367]. მართალია, — განაგრძობდა შ. ნუცუბიძე, — ეს სფერო ძალიან საშიში იყო, რადგანაც განცდის ფენომენი „...განმცდელი სუბიექტის ქვეშ იდგა, მაგრამ ანალიზმა აღმოაჩინა, რომ აქაც მდგომარეობა უცვლელად ისეთივეა, როგორც პირველ შემთხვევაში და ესთეტიკური ფენომენი განცდისა იმგვარადვე ჭეშმარიტების „ანალოგიაზე“ ნაშენები ფენომენია, როგორც სხვები“ [3, გვ. 367—368]. ეს კი, სხვანაირად, იმას ნიშნავს, რომ „ესთეტიკურობის მთელ გასაქანს ჭეშმარიტების აგებულება აღმოვუჩინეთ და მისი დამოუკიდებლობაც ყოველგვარ სუბიექტურ გარემოებათაგან ნათელი გავხადეთ“ [3, გვ. 309].

თუ ყოველივე ზემოთქვემას შევაჯამებთ, ასეთ დანასჯეს მივიღებთ: ისევე, როგორც ალეთოლოგიურ რეალიზმში, აქაც, ალეთოლოგიურ ნიადაგზე ნაშენებ ხელოვნების თეორიაში, ესთეტიკური სუბიექტი მთლიანადაა ამოღებული მოქმედების არედან და მის ადგილზე მოთავსებულია კონკრეტულ-ისტორიული ადამიანის მიღმა გატანილი „წმინდა განცდა“, რაც, თავის მხრივ, დადებითი შინაარსით ავსებს იმ „ცარიელ“ ადგილს, რომელიც ზემოთ უარყოფითი მსჯელობის გზით გამოთავისუფლდა.

4. მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებულმა კვლევა-ძიებამ ლოგიკურად დასრულებული სახე მიიღო, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელოვ-

ნების თეორიაში მიღებული შედეგები უფრო სავალალო და მიუღებელი აღმოჩნდა, ვიდრე ის ჰეშმარიტების თეორიაში იყო. საქმე მართლ ის კი არაა, რომ შ. ნუცუბიძემ ესთეტიკური სუბიექტი კონკრეტულ-ისტორიული სუბიექტისაგან არ „გამოძეოდა“, რომ რეალურ-კონკრეტული ადამიანი უკვალოდ გაქრა მოქმედების არიდან. არა, საქმე უმთავრესად და უპირატესად ისაა, რომ ესთეტიკური სუბიექტის ამოღება და გაუქმება უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე შემეცნების თეორიული სუბიექტისა, რადგან ესთეტიკური სუბიექტი ესთეტიკური ობიექტის შენებაში მონაწილეობს და მის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც თეორიული სუბიექტი ასეთი „ტვირთისაგან“ თავისუფალია.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს ისიც, რომ მეოცე საუკუნის დიდმა ქართველმა მოაზროვნემ — შ. ნუცუბიძემ თვითონვე შენიშნა ეს სიძნელე და თვითონვე აღიარა, რომ „...თუას, რომელიც მოისურვებს განცდის სუბიექტისაგან დამოუკიდებლობის მტკიცებას, პატარა სიძნელე არ ელოდება წინ“ [2, გვ. 298]. მაგრამ ეს სიძნელე, თავისი ღრმა რწმენით, ჯერ კიდევ მაშინ „დაძლია“ მან, როდესაც ერთიანი სინამდვილე ჰეშმარიტებად არსებულ არსად გამოაცხადა და ყოველგვარ გაორებას ბოლო მოუღო. ამიტომ, ახლა აქ, ალეთოლოგიურ ნიადაგზე დაფუძნებულ ესთეტიკაში, შ. ნუცუბიძის აზრით, „...არა თუ შესაძლებელია შემოქმედების (და აგრეთვე მისი განცდის) სუბიექტის გარეშე გაგება, არამედ აუცილებელიც“ [2, გვ. 305].

5. ამიერიდან, შ. ნუცუბიძის აზრით, შემოქმედებამ (და მისმა თანშეღებამ განცდამ) ისევე „წმინდა სახით“ უნდა შეასრულოს თავისი ფუნქცია ხელოვნების ნაწარმოების, კერძოდ მშვენიერების წვდომის საქმეში, როგორც ამას „წმინდა ფილოსოფიური რეფლექსია“ აკეთებდა ჰეშმარიტების დაუფლების მიზნით ალეთოლოგიურ რეალიზმში; თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ეს მხოლოდ ანალოგიაა. არსებითად კი შემეცნება და შემოქმედება განსხვავებული პროცესებია. მაგრამ ამ განსხვავებას ყველა ერთსა და იმავეში როდი ხედავს. მაგალითად, ედ. პარტმანის თანახმად, „შემოქმედება შემეცნებისაგან განსხვავდება იმით, რომ შემოქმედება გრძნობადი ინტუიციის მეშვეობით უშუალოდ წვდება მშვენიერებას, მაშინ, როდესაც ჰეშმარიტების დაუფლების პროცესში გრძნობად ინტუიციასთან ერთად დისკურსიული აზროვნებაც მონაწილეობს [2, გვ. 280].

ედ. პარტმანის ეს მოსაზრება პრინციპულად მიუღებელია შ. ნუცუბიძისათვის, ვინაიდან იგი (შ. ნუცუბიძე) თვლის, რომ გრძნობადი ინტუიცია სრულიადაც არაა მოკლებული დისკურსიულ აზროვნებას. პირიქით, ეს უნარები დიალექტიკურ ერთიანობაში არიან და თუ მაინც და მაინც ინტუიციის ბუნების ჩაწვდომი ვინმეს სურს — იგი სხვა არაფერია, თუ არა ენთიმემური დასკვნა; ამიტომ, შ. ნუცუბიძის აზრით, შემოქმედება და შემეცნება ამ ნიშნით კი არ განსხვავდებიან ერთიმეორისგან, არამედ იმით, რომ შემეცნება გადატანითი ფენომენია, ხოლო შემოქმედება — არაგადატანითი [2, გვ. 283—284].

რას ნიშნავს ან ერთი ან მეორე ტერმინი? პირველში („გადატანითში“) შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიური რეალიზმის ძირითადი პრინციპები იგულისხმება. ცხადია, ამ პრინციპების სრული სახით აქ წარმოდგენა არც შესაძლებელია და არც საჭირო, ვინაიდან საკვლევ საგანს გააბუნდოვნებს. ამიტომ აქ

მხოლოდ იმას აღვნიშნავთ მოკლედ, რაც საკმაო საფუძველს მოგვცემს ამ ტერმინების ურთიერთშედარებისათვის.

ის, რასაც ჩვენ, მარქსისტული მატერიალიზმის წარმომადგენლები, ერთიან მატერიალურ სინამდვილედ ვთვლით, შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიურ რეალიზმში გამოცხადებულია ჭეშმარიტებად არსებულ არსად. შ. ნუცუბიძის აზრით, ჭეშმარიტებად არსებული სინამდვილე ერთიანია. იგი მხოლოდ ნოლოგიურად (შემეცნების თვალსაზრისით) შეიძლება დაიშალოს: 1. „ჭეშმარიტებად თავისთავად“ (Wahrheit an sich), 2. „ჭეშმარიტებად ჩვენთვის“ (Wahrheit für uns) და 3. „ჩვენ ჭეშმარიტებად“ (Unsere Wahrheit) პირველი — „ჭეშმარიტება თავისთავად“ — წარმოადგენს არსებულს (Bestehende) ანუ ყოფიერს (Seinde), მაგრამ ალეთოლოგიური თვალსაზრისით, „ჭეშმარიტება თავისთავად“ მარტო ყოფიერი (Seinde) არაა, პირიქით იგი დიალექტიკური ერთიანობაა „ასეყოფნისა“ (Sosein) და „ასე-ყოფნაზე-მეტის“ (Mehr-als-Sosein). ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ „ჭეშმარიტება თავისთავად“ ქმნილი (Perfektum) არსია, რომელიც შინაგანი აქტიურობის ნიადაგზე აწმყოში უნდა გადავიდეს — „არის“ ნიშნით, — რათა „დაფარულის გამყვანება“ განხორციელდეს.

მაგრამ ეს მეტად რთული გზაა, ვინაიდან ყოველივე ამისათვის საჭიროა და აუცილებელია მეორე ჭეშმარიტების — ანუ „ჭეშმარიტება ჩვენთვის“, — როგორც ჩვენი „სპეციფიკურ-ადამიანური“ თვალსაზრისის, დათრგუნვა და დაყვანა „ჭეშმარიტებაზე თავისთავად“.

ამ პროცესს კიდევ უფრო ართულებს და ამწვავებს ის, რომ პირველ და მეორე ჭეშმარიტებებს შორის მოთავსებულია მესამე — სრულიად მცდარი „სპეციალურ-ადამიანური“ თვალსაზრისი — „ჩვენი ჭეშმარიტება“, რომელიც მთლიანად უნდა იქნეს გაძევებული იმისათვის, რომ, რეალურად, გზით, „ჭეშმარიტება ჩვენთვის“ დაყვანილი იქნეს „ჭეშმარიტება თავისთავად“-ამდე და მას დაემთხვეს.

დამთავრებულ შემეცნებაში საგნის გარემდებარება იხსნება, დაპირისპირებული მხარეები ერთი ხდებიან და შემეცნების გადატანითი ხასიათიც ამაში მდგომარეობს.

ცხადია, ყოველივე ეს ფენომენოლოგიიდან ობიექტური იდეალიზმისაკენ მიმავალი გზაა, რაც, რა თქმა უნდა, შ. ნუცუბიძის „ხელოვნების თეორიაში“ ასევე დეტალურად კი არაა გაშლილი, არამედ, ალეთოლოგიური რეალიზმის აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით, ასეთ მოკლე ფორმულირებას იღებს: „არსებობს ორგვარი სულიერი მოქმედება: ერთი, რომელსაც შეიძლება გადატანითი ვუწოდოთ, მდგომარეობს იმაში, რომ მას თავისი აგებულების გარემდებარე მიზანი გააჩნია, რომელთან შეფარდებით მხოლოდ იღებს იგი რაიმე აზრს ანუ ღირებულებას. ასეთი მოქმედება ყველაზე ტიპური ფორმის მიხედვით შეიძლება შემეცნებაში დავიხაზოთ. შემეცნება, მაშასადამე, არის ის ფენომენი, რომელსაც აზრი აქვს და გამართლება მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც ის მიმართულია მისგან გარემდებარე საგანზე“ [2, გვ. 283].

რაც შეეხება შემოქმედების არაგადატანით ხასიათს, იგი პრინციპულად განსხვავდება შემეცნებისაგან. თუმცა, აზრის სიზუსტისათვის, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, შ. ნუცუბიძის თანახმად, შემოქმედებითი აქტი აბსოლუტურად თავისუფალი როდია შემეცნებითი ელემენტებისაგან. მაგრამ ეს ელემენტები მხოლოდ და მხოლოდ მასალის როლს ასრულებენ და შემოქ-

მედებით უნარს სრულიადაც არ გადაიტანენ, არ წარმართავენ გარემდებარე საგანზე. შემოქმედებითი აქტის სპეციფიკური თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ „აქ აღარაა საჭირო გარეთ გამოვლენა, რაღაც გარემდებარე „ფენომენზე ნიშნებისა და ატრიბუტების გადატანა, იქ მყოფის სახეა და მის ნაწილებსა და გარემოს შორის ურთიერთობის გამორკვევა. უფრო სწორად რომ ითქვას, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მასშიც, მაგრამ მხოლოდ როგორც მასალა და არა გამოვლენის კონტექსტის შემქმნელი და შემუშავებელი“ [2, გვ. 284]. სხვანაირად: მოქმედების ის დარგი, რომელსაც გარემდებარე მიზანი არ გააჩნია და თვით ამ მოქმედებაშია მისი აზრი და მნიშვნელობა, სწორედ ის სფეროა, სადაც შემოქმედება იშლება.

6. მაგრამ აქ ახალი სიძნელე იბადება. სახელდობრ, თუ შემეცნებასა და შემოქმედებას „გადატანით“ და „არაგადატანით“ პროცესები განასხვავებენ ერთიმეორისაგან, მაშინ მშვენიერების ვაგება როგორ განხორციელდება ჭეშმარიტების ანალოგიურად? სხვანაირად, თუ ჭეშმარიტება შემეცნების მიზანია, ხოლო შემეცნება გადატანითი მოქმედების შედეგია და ამით არსებითად განსხვავდება შემოქმედებისაგან, რომელიც მშვენიერებასთანაა დაკავშირებული და არაგადატანითი ფენომენიცაა, მაშინ გამოდის, რომ მშვენიერებასა და ჭეშმარიტებას შორის ანალოგიის ვაგლება ძნელი საქმე უნდა იყოს?

ამ კითხვაზე შ. ნუტუბიძე ასეთ პასუხს იძლევა: შემეცნების მიზანი ჭეშმარიტების დაუფლებია; როგორც ზემოთ აღნიშნა, ჭეშმარიტება შემეცნების მიმართ ტრანსცენდენტურია, მათ შორის გარკვეული განი არსებობს და შემეცნების მიზანიც ამ განიის მოხსნაშია. ამასთანავე შემეცნების საგნის გარემდებარება უნდა მოიხსნას არა საგნის შეცვლის გზით, ვინაიდან შემეცნების უძირითადესი ამოცანა იმაშია, რომ საგანი ვიგოს ისე, როგორც ის თავისთავად არის; ამიტომ რჩება მხოლოდ მეორე გზა, რომელიც ჩვენს თვალსაზრისს და, მასადაამე, შემეცნების პროცესს აუცილებლობით მიიყვანს (დაიყვანს) საგანამდე. რელუქციული მეთოდიც ხომ ამ საქმეს ემსახურება.

ჩავატარეთ ცდის ორი ვარიანტი A და B. A ვარიანტის დროს ცდისპირის ყურადღება განაწილებული იყო მთელი ცდის, საფიქსაციო და კრიტიკულ ექსპოზიციათა, განმავლობაში, ხოლო B ვარიანტისას კი — მხოლოდ საფიქსაციო ცდის დროს. ჩვენს ძირითად, ემოციოგენური სიტუაციის ექსპერიმენტში, ადგილი ჰქონდა ცდისპირის ყურადღების დისტრიბუციას მთელი ცდის განმავლობაში. ვინაიდან ცდისპირზე ემოციოგენური აგენტი ცდაში უწყვეტად მოქმედებდა. ჩვენი ძირითადი ცდის მიმართ უფრო შესაბამისია წარმოდგენილი

ექსპერიმენტის A ვარიანტი. B ვარიანტის ჩატარება აუცილებელი გახდა A ვარიანტში მიღებული ერთი შედეგის გარკვევის მიზნით. ცხადია, ჩვენი ძირითადი ექსპერიმენტის მიმართ მეტი ანალოგიურობით ხასიათდება ყურადღების პასიური დისტრიბუციის ცდები, და ყურადღების აქტიური დისტრიბუციის კვლევა საკითხის უფრო ღრმა შესწავლისათვის გადაწყვეტივით.

ყურადღების აქტიური დისტრიბუციის მოდელირებისათვის გამოვიყენეთ შემდეგი ინსტრუქცია: „თქვენ ფსიქოლოგებთან თანამშრომლობის საშუალება გეძლევათ. ეს ცდა თქვენს პირად თავისებურებებს არ იკვლევს და თქვენ მხოლოდ გვეხმარებით იმის დადგენაში, თუ რამდენად შეუძლია საზოგადოდ ადამიანს საგნების (ბურთების) სიდიდეების შედარება თვალდახუჭულად, ხელით შეხებით და ამავე დროს მეტრონომის დარტყმათა დათვლაც. მაშ ასე, ხელეში მოგცემთ ბურთებს, რომლებიც მოცულობის (სიდიდის) მიხედვით უნდა შეუდაროთ ერთმანეთს. თუ ტოლია, იტყვიეთ რომ ტოლია. თუკი შეამჩნევთ სხვაობას, დაასახელეთ ის ხელი, რომელშიც უფრო დიდი ბურთია. მთელი ცდის განმავლობაში (B ვარიანტისას — ცდის გარკვეულ ეტაპზე) ჩართული იქნება მეტრონომი და თქვენ გვეალებათ მისი დარტყმების დათვლაც. ცდის ბოლოს გამოგითხავთ, თუ რამდენი დარტყმა იყო. თქვენი პასუხი შეუდარდება დარტყმათა რეალურ რაოდენობას“.

ყურადღების პასიური დისტრიბუციის მოდელირებისათვის ასეთი ინსტრუქცია გამოვიყენეთ: „თქვენ ფსიქოლოგებთან თანამშრომლობის საშუალება გეძლევათ. ეს ცდა თქვენს პირად თავისებურებებს არ იკვლევს და თქვენ მხოლოდ გვეხმარებით იმის დადგენაში, თუ როგორ აფასებს საზოგადოდ ადამიანი საგნების (ბურთების) სიდიდეებს თვალდახუჭულად, ხელით შეხებით. მაშ ასე, ხელეში მოგცემთ ბურთებს, რომლებიც მოცულობის (სიდიდის) მიხედვით უნდა შეუდაროთ ერთმანეთს. თუ ტოლია, იტყვიეთ რომ ტოლია. თუკი შეამჩნევთ სხვაობას, დაასახელეთ ის ხელი, რომელშიც უფრო დიდი ბურთია. ბოლოში უნდა მოგიხალოთ, ვინაიდან ცდის განმავლობაში ჩართული იქნება მეტრონომი (B ვარიანტში, ცდის ეტაპზე). მე ვიწერ, ჩემი ხელმძღვანელის დავალებით, მეტრონომის დარტყმებს მაგნიტოფონზე (მაგნიტოფონი დგას ცდისპირის წინ, მაგიდაზე), ვინაიდან ეს საჭიროა სრულიად სხვა ცდისათვის. ეცადეთ არ მიაქციოთ ყურადღება ამ ხმაურს. თუკი მაინც მოხდა თქვენი ყურადღების გადართვა ხმაურის მიმართულებით, სცადეთ ისევ დაუბრუნდეთ თქვენს ძირითად სამუშაოს. ცდის ბოლოს მე შეგეკითხებით, თუ რამდენად გიშლიდათ ხელს მეტრონომის ხმაური ცდის დროს. იმ შემთხვევაში, თუკი გაირკვა, რომ გიშლიდათ, მე ვთხოვ ჩემს ხელმძღვანელს, რომ ცდის დროს აღარ ჩამაწერინოს ხმაური“. როგორც ხედავთ, ინსტრუქციით ხდებოდა ცდისპირის ფიქსირება ფონურ სტიმულაციაზე.

საგანწყობო ცდის დროს ცდისპირს ეძლეოდა 3 კრიტიკული ექსპოზიცია ასიმეტრიის დასადგენად. გადაფასების მხარეს ცდისპირს საფიქსაციო ექსპოზიციებში ეძლეოდა დიდი ობიექტი (15-ჯერ). კრიტიკულ ექსპოზიციათა რაოდენობა უდრიდა 30-ს. ხუთჯერადი ადეკვატური აღქმის შემთხვევაში ცდას ვწყვეტდით.

## A ვარიანტის ცდის შედეგები

თ. ხ. — 78	ყურადღების აქტიური დის- ტრიბუციის ჯგუფი	ყურადღების პასიური დისტრიბუ- ციის ჯგუფი	საკონტროლო ჯგუფი
განწყობის სიმტიცე M	18,15	13,22	13,88
S	9,35	9,53	12,59
კონტრასტულ ილუზიათა საერთო რაოდენობა M	20,1	15,97	14,45
S	9,36	9,94	12,36
საგანწყობო ილუზიის სიდიდე M	2,4	2,47	3,17
S	1,05	1,15	1,3

როგორც № 2 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ყურადღების პასიური დისტრიბუცია არ იწვევს რაიმე ცვლილებას განწყობის ჩაქრობაში საკონტროლო მონაცემებთან შედარებით, მაშინ როდესაც ყურადღების აქტიური დისტრიბუციისას განწყობა სტატიკური ხდება, იზრდება განწყობის სიმტიცე და კონტრასტულ ილუზიათა საერთო რაოდენობა. რაც შეეხება საგანწყობო ილუზიის სიდიდეს — ყურადღების განაწილების ორივე ჯგუფში საკონტროლო მონაცემებთან შედარებით მის შემცირებას აქვს ადგილი.

ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ერთი შედეგი, კერძოდ, ყურადღების აქტიური დისტრიბუციის დროს განწყობის სიმტიცის სტატისტიკურად სანდო მომატება ყურადღების პასიური დისტრიბუციისა და საკონტროლო მონაცემებთან შედარებით. მიღებულმა შედეგმა ჩვენს წინაშე მისი ახსნის საკითხი წამოჭრა. ჩვენ წამოვაყენეთ ჰიპოთეზა, რომლის შემოწმებისათვისაც ჩავატარეთ ცდის B ვარიანტი.

ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობდა: ექსპერიმენტის განმავლობაში ცდისპირებზე დაკვირვება გვაძლევს შემდეგი ვარაუდის გამოთქმის უფლებას, რომ როდესაც ცდისპირს ინსტრუქციით ორი ამოცანის შესრულება ევალება (ყურადღების აქტიური დისტრიბუციის დროს), იგი ერთ-ერთ ამოცანას აფასებს როგორც უფრო რთულს, ხოლო მეორეს — როგორც შედარებით მარტივს, ჩვენს ცდაში რთულ ამოცანად ცდისპირები მიიჩნევდნენ მეტრონომის დარტყმათა დათვლას, ხოლო მარტივ ამოცანად — ჰაპტურ არეში ბურთების სიდიდეთა შედარებას. ასეთ სუბიექტურ დამოკიდებულებას ამოცანებისადმი განსაზღვრავდა თავად ცდის სპეციფიკა. საგანწყობო ცდა, განსაკუთრებით კი მისი საფიქსაციო ეტაპი, მონოტონურ, ერთფეროვან ხასიათს ატარებს, ცდისპირს 15-წერ უხდება უცვლელი მიმართების კონსტატაცია. მაშინ როდესაც მეტრონომის სწრაფი ტემპის დროს რხევათა დათვლა ვაცილებით მეტ ძალისხმევას საჭიროებს და, ცხადია, ცდისპირათათვის ეს ამოცანა მოკლებულია მონოტონურობასთან დაკავშირებულ სიოლეს. ცდისპირის აღნიშნული დამოკიდებულება ვრცელდება როგორც საფიქსაციო, ასევე კრიტიკულ ექსპოზიციებზე. საფიქსაციოდან კრიტიკულ ექსპოზიციებზე გადასვლისას ცდისპირი ადგენს რა გარკვეულ მიმართებას ობიექტებს შორის (კონტრასტული ილუზია) პირველი ექსპოზიციების განმავლობაში, მექანიკურად იმეორებს ამ მიმართების კონსტატაციას შემდგომი ექსპოზიციების დროსაც, რის გამოც განწყობის ეფექტის მაჩვენებელი იზრდება. ჩვენი ვარაუდით, A ვარიანტის ცდაში გან-

წყობის ეფექტის გაზრდა გამოწვეულია საგანწყობო ცდისადმი ცდისპირის დამოკიდებულებით, მეტრონომის დარტყმათა დათვლის ამოცანასთან შედარებით, მისი როგორც მარტივის განცდით.

წამოყენებული ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩაეატარეთ B ვარიანტის ცდა, სადაც ცდისპირის დამატებითი სტიმულაცია ეძლეოდა მხოლოდ საფეხსაცმო ექსპოზიციებში. ჩვენი ვარაუდით, B ვარიანტში უნდა შემცირებულიყო განწყობის სიმტკიცე, კონტრასტულ ილუზიათა საერთო რაოდენობა და საგანწყობო ილუზიის სიდიდე.

ცდის B ვარიანტში ცდისპირებს ეძლეოდათ A ვარიანტისაგან განსხვავებული ინსტრუქცია. კერძოდ, მათ ვეუბნებოდით: „მეტრონომი ჩართული იქნება არა მთელი, არამედ ნახევარი ცდის განმავლობაში. როგორც კი შეწყდება მეტრონომის ხმები, ნიშანზე „STOP“, თქვენ სწრაფად დაწერთ ფურცელზე დათვლილ დარტყმათა რაოდენობას. ამის შემდეგ ჩვენ განვაგრძობთ ბურთების შედარებას“. (ცდის ხელმძღვანელი სიტყვას „STOP“ წარმოთქვამდა ემოციურად ნეიტრალურად, მშვიდად, ჩუმი ხმით, ცდისპირზე ემოციური ზემოქმედების ასაცილებლად).

A და B ვარიანტის ცდების შედეგები:

ც ბ რ ი ლ ი № 3

	ყურადღების აქტიური დისტრიბუციის ჩვეულება A ვარიანტი	ყურადღების პასიური დისტრიბუციის ჩვეულება A ვარიანტი	ყურადღების აქტიური დისტრიბუციის ჩვეულება B ვარიანტი	ყურადღების პასიური დისტრიბუციის ჩვეულება B ვარიანტი	საკონტროლო ჩვეულება
განწყობის სიმტკიცე M	18,15	13,22	10,05	11,42	13,88
S	9,35	9,53	10,43	9,06	12,59
კონტრასტულ ილუზიათა საერთო რაოდენობა M	20,1	15,97	12,53	13,7	14,45
S	9,36	9,94	10,43	8,91	12,36
საგანწყობო ილუზიის სიდიდე M	2,4	2,47	1,84	2,11	3,17
S	1,05	1,15	1,03	0,73	1,3

როგორც № 3 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ, B ვარიანტში, A ვარიანტთან შედარებით, ადგილი აქვს განწყობის ეფექტის სტატისტიკურად სანდო შემცირებას, კერძოდ, მცირდება განწყობის სიმტკიცე და კონტრასტულ ილუზიათა საერთო რაოდენობა. ასევე, მცირდება საგანწყობო ილუზიის სიდიდეც. მნიშვნელობას იძენს ყურადღების დისტრიბუციის ტიპიც. სახელობრ, B ვარიანტში ყურადღების აქტიური დისტრიბუციისას, A ვარიანტთან შედარებით, განწყობის სიმტკიცე, კონტრასტულ ილუზიათა საერთო რაოდენობა და საგანწყობო ილუზიის სიდიდე უფრო მეტად მცირდება, ვიდრე ყურადღების პასიური დისტრიბუციის დროს. რაც შეეხება B ვარიანტში მიღებული მონაცემების საკონტროლო მონაცემებისადმი მიმართებას, აქ შემდეგი ფაქტი მივიღეთ: ცდისპირის მოთავსება ყურადღების დისტრიბუციის სიტუაციაში, მართალია, იწვევს განწყობის სიმტკიცისა და კონტრასტულ

ილუზიათა შემცირებას, (აქტიური უფრო მეტად ვიდრე პასიური), მაგრამ როგორც სტატისტიკურმა დამუშავებამ გვიჩვენა, ეს შემცირება სანდოდ ვერ ჩაითვლება ანუ ყურადღების დისტრიბუცია (როგორც აქტიური, ასევე პასიური) არ იწვევს ცვლილებებს განწყობის ჩაქრობაში. განსხვავებულია ყურადღების დისტრიბუციის ზემოქმედება საგანწყობო ილუზიის სიდიდეზე. კერძოდ, აღნიშნული ზემოქმედებისას საგანწყობო ილუზიის სიდიდე სტატისტიკურად სანდოდ მცირდება საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელთან შედარებით.

B ვარიანტის ცდაში მიღებული მონაცემები ჩვენი, ზემოთ წარმოდგენილი, ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებენ. კერძოდ, განწყობის ეფექტზე ცდისპირის ყურადღების დისტრიბუციის ზემოქმედების როგორცაა განისაზღვრება ისეთი ფაქტორითაც, როგორცაა საგანწყობო ცდის განმავლობაში ყურადღების დისტრიბუციის ხანგრძლივობა. მხოლოდ საფიქსაციო ექსპოზიციათა პერიოდის განმავლობაში ცდისპირის ყურადღების დისტრიბუციისას განწყობის ეფექტი ნაკლებია იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც ყურადღების დისტრიბუციას მთელი ცდის განმავლობაში აქვს ადგილი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებული ჩვენი მოსაზრება ზემოთაა წარმოდგენილი და აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

გვინდა შევეხოთ ჩვენი გამოკვლევის ძირითად შედეგსაც, რომელიც იძლევა ჩვენს ცდაში განწყობის ეფექტზე ემოციის სუვერენული, ყურადღების დისტრიბუციაზე დაუყვანელი, ზემოქმედების შესახებ მსჯელობის უფლებას. კერძოდ, ჩვენს ექსპერიმენტულ გამოკვლევაში ყურადღების დისტრიბუცია ემოციებისაგან განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს როგორც განწყობის ჩაქრობაზე, ასევე ილუზიის სიდიდეზე. თუკი ემოციური მდგომარეობა იწვევს განწყობის ჩაქრობის პროცესის ინტენსიფიკაციას, ყურადღების დისტრიბუცია მასზე არ ზემოქმედებს, ხოლო თუკი ემოცია არ იწვევს განწყობის ილუზიის სიდიდის შეცვლას, ყურადღების დისტრიბუცია კი, პირუკუ, მას ამცირებს.

ზემოთ წარმოდგენილ ექსპერიმენტთა შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმ რიგი ფაქტორების გამოყოფა, რომელთა ზემოქმედებითაც, ჩვენი აზრით, აიხსნება მოცემულ ცდებში მიღებულ შედეგებს შორის არსებული სხვაობები.

ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ცდის ინსტრუქციისადმი ობიექტთა საფიქსაციო მახასიათებლების მიმართების როგორობის (რელევანტობა, ირელევანტობა) ფაქტორი. კერძოდ, ობიექტთა შორის რაოდენობრივი მიმართების შეფასება (დასაფიქსირებელი მიმართება) შეიძლება შედიოდეს ცდის ინსტრუქციაში რაღაც სხვა, დამატებით ამოცანასა თუ დამატებით სტიმულირებასთან ერთად. ასეთ ვითარებაში ცდისპირი ყურადღების დისტრიბუციის (განაწილების) პირობებში მოქმედებს. მეორე შემთხვევაში, ცდისპირს ინსტრუქციით შეიძლება ვვალეზოდეს საფიქსაციო ექსპოზიციაში საფიქსაციო ობიექტთა შედარებისაგან სრულიად განსხვავებული მოქმედების შესრულება, ხოლო კრიტიკულ ექსპოზიციაში — კრიტიკულ ობიექტთა შედარება. ასეთ ვითარებაში ყურადღების დისტრიბუციას ადგილი არა აქვს, არამედ კლასიკური საგანწყობო ცდისაგან განსხვავებით, საფიქსაციო ექსპოზიციათა დროს ცდისპირის ყურადღება გადაზრიალია საფიქსაციო ობიექტებისაგან და მიმართულია საგანწყობო ცდის მიმართ გარეშე სტიმულაციისადმი. თუკი პირველ შემთხვევაში ცდისპირის ყურადღება საფიქსაციო ობიექტებსაც მოიცავს, მეო-

რეში — საფიქსაციო ობიექტები ცდისპირის ყურადღების ველის გარეთ რჩება. როგორც ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებენ, ორ აღნიშნულ შემთხვევაში განწყობის ეფექტის განსხვავებული ინტენსივობით შეცვლას აქვს ადგილი. კერძოდ, ბ. ხაჭაპურის ცდების მიხედვით, როდესაც ცდისპირს საფიქსაციო ექსპოზიციითა განმავლობაში ევალება არა საფიქსაციო ობიექტთა სიდიდეების შედარება, არამედ ჩამოთვლა დამატებითი გამლიზიანებლებისა (ცდა ტარდება ოპტიკურ მოდლობაში), განწყობის ეფექტი ნულამდე დადის, ხოლო როდესაც ცდისპირს საფიქსაციო ცდაში ევალება როგორც საფიქსაციო ობიექტთა სიდიდეების შედარება, ასევე დამატებით გამლიზიანებელთა ჩამოთვლაც, განწყობის ეფექტი პირველ შემთხვევასთან შედარებით მატულობს, თუმცა ნაკლებია საკონტროლო მაჩვენებელზე. ესე იგი, ცდისპირის ყურადღების დისტრიბუციის პირობებში მიღებული ფიქსირებული განწყობის ეფექტი აღემატება საფიქსაციო ობიექტთაგან ყურადღების გადახრის პირობებში მიღებულ ეფექტს.

მეორე ფაქტორად გამოიყოფა ყურადღების დისტრიბუციის როგორება მისი აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით. კერძოდ, ცდისპირს შეიძლება ინსტრუქციით ევალებოდეს ორი დამოუკიდებელი ამოცანის შესრულება. ასეთ შემთხვევაში ცდისპირის ყურადღების დისტრიბუცია ნებისმიერ, აქტიურ ხასიათს ატარებს. მეორე მხრივ, ცდისპირს ინსტრუქციით შეიძლება მხოლოდ ერთი ამოცანის შესრულება ევალებოდეს რაღაც დამატებითი, ფონური სტიმულაციის პირობებში. ასეთ დროს ადგილი აქვს ყურადღების უნებლიე, პასიურ დისტრიბუციას. როგორც შესაბამისი ექსპერიმენტები გვიჩვენებენ, აღნიშნული ორი სახის შემთხვევაში განწყობის ეფექტი განსხვავებული ინტენსივობით იცვლება. კერძოდ, ბ. ხაჭაპურის ცდების მიხედვით, ცდისპირის ყურადღების აქტიური დისტრიბუციისას ადგილი აქვს განწყობის ეფექტის უფრო ძლიერ შემცირებას, ვიდრე პასიური დისტრიბუციის დროს. ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის B ვარიანტში ყურადღების აქტიური დისტრიბუცია უფრო მეტად ამცირებს განწყობის ეფექტს (სიმტკიცეს, ილუზიის სიდიდეს), ვიდრე — პასიური. თუმცა, სტატისტიკური დამუშავება გვიჩვენებს, რომ სხვაობა ამ ორ მონაცემს შორის სანდო არ არის (გასათვალისწინებელია, რომ ხაჭაპურიძე არ იყენებს სტატისტიკურ მეთოდებს); ხოლო A ვარიანტში ყურადღების აქტიური დისტრიბუციის დროს განწყობის ეფექტი ყურადღების პასიური დისტრიბუციისას ეფექტის მაჩვენებელთან შედარებით სტატისტიკურად სანდოდ იზრდება (ეს შედეგი განხილული იქნება ქვემოთ).

შემდეგი ფაქტორის სახით შეიძლება გამოიყოს ცდისპირის ყურადღების დისტრიბუციისა თუ გადახრის როგორება იმასთან დაკავშირებით ყურადღება მოიცავს ერთ ობიექტს (არ სცილდება საფიქსაციო ობიექტებს), თუ ორ ობიექტს შორის ნაწილდება — გადაიხრება. კერძოდ, ინსტრუქციით შეიძლება ყურადღება მიმართული იყოს ერთი ობიექტის ორ განსხვავებულ ნიშანზე — საფიქსაციოსა და არასაფიქსაციო ნიშანზე, მეორე მხრივ, ყურადღება შეიძლება ნაწილდებოდეს სხვადასხვა ობიექტებს (საფიქსაციო და არასაფიქსაციო ობიექტებს) შორის ანდა გადახრილი იყოს საფიქსაციო ობიექტებისაგან განსხვავებულ გამლიზიანებელზე. როგორც ცდები გვიჩვენებენ, აღნიშნული ორი განსხვავებული ვითარებისას განწყობის ეფექტი განსხვავებულად იცვლება და აქ ადგილი აქვს ცვლილებაში არა ინტენსივობის მიხედვით განსხვავებას, არამედ

იგულისხმება თვისობრივი განსხვავება. კერძოდ, თუკი საფიქსაციო ცდის განმავლობაში ყურადღების გადართვა (უნდა ვიგულისხმოთ დისტრიბუცია) საფიქსაციო ობიექტების ფარგლებში ხდება (ვლ. გრიგოლავას ცდები) განწყობის ეფექტი მატულობს საკონტროლო მონაცემებთან შედარებით, ხოლო როდესაც ყურადღების დისტრიბუცია და გადახრა საფიქსაციო ობიექტების ფარგლებში არ ხდება (ბ. ხაჭაპურიძის ცდებში), განწყობის ეფექტი საკონტროლო მონაცემებთან შედარებით მცირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვლ. გრიგოლავას „მასალის გამოცნობის მეთოდით“ ჩატარებულ ექსპერიმენტებში ცდისპირს უხდება საფიქსაციო ობიექტთა მასალის გამოცნობისათვის საფიქსაციო ობიექტების მიმართ მეტი აქტივობის განხორციელება საკონტროლო ცდასთან შედარებით, ვინაიდან ობიექტთა მასალის გამოცნობა ცდისპირისათვის უფრო რთულია, ვიდრე საფიქსაციო ექსპოზიციებში ობიექტების სიდიდეთა შორის მიმართების დადგენა. ჩვენი აზრით, საფიქსაციო ობიექტების მიმართ ცდისპირის აღნიშნული, ვაზრდილი აქტივობა (ამ ზოგად ვაზრდილი აქტივობაში შედის კონკრეტული — კერძოდ, ტაქტილური აქტივობა), ბევრად განსაზღვრავს ვლ. გრიგოლავას ცდაში განწყობის ეფექტის მატებას.

შემდეგ ფაქტორს წარმოადგენს ცდისპირის ყურადღების დისტრიბუციის (უნდა ვიგულისხმოთ რომ გადაართულობისაც) ხანიერების როგორობა. კერძოდ, მთელი სავანწყობო ცდის განმავლობაში ცდისპირის ყურადღების დისტრიბუციისას განწყობის ეფექტი აღემატება ეფექტს იმ შემთხვევაში, როდესაც ყურადღება მხოლოდ საფიქსაციო ექსპოზიციათა განმავლობაშია განაწილებული. ამ ვითარებას ნათელყოფს ჩვენი, ზემოთ წარმოდგენილი ექსპერიმენტების A და B სერიებს შორის არსებული სხვაობები. ამ ფაქტორთან დაკავშირებული ჩვენი მოსაზრება განხილული იყო ზემოთ, ამიტომაც მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ვიგულისხმოთ სავანწყობო ცდისა და დამატებითი სტიმულაციის მოდალობათა როგორობა. ბ. ხაჭაპურიძის, ვლ. გრიგოლავასა და ჩვენს ექსპერიმენტებში, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია შემდეგი სხვაობები: კერძოდ, ბ. ხაჭაპურიძის ექსპერიმენტში ცდისპირებს საფიქსაციო ობიექტები და დამატებითი გამაღვიანებლები ერთ მოდალობაში ეძლევათ (ობტიკურ არეში); ვლ. გრიგოლავას ცდაში ყურადღების გადართვა ხდება არა თუ ერთი მოდალობის (ჰაბტური არე), არამედ თავად საფიქსაციო ობიექტთა ფარგლებში; ჩვენს ექსპერიმენტში ცდისპირს ყურადღება განაწილებული აქვს ორ მოდალობას (ჰაბტურსა და აკუსტიკურს) შორის.

ცხადია, ზემოთ გამოყოფილი, განწყობის ფიქსირებაზე ყურადღების დისტრიბუციის ზემოქმედებისას გასათვალისწინებელ ფაქტორთა გვერდით შესაძლებელია სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორთა გამოყოფაც და აღნიშნულ ფაქტორთა განხილვისას ჩვენ ამოვდიოდით არსებული ექსპერიმენტული მასალიდან. ახალ ფაქტორთა მოძიება შემდგომ ექსპერიმენტულ გამოკვლევას საჭიროებს.

როგორც განხილული ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებენ, განწყობის ეფექტზე ცდისპირის ყურადღების დისტრიბუციისა თუ გადახრის ზემოქმედების როგორობა (მისი შემცირება-ვაზრდა და ცვლილების ინტენსივობა) სტერეოტიპულობით არ ხასიათდება და დამოკიდებულია ზემოთ ჩამოთვლილ, ემპირიულად გამოვლენილ და შესაძლოა სხვა, ჯერ კიდევ მიუკვლე-

ველ, ფაქტორებზე. განწყობის ფიქსირებაზე ცდისპირის ყურადღების დისტრიბუცია-გადახრის შემოქმედების ექსპერიმენტული კვლევის შედეგთა ინტერპრეტაციისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ ექსპერიმენტულ მონაცემთა მრავალფეროვნება და ეფექტზე შემოქმედ, დამატებით ფაქტორთა მნიშვნელობა.

Р. Л. МИРЦХУЛАВА

## К ВОПРОСУ О ВОЗДЕЙСТВИИ ВНИМАНИЯ НА ПРОЦЕСС ФИКСИРОВАНИЯ УСТАНОВКИ

Резюме

Анализ соответствующих экспериментальных данных как наших, так и других авторов показывает, что воздействие дистрибуции и переноса внимания испытуемого на эффект фиксированной установки не имеет стереотипного характера и зависит от экспериментально выявленных факторов, таких как: тип отношения фиксационных признаков установочных объектов к экспериментальной инструкции (релевантность — иррелевантность); тип дистрибуции и переноса внимания (пассивность — активность); тип дистрибуции и переноса внимания по отношению к тому, имеет ли оно место между отдельными признаками фиксационных объектов или между разными объектами, продолжительность дистрибуции и переноса внимания, вид модальностей фиксационного опыта и дополнительных раздражителей.

При исследовании и интерпретации воздействия дистрибуции и переноса внимания испытуемого на эффект фиксированной установки следует исходить из многообразия экспериментальных данных и учитывать экспериментально выявленные нами рассмотренные, а также новые, требующие дальнейшей соответствующей работы факторы.

ლიტერატურა

1. გრიგოლავა ვლ. ფიქსირებული განწყობის ცდებში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორის მონაწილეობის საკითხისათვის. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1957.
2. გრიგოლავა ვლ. კონტრასტული ილუზია, არაცნობიერი და განწყობა, „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1976, № 4.
3. გრიგოლავა ვლ. განწყობის როლი მარტივ და რთულ მიმართებათა აღქმის პროცესში. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1982, № 2.
4. ხოჯავა ზ. ჩვევა და განწყობა ი. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე უმაღლეს ნერვული მოქმედების შესახებ, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, 1953, ტ. VIII.
5. Григолава В. К вопросу о восприятии иррелевантного раздражителя. «Вопросы психологии», 1969, № 5.
6. Григолава В. К вопросу восприятия иррелевантных признаков предмета. «Экспериментальные исследования по психологии установки». т. V, 1971.
7. Пиаже Ж., Ламберсье М. Опыт над эффектом «Einstellung», происхождением при последовательных зрительных восприятиях (эффект Узнадзе). Arch de Psychologic, XXX, № 118, 1945.
8. Хачапуридзе Б. Проблемы и закономерности действия фиксированной установки, Тб., 1962.
9. «Emotions and Anxiety: new concepts, [methods and applications]» Ed. M. Zuckerman Ch. D. Spielberger. Hillsdale, 1976.
10. Eysenck M. W. Anxiety, learning and memory. „Journal of Research in Personality“ Academic Press. New York, London. 1979, № 4.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა



ლიბრერი ნაღირაშვილი

სუბიექტის განწყობისაგან სხვადასხვა მანძილით დაშორებულ  
პოზიციების ურთიერთგაბავლენის ფსიქოლოგიური  
კანონზომიერებანი

ოცდაათიან წლებში, უზნაძის მიერ შემუშავებული იქნა განწყობის კვლევის სპეციალური მეთოდი ჰაბტურ და მხედველობით სფეროებში. ამ მეთოდის გამოყენებით დამტკიცდა, რომ სხვადასხვა სიდიდეების აღქმაზე შემუშავებული განწყობის საფუძველზე, ადამიანები ტოლ ობიექტებს ილუზორულად — კონტრასტულად ან ასიმულაციურად განიცდიან, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად განსხვავდებიან კრიტიკულ ცდაში აღქმული ობიექტები ადრე მიწოდებული სიგანწყობო ობიექტებისაგან. ჰოვლენდის, შერიფის და სხვა სოციალური ფსიქოლოგების შრომებში დადასტურებული იყო ანალოგიური კანონზომიერებები სოციალურ სფეროში. დადგინდა, რომ სუბიექტის სოციალური განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებული სოციალური ობიექტები და პოზიციები კონტრასტულად, კიდევ უფრო განსხვავებულად და მიუღებლად განიცდიან, ვიდრე ისინი თავისთავად არიან. ასევე გამოირკვა, რომ სუბიექტის განწყობასთან საკმაოდ ახლოს მდგომი სავნები, პოზიციები მის მიერ უფრო ახლობლად და მისაღებად განიცდიდებიან ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან. აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით ადამიანის აქტივობის მრავალ სფეროში ანალოგიური კანონზომიერებანი მოქმედებენ.

ფსიქოლოგიაში ტურსტონის მეთოდის შემოტანის შემდეგ სოციალური განწყობის კანონზომიერებათა შესწავლა კიდევ უფრო გაღრმავდა. შესაძლებელი გახდა ერთმანეთისაგან დიფერენცირებულად შეგვესწავლა ის კანონზომიერება, რომელიც მკლავდება სუბიექტის სოციალური განწყობის საფუძველზე, სხვადასხვა სოციალური პოზიციების შესწავლის დროს, კანონზომიერებათა იმ რიგისაგან, რომლებიც რეალიზდებიან სხვადასხვა სოციალური პოზიციების, სუბიექტის სოციალურ განწყობაზე ზემოქმედებისას. ამ დროს ადგილი აქვს სუბიექტის სოციალური განწყობის კანონზომიერ შეცვლას გარკვეული მიმართულებით. ერთმანეთისაგან ნათლად იქნა განსხვავებული ის ცვლილებები რაც შეფასებაში ხდება და ცვლილებები, რომლებსაც განწყობები განიცდიან.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენენ განწყობის გავლენით სხვადასხვა სოციალური პოზიციების შეფასების ურთიერთგავლენის კანონზომიერებები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საკმაოდ ნათლად იყო დადგენილი ადამიანის საკუთარი პოზიციიდან სხვადასხვა მანძილზე მყოფი პოზიციების შეფასების კანონზომიერებანი. ზოგადად ნაჩვენები იყო, რომ სუბიექტის სოციალური განწყობიდან მკვეთრად დაცილებული პოზიციები კონტრასტულად უფრო შორს განიცდიდებიან, ხოლო ახლოს მყოფი პოზიციები ასიმულაციურად კიდევ უფრო ახლობლად. თუმცა ზოგჯერ დადგენილი იყო შებრუნებული კანონზომიერებანი.

მიერებანიც. აღმოჩნდა რომ, როდესაც, ცდისპირებს ევალეზობდათ საკუთარ განწყობასთან ახლო მყოფი პოზიციის მიხედვით მოქმედება, ამ პოზიციის დაცვა, მისი განმამტკიცებელი არგუმენტების წამოყენება, ადგილი ჰქონდა აღნიშნული პოზიციის კონტრასტულ შეფასებას (რაც საკუთარ პოზიციასა და ამ პოზიციას შორის მანძილის გაზრდაში გამოიხატება). ასევე, როდესაც ცდისპირებს ევალეზობდათ მკვეთრად განსხვავებული პოზიციების დაცვა, მხარდამკერი არგუმენტების მოძებნა, ადგილი ჰქონდა აღნიშნული პოზიციის ასიმილაციურ შეფასებას, საკუთარ განწყობასა და აღნიშნულ პოზიციას შორის მანძილის შემცირებას (ბალიაშვილი მ., პოდლესნაია ლ.). ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს პოზიციების შეფასებაში განწყობისა და შესაფასებელ პოზიციებს შორის მანძილის გავლენის კანონზომიერებების დადგენა. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეკვლია სუბიექტის განწყობიდან სხვადასხვა მანძილით დაშორებული პოზიციების შეფასებათა ურთიერთზეგავლენის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი. ამის მიზანი იყო გამოგვეკვლია, თუ რა გავლენას ახდენს საკუთარი განწყობიდან ახლოს მდგარი პოზიციის შეფასება მასთან შედარებით უფრო შორეული პოზიციის შეფასებაზე და პირიქით, რა გავლენას ახდენს საკუთარი განწყობიდან შორს მდგარი პოზიციის შეფასება მასთან შედარებით ახლოს მდგომი პოზიციის შეფასებაზე. ამ საკითხის დასმის დროს ჩვენი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობდა, რომ განწყობის ზოგადი ბუნების გამო საჯარაუდოა, რომ საკუთარი განწყობიდან მცირედ განსხვავებული პოზიციის შეფასების შემდეგ, ამ პოზიციათა შორის არსებული მცირე დისტანციის ფონზე, შორეული პოზიცია კონტრასტულად, უფრო შორეულად და მიუღებლად უნდა განიცდებოდეს, ვიდრე ასეთი წინასწარი შეფასების გარეშე, მეორე მხრივ, საკუთარი განწყობიდან მკვეთრად განსხვავებული პოზიციის შეფასების შემდეგ, მათ შორის არსებული დიდი სხვაობის ფონზე, საკუთარი განწყობიდან მცირედ განსხვავებული პოზიცია ასიმილაციურ-ილუზორულად, ახლოვლად უნდა აღქმებოდეს, ვიდრე ასეთი წინასწარი შეფასების გარეშე.

იმისათვის. რომ ჩვენს მიერ დასმული ჰიპოთეზა შემემოწმებინა საჭირო იყო შემექმნა მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოვახერხებდი საჭირო გაზომვებს. ასეთ მეთოდად გამოვიყენე ტურსტონის განწყობის ვალენტობის გასაზომი თერომეტრსაფხურისანი სკალა —5-დან +5-მდე. ამის გარდა საჭირო იყო ამოგვეჩია რაიმე საგანი, ან მოვლენა რომლისადმი დამოკიდებულებას გავზომავდი ამ სკალის მეშვეობით. ასეთად შეირჩა დამოკიდებულებები ეკლესიისადმი. ამის შემდეგ საჭირო იყო მოგვეძებნა სოციალური განწყობის სკალის თითოეული საფხურისათვის (—5-დან +5-მდე) შესაბამისი დებულება. ეს ერთობ შრომატევადი შავი სამუშაო იყო. ამისათვის ინგლისურიდან გადმოვაქართულეთ და შევავსეთ ტურსტონის მიერვე მოყვანილი 130 მსჯელობა, რომლებშიც ეკლესიისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება იყო გამოხატული. აქ თავი ჰქონდა მოყრილი ეკლესიისადმი ყველანაირი დამოკიდებულების გამოხატველ მსჯელობებს, ნეიტრალურის ჩათვლით უკიდურესად დადებითთ გათავებული. ეს მსჯელობები ცალ-ცალკე დაწერილი 130 ფურცლიან ბარათების დასტას შეადგენდა. მათ ვაძლავდით ცდისპირებს რომლებსაც უნდა მოეხდინათ ამ მსჯელობის რაინერება ტურსტონის ზემოთ მოხსენიებულ სკალაზე. ცდისპირებს მოეთხოვებოდათ: +5-ზე უნდა დაედო ის მსჯელობები რომლებიც მათი აზრით მაქსიმალურად დადებითად აფასებდნენ ეკლესიას. 0-ზე ის მსჯელობები რომლებიც, მათი აზრით, არც კარგად, არც ცუდად, ნეი-

ტრალურად აფასებდნენ ეკლესიას, —5-ზე უკიდურესად ნეგატიური შეხედულებები ეკლესიაზე და ასე ყოველ სხვა საფეხურზე. მათი შეფასების მიხედვით —4, —3 და ა. შ. ეს იყო ექსპერიმენტის 1 ეტაპი. მასში მონაწილეობა მიიღო 70-მა კაცმა. შემთხვევითი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით ცდისპირებს მოეთხოვებოდათ მათ მიერ კლასიფიცირებული ბარათები საბოლოოდ კიდევ ერთხელ გადაეკითხათ, რომ გამორიცხულიყო შემთხვევითობით ან უყურადღებობით გამოწვეული შეცდომები. ამ პროცედურის მოთავეების შემდეგ დაგროვდა მასალა, რომელიც მოითხოვდა სათანადო დამუშავებას, იმისათვის, რომ ყოველი მსჯელობისათვის მიგვეღო 70 კაცის ერთობლივი შეფასება, რაც იმას ნიშნავს რომ გავგვეგო 70 კაცმა საშუალოდ სკალის რა ადგილზე დასვა ეს მსჯელობები, ანუ გავგვეგო სკალის საშუალო მაჩვენებელი და აგრეთვე ამ სკალური პოზიციის სანდოობა — Q მაჩვენებელი, რომელიც დამოკიდებული იყო 70 კაცის მიერ შეფასებული მსჯელობის გაფანტვაზე. უნდა აღინიშნოს რომ ცდის მსვლელობაში 130 მსჯელობიდან გარკვეული რაოდენობა დაიცხრილა, აზრის გაუგებრობის ან ბუნდოვანების გამო. დარჩენილი მსჯელობების რიგითი ნომრები და შესაბამისი სკალური ღირებულება S და სანდოობის მაჩვენებელი Q მოყვანილია ცხრილში. გავიგეთ რა ყოველი მსჯელობის S და Q ხელთ გვქონდა მრავალი მსჯელობა, რომელიც თავისი სკალური მაჩვენებლით შეესაბამებოდა ტურსტონის სკალის საფეხურებს —5-დან +5-მდე. მაგრამ რადგან ჩვენ გვესურდა განწყობის გასაზომად გვექონოდა მრავალი მსჯელობა რომელიც თავისი სკალური მაჩვენებლით შეესაბამებოდა ტურსტონის სკალის საფეხურებს —5-დან +5-მდე. მაგრამ რადგან გვესურდა განწყობის გასაზომად გვექონოდა ძალიან მგრძნობიარე სკალა ტურსტონის სკალაში ავიღეთ ნახევრის სიზუსტის მაჩვენებლებიც —1,5; —0,5; +0,5... და ა. შ. ამრიგად ხელთ გვქონდა 11 საფეხურიანი სკალა —5-დან +5-მდე, რომლითაც ცდისპირებს შეეძლოთ დამატებით მიეთითებინათ 0,5-მდის სიზუსტე. გამოვიღეთ, რომ ცდისპირებს ფაქტიურად საშუალება ეძლეოდათ აღნიშნული დებულებები განელაგებინათ 21 საფეხურზე. ეს მსჯელობები შესაბამისი სკალური მაჩვენებლებით ქვემოთაა მოყვანილი. საჭირო იყო ჩვენი მსჯელობიდან ამოგვეჩია საუკეთესო სანდოობის მქონენი, რომლებიც შეესაბამებოდნენ ზემოთ მოხსენებული სკალის თითოეულ საფეხურს, ამორჩევის შედეგად ხელთ გვქონდა 21 მსჯელობა ეკლესიის უკიდურესად უარყოფითი შეფასებიდან უკიდურესად დადებითად შეფასებამდე: ამით ცდის პირველი ეტაპი დამთავრდა. განწყობის გასაზომად ჩვენ უკვე გვქონდა საკმაოდ ზუსტი და მგრძნობიარე ხელსაწყო. ტურსტონის 21 საფეხურიანი სკალა (—5; +5) შეესაბამისი მსჯელობებით.

1.—5. მე ვფიქრობ, რომ ეკლესია საზოგადოების პარაზიტია.

2.—4,5. მე ვფიქრობ, რომ ქვეყანა უფრო კარგ მდგომარეობაში იქნებოდა, ეკლესიები რომ დაეხურათ, მღვდლები რომ რაიმე სასარგებლო სამუშაოზე გაეშვათ.

3.—4. მე ვფიქრობ, რომ ეკლესია მხოლოდ ფულს ეძებს და უკვე მომბერდა იქ სიარული.

4.—3,5. არავითარი სურვილი არა მაქვს შევეუერთდე, ან რაიმე საერთო მქონდეს იმ ეკლესიასთან, რომელსაც მე ვიცნობ.

5.—3. მე ვფიქრობ, რომ ეკლესიებზე ზედმეტად მეტი ფული იხარჯება, ვიდრე ის სარგებლობას იძლევა.

- 6.—2,5. მე მწამს, რომ ეკლესია თავის საფუძველს კარგავს განათლებასთან ერთად.
- 7.—2. მე ეკლესიაში სიარულით არ ვიღებ რაიმე სიამოვნებას.
- 8.—1,5. მე არ მჯერა ეკლესიისა და რელიგიისა, თუმცა სერიოზულად არასდროს არ მიფიქრია ამ საკითხზე.
- 9.—1. მე არ ვარ დაინტერესებული ეკლესიით, რადგან ჩემი მშობლები არ არიან რელიგიურნი.
- 10.—0,5. მე არ ვფიქრობ რელიგიისა და ეკლესიის ურთიერთობაზე, მაგრამ არ მსურს ჩემი დამოკიდებულება საჯაროდ გამოაცხადო.
11. 0. მე მომწონს საეკლესიო ცერემონიები, მაგრამ ძალიან არ ვწუხვარ როცა მათ ვაცდენ.
- 12.+0,5. ეკლესია ახლა მე არ მაინტერესებს, მაგრამ ველი რომ დამაინტერესებს, როცა მას დაეუკავშირდები.
- 13.+1. მე დავდივარ ეკლესიაში, რადგან ქადაგება ყოველთვის საინტერესოა.
- 14.+1,5. მე ხანდახან მომწონს ეკლესია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ადამიანი უნდა იყოს მისი მგზნებარე თავიანთსმცემელი და ყოველდღე დადიოდეს იქ.
- 15.+2. მე ვფიქრობ, რომ ეკლესია კარგია.
- 16.+2,5. მე მომწონს ეკლესია, რადგან ის რელიგიურია და ამავე დროს ახალგაზრდობას აძლევს საშუალებას ისიამოვნოს.
- 17.+3. ადამიანის საბასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, დავნიშნავდი იმას, ვინც ეკლესიაში რეგულარულად დადის.
- 18.+3,5. მე საეკლესიო საქმის კეთებით უფრო მეტ სიამოვნებას ვიღებ, ვიდრე ნებისმიერი სხვა საქმისაგან.
- 19.+4. მე მწამს, რომ ეკლესია უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ნებისმიერი სამეცნიერო ორგანიზაცია.
- 20.+4,5. მე ვთვლი, რომ ეკლესია გვთავაზობს ცხოვრების საუკეთესო გზას.
- 21.+5. მე მჯერა, რომ ეკლესია ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა საქართველოში.
- II-ე ეტაპზე ექსპერიმენტი თავის მხრივ ორ ნაწილად გაიყო, მათში 60-ზე ოდნავ მეტი ცდისპირი მონაწილეობდა. უპირველეს ყოვლისა უნდა გავვეგოთ თუ რა პოზიცია აკავა თვითეულ ცდისპირს ეკლესიის მიმართ. ამისათვის მათ ეაწვდიდით ფურცელს რომელზედაც უნომროდ ჩამოწერილი იყო ჩვენს მიერ ამორჩეული 21 მსჯელობა, რომლებიც სკალის საფეხურებს გამოხატავდნენ, ცხ ვაცნობდით ყველა მსჯელობას და ვთხოვდით მიეთითებინა იმაზე, რომელიც გამოხატავდა მის დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ. შესაბამისი მსჯელობის ამორჩევის შემდეგ ვთხოვდით დაესაბუთებინა თავისი პოზიცია, ე. ი. სიტყვიერად აეხსნა თუ რატომ ჰქონდა ეკლესიის მიმართ ასეთი დამოკიდებულება. ამის მიზანი იყო რომ ცხ-ს გაცნობიერებინა თავისი პოზიცია. ეკლესიის მიმართ ცხ-ის განწყობის დადგენის შემდეგ, მათ შესაფასებლად ვაძლევდით საკუთარი პოზიციისაგან +2 საფეხურით განსხვავებულ მსჯელობას, შემდეგ კი თავის განწყობიდან—4 საფეხურით განსხვავებულ მსჯელობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ცხ აირჩევდა მსჯელობას რომლის სკალური მაჩვენებელია +1, პირველად მიეცემდით +3 პოზიციის შესაბამის მსჯელობას და 6. „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1986, № 2

ვთხოვდით მიეთითებინა თუ სად იქნებოდა მისი ადგილი სკალაზე —5-სა და +5-ს შორის, შემდეგ კი —3 პოზიციის შესაბამის მსჯელობას და მის მოთავსებასაც ვთხოვდით სკალაზე. მეორე ვარიანტში ცდა შებრუნებულად ტარდებოდა. ცპ-ს პირველად უკვე 4 საფეხურით განსხვავებულ პოზიციას ვაძლევდით, ხოლო შემდეგ 2 საფეხურით განსხვავებულს. თვით ასეთი საფეხურებრივი განსხვავების მოწოდება შესაფასებლად (2 და 4) გამოწვეული იყო იმით, რომ 2 საფეხურით განსხვავებული პოზიცია ახლოებელ პოზიციად ითვლებოდა, ხოლო 4-ით განსხვავებული შორეულად. ამგვარად, ხელთ გვქონდა 62 კაცის მონაწილეობით ორჯერად ჩატარებული ცდის მონაცემები. რომელთა დამუშავებამ შემდეგი სურათი მოგვცა:

პირველ რიგში ცპ-ის შეფასებათა მონაცემების სკალური მაჩვენებლები შეედარეთ მიწოდებულ მსჯელობათა სკალურ მონაცემებს. თუ ცპ 2 (ან 4) ერთეულით თავის პოზიციისაგან განსხვავებულ პოზიციას ასევე 2 (ან 4) ერთეულით განსხვავებულად აფასებდა სწორად გვისახელებდა მიწოდებული მსჯელობის სკალურ მაჩვენებელს, მაშინ ასეთ შეფასებას 0 რიცხვით აღვნიშნავდით რაც ადეკვატურად აღქმას ნიშნავდა. თუ ცპ მიწოდებულ მსჯელობას ადეკვატურად ვერ შეაფასებდა მაშინ თავის პოზიციისაგან შიახლოვებულ მცდარ შეფასებას +ნიშნით აღვნიშნავდით და რამდენი ერთეულითაც დაუახლოებდა თავის პოზიციას იმ რიცხვს ვუწერდით +ნიშანს. მაგ., +0,5, +1, +1,5 და ა. შ. თუ მიწოდებულ მსჯელობას არასწორად შეაფასებდა და


№	1+2	II-4	I-4	II-2	+ ახლოს - შორს
1	0	+1	-1	+2,5	
2	-1	0	0	0	
3	0	0	+1	+2	
4	+2	+1,5	+3	+1	
5	+1	-0,5	-1	-1	
6	-2,5	-0,5	-1	0	
7	-1	+0,5	+1	+1	
8	+0,5	-1	+4	0	
9	-1	+1	-1	-0,5	
10	-1,5	0	+1,5	-0,5	
11	-1	0	+1	+2	
12	-0,5	-0,5	+0,5	+0,5	
13	-0,5	+0,5	0	+1	
14	-0,5	+1,5	-0,5	-1	
15	-1	+1,5	+2	-0,5	
16	0	-1	+0,5	+2,5	
17	-1	0	-1	0	
18	-0	0	+2	0	
19	-0,5	-1,5	+1	+1	
20	-0,5	-0,5	+2	+2	
21	-1	+1	+3	0	
22	-1	0	0	-1	
23	+0,5	-0,5	0	+2	
24	0	+1	+1	+2	
25	+1	-1	0	+1	
26	-0,5	-2,5	-1	+1	
27	-1	-2	+1,5	+1	
28	+1,5	-1	+1,5	+1	
29	+0,5	+0,5	-1	+1,5	
30	0	-2	-0,5	+1,5	
	-	-	+0,5	-1,5	
	-	-	-0,5	+2,5	

მსჯელობის რეალური სკალური მაჩვენებლიდან თავის საკუთარ პოზიციას კიდევ უფრო დაშორდებოდა მაშინ დაშორებულ სკალურ მაჩვენებელს „—“ ნიშანს ვუწერდით (იხ. ცხრილი).

აბრიადა, ცხრილში, რომელშიაც გეჰონდა თითოეული ცპ-ის გადაფასება-შეუფასებლობის სკალური მაჩვენებლები, სვეტ I—2-ში შეტანილი იყო ის განსხვავება რომლებიც წარმოიშვა საკუთარი პოზიციისაგან 2 ერთეულით განსხვავებული მსჯელობის I რიგში მიწოდებისას. II—4-ში 4-ით განსხვავებული პოზიციის 2-ით განსხვავებული პოზიციის შემდეგ მიწოდების წარმოქმნილი განსხვავებები. ასევე შემდეგი ორი სვეტიდან I-ში ვნიშნავდით პირველად მიწოდებულ მსჯელობას, II-ში კი I-ს შემდეგ მოწოდებული მსჯელობის შეფასებას. რიცხვები +2 და —4 კი სკალური პოზიციისაგან სკალის +5 ან —5 მაჩვენებლის მიმართულებით. განსხვავებული მსჯელობის დისტანციას გვიჩვენებს. საჭირო გახდა თითოეული სვეტისათვის ცალ-ცალკე + ან — მიმართებით, ე. ი. საკუთარი პოზიციისაგან ან საკუთარი პოზიციიდან შეფასებათა გადახრის საშუალო ართიმეტიკულის გამოთვლა.

$$\begin{aligned} \text{მივიღეთ: საშუალო ართიმეტიკული } I \times (+2 I) &= -0,30 \\ II \times (-4 I) &= +0,64 \\ III \times (+2 II) &= +0,66 \\ IV \times (-4 II) &= -0,05 \end{aligned}$$

ეს მონაცემები თვალსაჩინოდ, გარკვეულად ასე გამოჩნდება:



I—IV სკალის მონაცემთათვის გამოკვლეულ იქნა მონაცემთა გაფანტვის საშუალო ართიმეტიკული

$$\begin{aligned} \text{I სვეტი } s \times &= \pm 0,35 & -0,65 \leq \bar{x}_1 \leq +0,05 \\ \text{II სვეტი } s \times &= \pm 0,40 & -0,45 \leq \bar{x}_2 \leq +0,35 \\ \text{III სვეტი } s \times &= \pm 0,47 & -0,17 \leq \bar{x}_3 \leq +1,11 \\ \text{IV სვეტი } s \times &= \pm 0,43 & -0,23 \leq \bar{x}_4 \leq +1,09 \end{aligned}$$

როგორც ვხედავთ, გაფანტვის მაქსიმალური საზღვრები საკმაოდ მცირეა.

I. ცხრილიდან და გრაფიკებიდან ჩანს, რომ საკუთარი განწყობიდან +2 საფეხურით განსხვავებული მსჯელობების შეფასების დროს ცპ საშუალოდ 0,30 საფეხურით შორეულად, კონტრასტულად აფასებენ მოწოდებულ დებულებებს.


II. საკუთარი განწყობიდან — 4 საფეხურით განსხვავებულ მსჯელობებს ცპ 0,64 საფეხურით უფრო ახლო, ასიმილაციურად აფასებენ.

III. მას შემდეგ რაც ცპ შეაფასეს თავისი განწყობისაგან — 4 საფეხურით განსხვავებული მსჯელობები, — 2 განსხვავებულ მსჯელობებს 0,66 საფეხურით ახლო, ასიმილაციურად აფასებენ.


IV. მას შემდეგ რაც ცპ შეაფასეს +2 საფეხურით განსხვავებული მსჯელობები 4-ით განსხვავებულ მსჯელობებს — 0,05 საფეხურით დაშორებულად, კონტრასტულად აფასებენ.

მაგრამ იმისათვის, რომ პასუხი გავვეცა ჩვენს კითხვებზე, აღნიშნული მონაცემების იზოლირებული მოტანა საკმარისი არ იყო. ამისათვის საჭირო გახდა შეგვედარებინა ერთმანეთისათვის, ერთ მხრივ, II და IV და, მეორე მხრივ, I და III მწყობრის სკალური მაჩვენებლები.

მათი შედარების საფუძველზე, ირკვევა, რომ საკუთარი განწყობისაგან 2 საფეხურით განსხვავებულ მსჯელობათა შეფასების შემდეგ, 4 საფეხურით განსხვავებული მსჯელობის შეფასება მნიშვნელოვნად უფრო კონტრასტულია, ვიდრე აღნიშნული 4 საფეხურით განსხვავებული მსჯელობების შეფასება. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად შესრულდა, წინასწარ 2 საფეხურით განსხვავებული მსჯელობის შეფასების გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი განწყობისაგან მცირედ განსხვავებულ დებულებათა შეფასების შემდეგ დიდად განსხვავებული პოზიციების კონტრასტულად გააფასება მნიშვნელოვნად იზრდება. ეს ვითარება გრაფიკულად გამოხატულია შკალაზე.



როგორც აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს საკუთარი განწყობიდან მცირედ განსხვავებული მსჯელობების შეფასების შემდეგ დიდად განსხვავებული პოზიციის შეფასება მკვეთრად განსხვავებულად, კონტრასტულად ხდება: კონტრასტის სიდიდე შეადგენს 0,69 საფეხურს  $t=2,26$ ;  $P < 0,05$ . საკუთარი პოზიციიდან — 4 საფეხურით განსხვავებული პოზიციის შეფასების შემდეგ ცპ-ები — 2 საფეხურით განსხვავებულ პოზიციას უფრო ახლობლად, ასიმილაციურად აფასებენ. ეს ვითარება გამოხატულია გრაფიკულად შკალაზე:



როგორც აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს მკვეთრად განსხვავებული მსჯელობების შეფასების შემდეგ მცირედ განსხვავებული პოზიციის მსჯელობათა შეფასება საკუთარ განწყობასთან მნიშვნელოვნად მიახლოებულად, ასიმილაციურად ხდება.

შედგების განხილვა: მიღებული მონაცემებიდან ზოგიერთი მოსალოდნელი იყო, ზოგი მოლოდინის საწინააღმდეგო. დავუკვირდეთ ცდის იმ ნაწილს, როდესაც პირველად ორი საფეხურით განსხვავებული პოზიციის მოწოდება ხდებოდა და 11 ცდის პირველ ნახევარს, როდესაც ოთხი საფეხურით განსხვავებულ პოზიციას ვაწვდიდით. ჩვენი მოლოდინი ამ სიტუაციაში ასეთი იყო, რომ ცპ შეფასებაში უნდა მომხდარიყო 2 საფეხურიანი განსხვავების შემცირება ანუ ასიმილაცია და 4 საფეხურით დაცილებული შორეული პოზიციის კონტრასტულად შეფასება. შედეგები ცდის ამ მონაცემთა ძეგამების 1 ეტაპზე ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგო აღმოჩნდა, ანუ მოხდა 2 საფეხურიანი განსხვავების არა ასიმილაცია, არამედ კონტრასტი 0,30 საფეხურით. ამავე დროს მოხდა 4 საფეხურით განსხვავებული პოზიციის არა კონტრასტულად, არამედ 6,64 საფეხურით ასიმილაციური შეფასება. აქ აღსანიშნავია ის ფაქტებიც, რომ ორივე შემთხვევაში 0,30-იანი კონტრასტიც და 0,64-იანი ასიმილაციაც მიმართული იყო-5 პოზიციისაკენ. რატომ შეიძლებოდა მომხდარიყო ორ საფეხურიანი განსხვავებული პოზიციის კონტრასტის განცდა?

პირველი, რაც კი ყველაზე მართებულად ჩანს არის ის, რომ თავიდანვე ნაგულისხმევი იყო რომ 2 საფეხურიანი განსხვავება ახლობელია 4 საფეხურიანთან შედარებით, მაგრამ როგორც ჩანს ცალკე აღებული ორი საფეხურით განსხვავებული მსჯელობა ახლობელ პოზიციად არ უნდა ჩაითვალოს, თუ კი გავიხსენებთ, რომ ეს ორი მთელი საფეხური კიდევ ორ ნახევარ საფეხურს შეიცავს იგი იქნება არა 2 საფეხურიანი, არამედ 4 საფეხურიანი 21 საფეხურიან სკალაში. აქ უკვე ლაპარაკი უშუალო სიახლოვეზე საკუთარ პოზიციასთან არაობიექტური ჩანს, პირიქით ცალკე აღებული ასეთი პოზიცია, შორებულად უნდა ჩაითვალოს და ამის გამო გასაგებიც უნდა იყოს არსებული კონტრასტის ეფექტი, მაგრამ მაინც ეს საკითხი საბოლოოდ ასე არ შეიძლება იყოს ჩათვლილი, რადგან არ იქნა დადგენილი ზუსტი რეალური დისტანცია საკუთარი პოზიციიდან, სიშორე-სიახლოვისა.

უფრო ბუნდოვანი სიტუაცია შეიქმნა ცდისპირის განწყობიდან 4 საფეხურით განსხვავებული დებულების აღქმის დროს, აქ მოსალოდნელი იყო ცპ შეფასებაში კონტრასტის ეფექტი. ანალოგიურ ცდაში კონტრასტული ეფექტი მიიღეს შერიგმა და პოლენდმა. აქ შემთხვევითობის ალბათობა არცთუ ისე მაღალია, მაგრამ პირველი შედეგისაგან განსხვავებით, სადაც ეჭვი შევიტანეთ მის რეალურ სიახლოვეში საკუთარ პოზიციასთან, აქ აშკარა სიშორეა. აქ ის შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი შეფასებანი შეიძლება ეკლესიის

ფენომენის სპეციფიკის გამო ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ამ აზრს გარკვეული წონა გააჩნია, ცდის ეს ნაწილი ივენი ჰიპოთეზის გარკვევის ინტერესის გარეთ რჩება. ჩვენ გვინტერესებდა პოზიციათა ურთიერთზემოქმედების ეფექტი და ჩვენი ადრე გამოთქმული ჰიპოთეზის მართებულობის გარკვევა. ცდის ამ ნაწილში ცდისპირს საკუთარი პოზიციიდან ორი საფეხურით განსხვავებულ პოზიციას ვაძლევდით მას შემდეგ როცა უკვე შეფასებული ჰქონდა საწინააღმდეგო მხარეს 4 საფეხურით განსხვავებული პოზიცია. მეორე ვარიანტი პირიქით, 4 საფეხურით განსხვავებულ მსჯელობას ვაძლევდით შესაფასებლად, როცა საწინააღმდეგო მხარეს ცხ უკვე შეაფასებდა 2 საფეხურით განსხვავებულ მსჯელობას. ამ შემთხვევებში შედეგები ასეთი იყო: 4 საფეხურით განსხვავებული მსჯელობის ზემოქმედება 2 საფეხურით განსხვავებულ პოზიციასზე იძლეოდა 2 საფეხურით განსხვავებული მსჯელობის შეფასების საკუთარ პოზიციასთან დაახლოებას 0,66 საფეხურით, ე. ი. ასიმილაციას 0,66 საფეხურით. ხოლო საკუთარიდან 2 საფეხურით განსხვავებული პოზიციის ზემოქმედება საკუთარიდან 4 საფეხურით განსხვავებულ პოზიციასზე შეფასებაში იძლევა საკუთარი პოზიციიდან დაშორებას — 0,05 საფეხურით ანუ კონტრასტს 0,05 საფეხურით. თუ ამ მონაცემებს შევადარებთ სუფთა სახით მიცემულ პოზიციათა შეფასებებს სხვაობა მნიშვნელოვანი გამოვა. საკუთარიდან 2 საფეხურით განსხვავებული პოზიციის შეფასებაში ეს განსხვავება 0,96 საფეხურია, ხოლო საკუთარიდან 4 საფეხურიან განსხვავებათა შორის სხვაობა 0,69 საფეხური. როგორც ვნახეთ, ამ მონაცემთა სანდოობა, ის რომ ეს არაა შემთხვევითი, საკმაოდ მაღალია. რით შეიძლება აიხსნას ამ სხვაობის არსებობა, ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციათა ურთიერთზემოქმედების ეფექტი? ცხადია რომ ამგვარად მიწოდებული პოზიციები ერთმანეთის სათანადო ეფექტისათვის სტიმულიზატორს წარმოადგენს. მის მიხედვით აღამიანმა თავისი პოზიციით გარკვეული დამოკიდებულება უნდა დაამყაროს მოწოდებულ პოზიციასთან. ჩვენ შემთხვევაში, როგორც გამოიჩვენა, ერთი, პოზიცია ამ აღამიანთან ორჯერ უფრო ახლოს დგას შინაარსით, ვიდრე მეორე პოზიცია. ამიტომ მოქმედებს რა ამ აღამიანის პოზიციის ძალები იგი იახლოვებს ახლოს მდგომ პოზიციას, ხოლო ამჟამად თვალში საცემი განსხვავება, შორეული პოზიციისა, უფრო გააძლიერა მის მიერ მოახლოებულმა პოზიციამ, რომელიც თავის მხრივ საკუთარი პოზიციისაგან სკალის მეორე მხარეს მდებარეობს და რადგან ცხ რაღაცით დაეთანხმა ამ მსჯელობას ორმაგად უფრო დაუპირისპირდა შორს მდგომ პოზიციას და არაობიექტურად შორეულად შეაფასა იგი. საინტერესოა, რომ ზუსტად იგივე პროცესი ამოქმედდება პოზიციათა საპირისპირო თანმიმდევრობით მიწოდებისას.

სოციალური განწყობის სკალური გაზომვის ეს ცდა ერთგვარად ანალოგიურია განწყობის კვლევის უზნაძის მეთოდის. უზნაძისთან კლასიკურ ექსპერიმენტში დიდი ბურთის როლი იმაში მდგომარეობდა, რომ მასთან ურთიერთობის შემდეგ აღამიანი უფრო მცირე ბურთს კონტრასტულად უფრო მცირედ აფასებდა. ასევე აქაც თავისი პოზიციიდან შორს მდებარე პოზიციის გაცნობით (ეს ფაქტორი უზნაძის ცდაში დიდი ბურთის სიდიდის ექვივალენტია) აღამიანი ილუზორულად აფასებს ახლოს მდგომ პოზიციას და პირიქით. ასე რომ შედეგიც ამ ორივე ცდაში ანალოგიურია, რაც მსგავს კანონზომიერებებზე მეტყველებს.

განწყობის თეორიაში განწყობის ზეგავლენით განსხვავებული ობიექტების

ასიმილაციური და კონტრასტული განცდების მიზანშეწონილება განწყობის ნოქმედების ბუნებით, თავისებურებებით არის ახსნილი.

მითითებულია, რომ განწყობის საფუძველზე ობიექტების ასიმილაციური განცდის გამო ადამიანს საშუალება ეძლევა თავისი წარსული გამოცდილება ადვილად გადაიტანოს ასიმილირებულ ობიექტებზე და მოახდინოს მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება. განწყობისეული ასიმილაციური ილუზიები ადამიანს ეხმარება გააფართოოს თავისი მიზანშეწონილი აქტივობის საზღვრები, უკეთესად შეეგუოს გარემოს.

განწყობისეული ილუზიები კი ადამიანს სხვა გზით ეხმარება სინამდვილესთან შეგუების პროცესში. საგნებისა და სოციალური პოზიციების კონტრასტული შეფასების პროცესში ადამიანისათვის აშკარა ხდება მისი განწყობის შეუსატყვისობა მოცემული სიტუაციისათვის, შესაფასებელი პოზიციებისათვის, რის შედეგადაც ადამიანს უადვილდება თავისი საკუთარი განწყობის შეცვლა და ნიახლოვება ზემოქმედ პოზიციასთან. ამ დროს ადვილი აქვს იმ პირობების ორგანიზაციას, რომლებიც იწვევენ სუბიექტის შეუსატყვისი განწყობის შეცვლას.

ჩვენი აზრით, სოციალური განწყობების საფუძველზე განსხვავებული პოზიციების შეფასებათა ურთიერთზე კონტრასტის გავლენა განწყობის იმავე კანონზომიერებით უნდა აიხსნას, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ.

სუბიექტის განწყობიდან სხვადასხვა მანძილით დაშორებული პოზიციების შეფასებათა კონტროლი, ურთიერთზემოქმედება ადამიანის აქტივობაზე განწყობის მიზანშეწონილი ზემოქმედების ბუნებიდან გამომდინარეობს და აიხსნება.

დ. შ. НАДИРАШВИЛИ

## ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ЗАКОНОМЕРНОСТИ ВЗАИМОВЛИЯНИЯ ПОЗИЦИЙ В РАЗЛИЧНОЙ МЕРЕ ОТДАЛЕННЫХ ОТ УСТАНОВКИ СУБЪЕКТА

Резюме

В социальной психологии известно, что резко отличная от собственной установки позиция субъектом оценивается контрастно, а близкостоящая позиция — ассимилятивно. Известно и то, что указанная закономерность проявляется неоднозначно. Трудно также определить, насколько отличаемую позицию следует признать отдаленной или близкой.

Нами экспериментально изучено влияние установки на две различные позиции, когда их оценка происходила последовательно. В опыте ввиду двукратной оценки «близость» и «отдаленность» позиций обрела конкретное содержание. Оказалось, что после ее оценки более отдаленная от установки позиция воспринимается контрастно и, наоборот, по сравнению с оцениваемой сначала позицией более близкая к установке позиция оценивается ассимилятивно.

## ლიტერატურა

1. ბალიაშვილი მ., სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა. თბილისი, 1980.
2. უზნაძე დ., შრომები ტ. VI. თბილისი, 1977.
3. Подлесная Л. И., Социально-психологические аспекты преодоления психологического барьера к «новому». Автореферат канд. дисс. Тбилиси, 1978.
4. Hoyland C. and com. Attitudes Formation and Change, N.-J., 1960.
5. Thurstone L. The measurement of social attitudes. Jour. of Abnor. and Soc. Psychology. 26. 1931. pp. 249-269.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

И. В. ИМЕДАДЗЕ

О ВОЗМОЖНОСТИ ПОЛИУСТАНОВОЧНОЙ  
РЕГУЛЯЦИИ АКТИВНОСТИ

В предыдущих работах была предпринята попытка показать, что, если исходить из принципа соответствия мотива и деятельности, содержащего формулу «один мотив — одна деятельность» и не отождествлять мотив и потребность, то термин «полимотивация» будет означать не побуждение деятельности более чем одной потребностью, а осуществление человеком нескольких деятельностей одновременно. При этом каждой деятельности будет соответствовать свой мотив, представляющий собой субъективную ценность данной конкретной деятельности, возникающую в результате оценочно-смыслового отношения субъекта к внутренним и внешним факторам деятельности. В процессе жизни человек нередко решает несколько поведенческих задач одновременно; они обладают разной субъективной ценностью, что и определяет иерархию и субординацию симультанно протекающих поведений [9].

